ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 13 ოქტომბერი 1998 №184 (719) ფასი 50 თეთრი

## ბერძნები ქეცბაიას უფრთხიან და მახლასისა არ ეიმედებათ



კობა ინასარიძე ათენიდან

მოწყენილობამ, ნაღველმა მალევე გადაიარა. რიგა — ათენის მარშუტის ნახევარი გვექნებოდა გავლილი, ფეხბურთელები ხასიათზე რომ მოვიდნენ, იღიმოდნენ, ხუმრობდნენ. თუმცა იქვე დასძენდნენ, ეეჰ, რა გვაცინებსო. ნაკრების ხელმძღვანელები თვითმფრინავის წინა სალონში ისხდნენ, განვლილ მატჩს არჩევდნენ, მხოლოდ ვლადიმერ გუცაევი იყო სევდიანად. ეტყობოდა, რამდენიმე საათის წინანდელი მარცხი ჯერ ვერ მოენელებინა.

რიგაში თბილად ჩაცმულ-დახურულებს ღამის ათენში ისეთი სიცხე დაგვხვდა, ხალხს უეჭველად კამჩატკიდან ნასტუმრები ვეგონებოდით. თუმცა, აქაურ კლიმატს სწრაფადვე მოვუძებნეთ შესაბმისი სამოსი — შორტები და მაისური. ღამის სამი საათი იყო. „ელინიკოსის" აეროპორტშივე ვიგრძენით, რომ ბერძნები ყურადღებას არ მოაკლებდნენ ოთხშაბათის მატჩს. რამდენიმე ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორი იქვე, სასაზღვრო კონტროლს გადაღმა იყო ჩასაფრებული და რიგრიგობით ეკითხებოდნენ ჩვენებურთ ჯერ ლატვიის მატჩზე, მერე ათენისაზე. ამიტომაც იყო, ავტობუსში საათზე მეტხანს რომ ელოდნენ გუნდის წევრებს.

ეროვნულმა გუნდმა ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „კარაველს" გამთენიისასღა მიაღწია, ახალგაზრდული ოდნავ ადრე დაბინავდა „გოლდენ ეგში".

გუშინწინ გუცაევმა დიდი კრება ჩაატარა, ძირითადად ლატვიაში მარცხზე ისაუბრეს, სასაყვედუროს საყვედური მიიღო, საქები აქეს, მაგრამ მთლიანობაში რიგის მატჩი მკაცრად შეფასდა, ეს არ უნდა მოგვსვლოდათო. ორსაათიანი განსჯის მერე ფეხბურთელებმა მწვრთნელებს თხოვეს, თქვენ გაბრძანდით, ჩვენ ვეტყვით ერთმანეთს სათქმელსო. ისინი მარტო დარჩნენ, დაახლოებით საათნახევრის შემდეგ გეგონებოდათ, პარლამენტის სხდომაზე კამათისგან გაოფლილი დელეგატები გამოდიან დარბაზიდანო. ეტყობოდათ, მართლაც მწვავედ აღიქვეს წინა დღის წაგება. კამათი არც შემდგომ ჩაცხრა. ერთმანეთს გარჯას უწუნებდნენ. თუმცა თავიანთ შეცდომებსაც აღიარებდნენ. განსაკუთრებით გულჩათხრობილი დავით გვარამაძე იყო, ფეხბურთელები კი ცდილობდნენ მის გამხნევებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

გუშინწინ აქაურ გაზეთებსაც გავეცან, ოღონდ არ იფიქროთ, ბერძნულისა რამე გამეგებოდეს. ფოტოებითა და აქაურთა დახმარებით ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, მთელი ათენი ოთხშაბათს ელის. როცა ჩვენს ქართველობას გაიგებენ, ვიცით, ერთს იტყვიან — ქეცბაიას როგორ ელევით, ძალიან მაგარი ფეხბურთელიაო. ჯიხურში მოვაჭრეს, ტაქსის მძღოლსა თუ სასტუმროს პორტიეს პირზე ქეცბაიას გვარი აკერია. ბერძნული პრესაც აჭრელებულია მის შესახებ მასალებით.

ტელევიზიით კი უკვე მესამედ ვიხილეთ ლატვია — საქართველოს მატჩის ფრაგმენტები. წალმა-უკუღმა ატრიალებენ ფირს. მერე კი, ეტყობა, სპეციალისტები კომენტარს უკეთებენ მომავალ მეტოქეთა შეხვედრას. ჩვენს აქ ჩამოსვლამდე თურმე ელინები საკმაოდ შეშინებულნი ყოფილან — ქეცბაია, ქინქლაძე, ამათ შორთა არველაძე და ჯამარაული დაემატებიან და რა მოგვივა, ღმერთმა იცისო — ამბობდნენ და წერდნენ. ახლა კი, ლატვიასთან მატჩის შემდეგ, გული მიეცათ, მათთან თუ წააგეს, ჩვენც მოვუგებთო. გუშინდელ გაზეთ „ფეოში" საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელის ანგელ იორდანესკუს ნათქვამიცაა დაბეჭდილი.

— საქართველოს საზით ძლიერი მეტოქე რომ გვყავს, ვფიქრობ, საკამათო არავისთვისაა. ქართველები თანამედროვე, გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. მათ კლასსა და ოსტატობაზე, ლატვიური წაგებით ნუ ვიმსჯელებთ. ასეთი რამ ყველა გუნდს მოსდის. განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტოქე 11 კაცით თავს იცავს. ამ მატჩის ფირი ბევრჯერ ვნახე და სტუმრების თამაშში ნაკლიც შევნიშნე. ისინი დაცვაში ვერ გამოიყურებოდნენ სათანადოდ და ძალიან დიდხანს იჭერდნენ ბურთს, ინდივიდუალიზმის ხარჯზე ცდილობდნენ ხიფათის შექმნას — ამბობს იორდანესკუ. სტატია კი გაზეთს მისივე სიტყვებით დაუსათაურებია — ლატვიის მოგება მეტად სასიამოვნოა, სლოვენთა მარცხი კი სამწუხარო.

საწუხარი იორდანესკუს სხვაც აქვს — საბერძნეთის ნაკრების უმთავრესი და ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი დემის ნიკოლაიდისი საქართველოსთან ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, კარგ ფორმაშია ნიკოს მახლასი, თუმცა ამისი აქაურებს მაინც და მაინც არ ეიმედებათ. თამაში არ იცის, გოლები კი გააქვს, მაგრამ უმართლებსო — ამბობენ.

ჩვენს ნაკრებში ერთი ცვლილებაა. ვლადიმერ გუცაევმა ახალგაზრდული ნაკრებიდან რატი ალექსიძეს უხმო და ორი დღეა, ეროვნულთან ერთად ავარჯიშებს. ტრავმირებული იაშვილი, არჩილ არველაძე და ჯანაშია კი ათენს ისედაც არ ჩამოვლენ, ფეხი ისევ აწუხებთ, ისევე როგორც, აქ მყოფ ლევან სილაგაძეს.

ახალგაზრდულს პრობლემა არა აქვს. ყველა ფორმაშია და დღეს ქეცბაიას ყოფილი აეკ-ის სტადიონზე, აქაურად 18 საათზე, მასპინძლებს დაუპირისპირდება. სხვათა შორის, ეროვნულიც ექვსზე ითამაშებს, ოღონდ ოლიმპიურ სტადიონზე.

შუა საუკუნეების ანტიკური ხუროთმოძღვრების ნიმუშებისა და თანამედროვეობის შერწყმით განთქმული საბერძნეთის დედაქალაქი კი ხვალინდელ დღეს ელის. ამბობენ, ოლიმპიური სტადიონი პირთამდე შეივსებაო. აქაურ ქართველებს თურმე დიდი დროშაც შეუკერავთ და ჩვენების მხარდასაჭერად მრავლადაც შეგროვდებიანო. ბერძენ ფანთა ამბავი კი ყველამ იცით, აქ თამაშს ბურკინა ფასოში ბურთაობა სჯობს. თუმცა ქართველებს უძველესი ქალაქის უბნების დაცვაც შეგვიძლია — ბერძნებმა რომ წააგონ, წყნარად დაიშლებიან, მოგებით გახარებულნი კი თურმე აღარაფერს ერიდებიან.



## კანდელაკმა გაიმარჯვა

11 ოქტომბერს გიორგი კანდელაკმა თავისი მესამე პროფესიული ბრძოლა ისევ ნოკაუტით მოიგო

იხილეთ მეშვიდე გვერდი

## ქალებმა დაიხიეს, კაცებმა წაიწიეს

გამართლდა რამდენიმე დღის წინ გამოთქმული ჩვენი პროგნოზი — ჩინეთის ქალთა ნაკრები ელისტაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდებაო. ბოლო ტურში ჩინელები თითქმის უბრძოლველად დაუზავდნენ ბულგარელებს 1,5:1,5 და 29 ქულით ოქროს მედლები დაისაკუთრეს. გაიმარჯვეს საქართველოს და რუსეთის პირველმა ნაკრებებმა, ჩვენებმა იუგოსლავიელებს სძლიეს 2:1. რუსებმა პოლონელებთან უფრო რიგიანად გაიმარჯვეს 2,5:0,5, ქართველებს გაუთანაბრდნენ და დამატებითი პარამეტრების წყალობით მეორეზეც გავიდნენ. 27 ქულა და ბრინჯაოს მედლები — აი, საქართველოს ქალთა ნაკრების მონაგარი ოლიმპიადაზე.

გაგვახარეს მამაკაცებმა, ყოველ შემთხვევაში, როცა გუნდს ფინიშამდე ოთხიოდე ტურით ადრე 23-ე ადგილი უკავია, ხოლო ოლიმპიადას V-VII ადგილების გაყოფით დაასრულებს და თანაც ბოლო ტურში მშრალი ანგარიშით 4:0 გაიმარჯვებს, სიხარულის საბაბი ალბათ არსებობს. საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა გააუმჯობესა ერევნის ოლიმპიადის მიღწევა. მამაკაცთა გუნდურ ჩათვლაში კი მოლოდინისამებრ რუსეთის პირველმა ნაკრებმა იმარჯვა 35,5 ქულით. მეორეზე ამერიკელები გავიდნენ (34,5), ხოლო მესამე-მეოთხე ადგილები ისრაელმა და უკრაინამ გაიყო (32,5).

ნონას თასის პირველი მფლობელი რუსეთის პირველი ნაკრები გახდა. ჩვენი ნაკრები კი ამ კონკურსში ჩინელთა შემდეგ მესამე იყო.

დავით გულუა

## თვრამეტწლამდელები ვარგობენ

ამ დღეებში უნგრეთში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირია 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის. უნგრეთში მასპინძლებთან და ბულგარელებთან ერთად ქართველი ფეხბურთელებიც გამოდიან. ჯგუფში უკვე მეორე შეხვედრა გაიმართა. გუშინწინ უნგრეთი — ბულგარეთის მატჩში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ფრედ 1:1 დამთავრდა. გუშინ კი პირველად ითამაშეს კოპალეიშვილის აღსაზრდელებმა და ბულგარელები 2:1 დაამარცხეს. გოლები ჩვენებურთაგან ვიტელმა ზურაბ მენთეშაშვილმა და ფეხმტკივანმა სტანდარდელმა ლაშა ჯაკობიამ გაიტანეს.

ხვალ საკვალიფიკაციო ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრა, საქართველო — უნგრეთი, შედგება. ჩვენს ნაკრებს მასპინძლებთან ფრეც ხელს აძლევთ.

უნგრეთში პირველობის შემთხვევაში ჩვენს თვრამეტწლამდელთა ნაკრებს კიდევ ერთი შესარჩევი ტურნირი ელით და თუ იქაც იყოჩაღეს, ფინალურ ეტაპზე გავლენ.

## იცოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ
## ლატვია 1:0 საქართველო

კობა ინასარიძე რიგიდან

— ყველაზე მეტად რისიც გვეშინოდა, სწორედ ის მოხდა. ნორვეგია-ლატვიის მატჩის ფირი ბარე ათჯერ ვნახეთ. მეტოქე თითქოსდა ბოლომდე გვყავდა შესწავლილი, მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო პირველი გოლი არ გაგვეშვა. ისიც ვიცოდით, რომ ამის მერე ლატვიელები დაცვაში ჩაჯდებოდნენ მთელი გუნდით. მოულოდნელმა გოლმა გაგვტეხა. თუნდაც ანგარიში მაინც რომ გაგვეთანაბრებინა, დარწმუნებული ვარ, ლატვიას გადავუვლიდით — თქვა მატჩის შემდეგ გიორგი ქინქლაძემ.

კრიჭა ყველას შეკრული ჰქონდა. ხმის ამომღები არავინ იყო, სათქმელიც ბევრი არაფერი გახლდათ, ტაბლო ყველაფერზე მეტყველებდა. ლატვიური დროით ცხრის ნახევარზე კლუბ „დაუგავას" სტადიონზე მსხდომთ რამდენიმე ნათურა სჭრიდა თვალს. 1:0 ციმციმებს ტაბლოზე. სიხარული, ეროვნული შემახილები, შინდისფერთეთრი დროშების ფრიალი და ამ ფონზე ჩვენი დამწუხრებული სახეები... ქართველებს ენა ჩაგვივარდა დასავლეთ ტრიბუნაზე შეკრებილი ოცამდე ქართველი შოკში ვიყავით, თავჩაქინდრულებს გვესმოდა ლატვიელთა ღრიალი. ჩვენ კი...

ზოტამ ბოლოჯერ ჩასტვინა, ღმერთო ჩემო, ეს რა მოგვივიდაო, თითქმის ერთდროულად ჩაილაპარაკეს სტადიონზე მყოფმა ქართველებმა. ალბათ, იგივე თქვა ლატვიელთა მწვრთნელმა, რევაზ ძოძუაშვილმა. მსაჯის სასტვენისთანავე მიხიჩამ თავის ადგილი დატოვა და იქაურობას გაეცალა, სადაც მასპინძლებმა ზედახორა მოაწყვეს. ძოძუაშვილი ნაღდი პროფესიონალია, მაგრამ არ სურდა, გამარჯვებულთა სიხარულის თანამონაწილე ყოფილიყო. ის არც არავის გახსენებია. ქართველი მწვრთნელი იქით მარტო იდგა, ნაფაზს ნაფასზე ურტყამდა. დანარჩენი ქართველებივით თავი მასაც ძირს დაეხარა. არადა, შაბათის მატჩის გმირი არც შტოლცერსია, არც კარავაევი, არც ბაბიჩევი, არავინ ძოძუაშვილის გარდა. თამაში რევაზ ძოძუაშვილმა მოიგო, სხვამ არავინ. პრინციპში არც ჩვენებს წაუგიათ. კიდევ ერთხელ რევაზ ძოძუაშვილი. აი, მან გაიმარჯვა...

გოლი მართლაც მოულოდნელი იყო. შტოლცერსმა კუთხურიდან ჩააწოდა. 1964 წელი გეგონებოდათ, თითქოს კუთხურს დათუნაშვილი აწვდიდა, ბურთი აბსოლუტურად არავის შეხებია. მან რკალი მოხაზა და შორეულ კუთხეში ჩაეშვა. ამას არც ლატვიელები ელოდნენ. მაგრამ ფაქტის წინ რომ დადგნენ, მერე კი გაიხარეს. ჩვენი ფეხბურთელები დავით გვარამაძეს მისცვივდნენ, თავზე ხელი გადაუსვეს, მხარზე მოარტყეს, არა უშავს, გამხნევდიო. აშკარა იყო, გვარამაძე „აიჭრა". წუთით ადრე ის დაიბნა, წინ მოსაგერიებელი ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ხუთ წუთს თამაში თანაბარი იყო, თუმცა ორი მომენტი მაინც ლატვიელებმა შექმნეს. მეშვიდე წუთიდან კი დაიწყო, დაიწყო შტურმი, რომელმაც მასპინძლები მატროსოვებად აქცია. ლატვიელებმა თავდადებისა და მონდომების, ანგარიშის შენარჩუნების ბრწყინვალე მაგალითი გვაჩვენეს. ასე გაგრძელდა ბოლომდე. ბურთი კი ვერ გავიტანეთ. ღირსნი კი ვიყავით, მაგრამ ეტყობა, იმდენად არა, რომ მიზნისთვის მიგვეღწია.

წაგების მიზეზი რა იყო? ელემენტარული რამ. ლატვიის ნაკრებმა თავიდან ბოლომდე იცოდა, თითოეული ქართველი ფეხბურთელი რას წარმოადგენდა. ზუთიანზე იცოდა, რას აკეთებდნენ თავად, რისი მაქნისები არიან. იცოდნენ, მათთვის გამარჯვების მომტანი ერთადერთი ხერხი რომ იქნებოდა — ყრუ დაცვა. ჩვენებმაც იცოდნენ ლატვიელთა თამაშის სტილი და მანერა, იცოდნენ კონტრშეტევაზე რომ ეთამაშებოდა მეტოქე, ლატვიელთა ძლიერი ფეხბურთელებიც ჩამოთვალეს, ამათი უნდა გვეშინოდესო, მაგრამ არ უწყოდნენ მთავარი — ლატვიელებს რომ ანგარიში გაეხსნათ თუნდაც მოულოდნელად, მერე რა უნდა ექნათ.

იხილეთ მეორე გვერდი

### გაეროს ევროპულ კალათბურთსაც გადმოსწვდა

ვაჟთა საკალათბურთო ევროლიგის B ჯგუფში ორი გუნდია, გამარჯვება რომ არ მოუპოვებია — იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა" და ისრაელის „მაკაბი". ამ ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს ერთ-ერთი გაიხარებდა, რადგან ბელგრადში მათი შეხვედრა იყო დაგეგმილი.

გაეროს გადამკიდე გაუმარჯვებლად ყოფნა ორივე გუნდს კიდევ ერთხანს მოუწევს. ფიბა აჰყვა ამ პატივცემული ორგანიზაციის ფეხის ხმას და „ცრვენა ზვეზდა" — „მაკაბის" მატჩი ჯერჯერობით განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. მიზეზი: დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია და მოსალოდნელი საერთაშორისო სამხედრო ჩარევა იუგოსლავიაში.

ამავე მიზეზით გადაიდო იუგოსლავიის ტერიტორიაზე გასამართი კორაჩის თასის ორი მატჩი (ჟელეზნიკი — ფრიბურგი, ბეობანკა — სვიტი) და ქალთა ევროლიგის ერთი მატჩი.

ამ მატჩების გამართვის ახალ თარიღებს ფიბა ამ დღეებში გამოაცხადებს.

### საქართველოს ჩემპიონატი 3 ტური

11 ოქტომბერი. კვირა

მაკაბი 64:68 შევარდენი
სდასუ 81:93 ვითა

12 ოქტომბერი. ორშაბათი

დინამო 79:77 კოლხა
თსუ 85:93 სტუ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 3 | 3 | 0 | 282:235 | 6 |
| თსუ | 3 | 2 | 1 | 261:252 | 5 |
| შევარდენი | 3 | 2 | 1 | 161:155 | 5 |
| აზოტი | 2 | 2 | 0 | 185:146 | 4 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 170:150 | 4 |
| მაკაბი | 3 | 0 | 3 | 219:249 | 3 |
| სდასუ | 3 | 0 | 3 | 231:272 | 3 |
| კოლხა | 3 | 0 | 3 | 227:269 | 3 |
| ვითა | 2 | 1 | 1 | 93:101 | 2 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ

ევროპის ჩემპიონატი. მეორე შესარჩევი ჯგუფი. მეორე ტური
10 ოქტომბერი. რიგა. დაუგავა. 3 500 მაყურებელი

## ლატვია 1:0 საქართველო

1:0 შტოლცერსი (2)

**ლატვია**

1. კარავაევი
4. ზემლინსკი
2. ლუკაშევიჩი
7. ივანოვსი
8. ბლეიდელისი
5. ლობანოვი
6. შარანდო
3. ასტაფიევი
10. ბაბიჩევი
11. შტოლცერსი
9. პახარსი

**საქართველო**

6. ყაველაშვილი
11. შ. არველაძე
3. გახოკიძე
10. ქინქლაძე
9. ქეცბაია
8. ჯამარაული
2. კალაძე
4. კობიაშვილი
5. შეყილაძე
7. ნემსაძე
1. გვარამაძე

შეცვლა: გახოკიძე — 18. დემეტრაძე (60), ბლეიდელისი — 15. ი. ლაიზანსი (50), ასტაფიევი — 17. ისაკოვი (74), პახარსი — 14. ბულდერსი (88)

გაფრთხილება: ყაველაშვილი, ნემსაძე

მთავარი მსაჯი: კ. ზოტა (რუმინეთი)

დასაწყისი პირველ გვერდზე

ვლადიმერ გუცაევის დარიგებას თუ მიჰყვებოდნენ, ბიჭებს შეეძლოთ თამაშის მოგება, ან შეტრიალება, მაგრამ არ გამოვიდა. მან ფეხბურთელები დაარიგა, ფლანგები გამოიყენეთ, იქიდან შეუტიეთ, სხვა შანსი არ გვაქვსო. მარჯვენა ნახევარმცველი ქეცბაია იყო, მარცხენა გახოკიძე, რომელსაც ზურგს კობიაშვილი უმაგრებდა. რომ ვთქვათ, სამივე მაღლი დონის ფეხბურთელია. ხომ სამივეს შეუძლია საქმის ჩინებულად გაკეთება? აქცენტი ამათ სისწრაფეზეა, ტექნიკასა და მოქნილობაზე იყო. მაგრამ... ქეცბაია ბურთს მიიღებდა თუ არა, შუაში მიიწევდა, იქ, სადაც დომხალი გახლდათ, სადაც ძოძუაშვილმა კვადრატულად განალაგა ოთხი მცველი. ამას კიდევ ქეცბაია უნდოდა, თავის პერსონალურ მეურვე შარანდოსთან ერთად? შუაში ხომ ქართველები ისედაც მრავლად იყვნენ.

გახოკიძე პირველ ტაიმში საქმეს მართლაც ჩინებულად აკეთებდა. მეორე ტაიმის საწყისი ხუთი წუთიც ანერვიულა ბლეიდელისი, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა, ფლანგიდან შეჭრილმა ზუსტად ვერც ერთხელ ჩააწოდა, ბურთი ჩვენს თავდამსხმელებამდე ვერ აღწევდა. ხოლო კობიაშვილი ბურთის ოდენ გახოკიძემდე მიტანით კმაყოფილდებოდა. ძოძუაშვილმა კარგად იცოდა, ჩვენებს მოედნის ცენტრიდან რომ უყვართ იერიშები. ამიტომაც, იმ ადგილას ისეთი ბასტიონი შექმნა, ფეხბურთელი კი არა, ბუზი ვერ შეფრინდებოდა. ქართველები ჯიუტურ ცდილობდნენ სწორედ აქედან ეხეირათ. მეორე ტაიმის დასაწყისშივე ძოძუაშვილმა იგრძნო, გახოკიძე კიდევ ბევრ ხიფათს რომ შეუქმნიდა და ბლეიდელისი სასწრაფოდ ლაიზანსით შეცვალა. გახოკიძის მეურვეობა კი ბაბიჩევს დაავალა, თანაც უთხრა, მას მარჯვენა არ უვარგა, შუაში ვერ შეიწევს, მარცხენა მხარე დაუკეტეო. ისიც მწვრთნელის მითითებისამებრ აჩერებდა აქტიურ ჰავბეკს. გუცაევმა ეს იგრძნო, მაგრამ დაგვიანებით. მისი ერთადერთი შეცდომა, მგონი, სწორედ ეს იყო. შეცვლა დაგვიანდა. დემეტრაძის თამაში ცოტა ადრე იყო საჭირო და ქეცბაიას გამოცვლა, რომელიც ალბანეთისა არ იყოს, მეტად სუსტად გამოიყურებოდა.

გუცაევს უკიჟინებდნენ, სხვა შეცვლები გაეკეთებინა, მაგრამ სწორად მოიქცა, რადგანაც ტრავმების გამო მას განაცხადში მეტი თავდასმხმელი აღარ ჰყავდა. კიკნაძის მოედანზე გასვლას კი აზრი არ ექნებოდა. მის ადგილას საყრდენ ნახევარმცველად მოთამაშე ჯამარაული შაბათს ორივე გუნდში საუკეთესო იყო. კიკნაძე ჯამარაულზე უკეთ საქმეს ვერ გააკეთებდა. ერთადერთი, რაც შეიძლებოდა, ისევ ტაქტიკური გადაადგილება გახლდათ — ქეცბაიას გამოცვლა, ჯამარაულის მარჯვენივ გადასროლა და კიკნაძის საყრდენობა, ლატვიასთან მატჩში უპირველესად სწორედ ქეცბაია უნდა შეეცვალათ.

ძოძუაშვილმა სამივე შეცვლის უფლება გამოიყენა. ნელ-ნელა დაცვა კიდევ უფრო გააძლიერა, მეორე ტაიმის ბოლოსკენ დაღლილ პახარსს კი აყლაყუდა ბულდერსი ამჯობინა. ძოძუაშვილმა ერთიც ჰქნა ჭკვიანური — შესვენების შემდეგ უსწრაფეს პახარსსა და შტოლცერსს ადგილები შეუცვალა. მოსალოდნელი შტურმის მოლოდინში პახარსი უფრო ეფექტური იქნებოდა. ამოტანილ ბურთს მოიგდებდა და მისი დამწევი აღარავინ გვეგულებოდა. თუმცა გუცაევმა, ესეც გაითვალისწინა, მორიგეობით კალაძე და ნემსაძე მიამაგრა პერსონალურად, ამით პახარს თავის კოზირი ვერ უნდა გამოეყენებინა.

სხვა რაღა გითხრათ? მთელი მატჩის სურათი მარტივი დასახატია. სტენოგრამიდანაც ყველაფერი ჩანს. ლატვიელთა ათი ფეხბურთელი საკუთარ საჯარიმოსთან ჩამწკრივდა. შექმნეს დიდი კედელი და გაიმარჯვეს. ამბობენ, მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი გამართლებულიაო. მათ სხვანაირი ფეხბურთი არ იციან, თამაშობენ იმას,



REUTERS რიგიდან

ლევან კობიაშვილი (№4) გზას ვლადიმირ ბაბიჩევს უღობავს

რაც ასწავლეს და რაც გამოსდით, ჩვენი უბედურება კი ისაა, რომ ლატვიასთან წავაგეთ. გუნდთან, რომელსაც ძოძუაშვილი რაგბის ბურთით ასწავლიდა პასის მიცემას.

და კიდევ, არ შეიძლება ყველაფრის დავით გვარამაძეზე გადაბრალება. თითქოს მისი დაბნეულობის გამო წააგო გუნდმა, როცა მან საბედისწერო შეცდომა დაუშვა. იმ მომენტის შემდეგ ჩვენებს 88 წუთი კიდევ სათამაშო ჰქონდათ, პახარსის ვერგამოყენებული ურეალურესი, მაგრამ გაცუდებული თავისუფალი დარტყმის შემდეგ კი 70 წუთი ფსიქოლოგიურად გავტყდითო ამბობდნენ, ეს არაა მიზეზი. არც ის ითქმის ფეხებს მოუფრთხილდითო. კი, ბატონო, იბრძოლეთ, თავიც დადეთ, მაგრამ მეტოქე ვერ დააფასეთ, როგორც საჭირო იყო. ღმერთმანი, ჩვენ რომ პირველებს შეგვეგდო, მოვიგებდით? ალბათ, მართლაც მოვიგებდით, მაგრამ... გასამარჯვებლად მარტო ძალიან დიდი უპირატესობა, მატჩის განმავლობაში 68-70 წუთს ბურთის ფლობა არაა საკმარისი.

ვლადიმერ გუცაევი, მგონი, ცხოვრებაში არ ყოფილა ასეთი ნირწამხდარი. მისი მდგომარეობა იოლი წარმოსადგენია. მიუხედავად ყველაფრისა გუცაევს, ჟურნალისტებისადმი პატივისცემის გრძნობა ტრადიციულად არც ამჯერად დაუკარგავს და პრესკონფერენციაზე გვეახლა თავის ქვისლთან ერთად.

### მატჩის შემდეგ

*ვლადიმერ გუცაევი:* თავის გამართლებას ვერ დავიწყებ. ჩვენ წავაგეთ. ამაში არც სველი მინდორია დამნაშავე, არც მსაჯი. უბრალოდ, მოედანზე დავალება არ შესრულდა. მეტოქის საჯარიმოში ვერ შევაღწიეთ. არადა, დავალების მიხედვით, მეკარემდე ახლოს მისვლა სრულიად შესაძლებელი იყო. გვარამაძე ორჯერ უხეშად შეცდა. წაგებაზე ცოტა ამანაც იმოქმედა. შესვენებაზე ბიჭებს მეტოქის მოედანზევე პერსონალურად თამაში ვთხოვე. შეტევა ლატვიელთა ნახევარზევე უნდა დაგვეწყო.

*რევაზ ძოძუაშვილი:* ღმერთს მადლობა და კარავაევს, დღეს რომ გადაგვარჩინა. ამინდიც ჩვენსკენ იყო. ქართველებმა თავისი ტექნიკა ბოლომდე ვერ გამოავლინეს. დაცვითმა ფეხბურთმა, გამარჯვების ერთადერთმა საშუალებამ გაჭრა. ჩვენ კოლექტიური ფეხბურთით მოვიგეთ.

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი. მსაჯის სასტვენისთანავე შტოლცერსმა პახარსს გაუთამაშა, მანაც დაადო თავი და ქართველთა კარისკენ გაქანდა. მისი მარცხნიდან ჩაწოდებული კალაძემ კუთხურზე მოიგერია.

2. პახარსმა კუთხური მოაწოდა. გვარამაძე დაიბნა, მაგრამ ბურთი კვლავ კუთხურზე გადააგდო. მარცხნიდან შტოლცერსმა ჩააწოდა, ბურთი მოჭრა, გვარამაძე წინ არასწორად გამოვიდა, მცველებმაც ვერაფერი მოახერხეს. ბურთი კარში ისე შევარდა, რომ არავინ შეხებია — 1:0.

5. ბაბიჩევმა სახიფათო თავური გვარამაძეს ხელებში დაუმიზნა.

6. შტოლცერსს ძალიან კარგი პოზიცია შეექმნა, მაგრამ მომენტი გააცუდა.

7. ჩვენები გოლის მერე გამოფხიზლდნენ. ჯამარაულის დარტყმული კარს ოდნავ ასცდა.

11. გახოკიძემაც ჯამარაულს მიბაძა ჯარიმის შესრულებისას.

15. ლატვიის ნაკრები ნაღდ გოლს გადაურჩა. ქინქლაძის პასს ქეცბაიამ ძლიერი დარტყმა მოაყოლა. ბურთი ლუკაშევიჩს მოხვდა, მიმართულება იცვალა, მაგრამ ძელს გარედან გაეხახუნა.

20. გვარამაძე ერთხელაც შეცდა. შეყილაძემ ბურთი მიაწოდა. მან კი სრულიად უხიფათო სიტუაციაში ბურთს ხელი წაატანა. სამ მეტრიდან თავისუფალი დარტყმა პახარსმა ქართველთა კედელს დაუმიზნა.

34. ქეცბას უძლიერესი დარტყმული კარავაევმა გაჭირვებით მოიგერია.

42. კალაძის თავურს მასპინძელთა მეკარე შეეხო და გადავიდა.

44. ბაბიჩევმა პახარსს მიაწოდა. მისი დარტყმული კარს ოდნავ აცდა.

46. ყაველაშვილს ზემლინსკი ჩაუხტა თავით ფეხებში და საკუთარი გუნდი გოლისგან იხსნა.

48. ჯამარაულის გასროლილმა კარს სანტიმეტრებში ჩაუარა.

49. ჯამარაულმა ბურთი ცენტრიდან წაიღო. გზად ყველა მომხვდური მოატყუა, ყაველაშვილს უპასა, მაგრამ მიშას კარავაევმა აჯობა.

59. ქინქლაძის დაწყებული კომბინაცია, არველაძემ და ყაველაშვილმა გააგრძელეს, ყაველამ კი ისევ მეკარეს დაუმიზნა.

67. შტოლცერსისთვის ნემსაძეს რომ არ დაესწრო, ალბათ, მასპინძლები უფრო დაწინაურდებოდნენ.

68. ყაველაშვილი ლატვიელმა მცველებმა მოიმწყვდიეს — ბლოკი იყო. ბურთი საჯარიმო ხაზთან დაიდო. სახიფათო კი გახლდათ, მაგრამ დემეტრაძემ კედელს მოარტყა.

72. ამჯერად კობიაშვილის დარტყმული აილო კარავაევმა.

72. ყაველას ისევ მეკარე დაუხვდა.

78. დემეტრაძემ ქეცბაიას ჩაწოდებულის მერე ლამაზი მაკრატელა დაარტყა. ბურთი კარავაევმა გაჭირვებით დაიჭირა.

82. შარანდოს დარტყმული სტადიონის ტერიტორიას გადასცდა.

88. არველაძის შემოტრიალებით დარტყმულის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ იმ დღეს კარავაევი ბურთს არ გაუშვებდა.

---

ლიუბლიანა
10 ოქტომბერი
21 საათი
ბეჟიგრადი
8 000 (ტევადობა 18 000)

## სლოვენია 1:2 ნორვეგია

სლოვენია: სიმეონოვიჩი, მილანიჩი, გალიჩი, კნავსი, ნოვაკი, ჩეჰი (სილიაკი 71), უდოვიჩი, ზაჰოვიჩი, ოსტერცი (ენგლარო 70), რუდონია, პავლინი

ნორვეგია: გროდასი, ჰაალანდი, ჰოფტუნი (ლუნდეკვამი 71), ჰენინგი, ბიორნებიუ, ი. ფლო, ჰეგემი, სოლბაკენი, ტ. ა. ფლო, რეკდალი, სტრანდი (შ. ფლო 46)

1:0 ზაჰოვიჩი (24), 1:1 ტ. ა. ფლო (45), 1:2 რეკდალი (80)

ეტყობა, ლატვიელებთან მარცხი შემთხვევითი იყო. ახლა ნორვეგიელთა პირველ მატჩში ნაწნევ წაგებას შეიძლება ბევრი ახსნა გამოვუძებნოთ, მაგრამ მაშინ ყველაფერი ერთით — სტუმართა ძლევამოსილებით ახსნეს.

გამოხდა ერთ თვეზე ოდნავ მეტი და სტუმრებმა კვლავ დაამტკიცეს ძლიერება, ოღონდ ამჯერად ნორვეგიელთა გასახარად, სტუმრის რანგში თავად იყვნენ.

ლუბლიანაში ბერძნებთან ყაიმის შემდეგ ნაკრების წარმატებას ელოდნენ. მასპინძლებიც, ცდა ბედის მონახევრეაო და ეცადნენ, ერთი ხანობა იგებდნენ კიდეც, მაგრამ...

— ჩვენ ძალიან გვსურდა თანამემამულეთა გახარება. გვერწმუნეთ, ყველა გამარჯვებისკენ ვისწრაფვოდით, მაგრამ მიზანს ვერა და ვერ მივაღწიეთ. ბედმა გვიმუხთლა, თუმცა არ უნდა დავიწყოთ, რომ მეტოქეც ძლიერი გახლდათ — სლოვენიელთა კაპიტანმა დარკო მილანიჩმა მარცხის მიზეზების ახსნა სცადა.

# ნორვეგია გონს მოეგო

მიუხედავად სტუმრად თამაშისა, ნორვეგიამ შთამბეჭდავად მოიგო. სლოვენიელთათვის არანაირი საბაბი არ მიუცია, რომ მათ გამარჯვების იმედი მისცემოდათ. თუმცა, მიუხედავად კარგი თამაშისა, სკანდინაველნი თავდაპირველად მდევრის როლში აღმოჩნდნენ — 24-ე წუთზე ზლატკო ზაჰოვიჩმა ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა იხარეს, ოღონდ ტაიმის ბოლო წუთამდე.

„ჩელსის“ თავდამსხმელ ტორე ანდრე ფლოს უყურადღებოდ მიტოვება გუნდს კარგ დღეს რომ არ დააყრიდა, მასპინძლებმა მშვენივრად უწყოდნენ და ახოვან ნორვეგიელს ფხიზლადაც მეურვეობდნენ, მაგრამ პირველი ნახევრის ბოლო წამებზე თანაგუნდელის ფლანგიდან ჩაწოდებულს ტორე ანდრემ პირველმა დაახვედრა თავი და გაათანაბრა — 1:1.

მე-80 წუთზე მასპინძელთა იმედები საბოლოოდ დასამარდა — ნორვეგიელთა მორიგი თავდასხმისას მასპინძლები დაჯარიმდნენ. ბურთის კარში გადაგზავნას კეტილ რეკდალი ეცადა, თუმცა უშედეგოდ — ბურთი კედელს მოხვდა. აი, ხელმეორედ დარტყმა იღბლიანი გამოდგა — ბურთი სიმეონოვიჩსა და მარცხენა ძელს შორის გაძვრა.

ნორვეგიამ მოიგო.



REUTERS ლიუბლიანიდან

ტორე ანდრე ფლო (№9) და კნავსი ბურთის მოლოდინშიც არ ცდებიან

## EURO 2000
### ახალგაზრდული ჩემპიონატი

UNDER-21 Championship

I ჯგუფი

დანია 2:2 უელსი

იტალია 1:0 შვეიცარია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

II ჯგუფი

ლატვია 1:2 საქართველო

სლოვენია 1:3 ნორვეგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ალბანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

III ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია 1:1 ფინეთი

თურქეთი 2:0 გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

IV ჯგუფი

რუსეთი 2:1 საფრანგეთი

0:1 სისე (24), 1:1 ცაპლინი (66), 2:1 ლაკტიონოვი (90)

სომხეთი 3:1 ისლანდია

1:0 ტამოიანი (2), 2:0 აკობიანი (8), 3:0 ამირიანი (47), 3:1 გუდიანსონი (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

V ჯგუფი

ინგლისი 1:0 ბულგარეთი

პოლონეთი 5:0 ლუქსემბურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| შვედეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

VI ჯგუფი

კვიპროსი 2:1 ავსტრია

ჰოლანდია 3:0 ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ისრაელი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ავსტრია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

VII ჯგუფი

აზერბაიჯანი 2:1 უნგრეთი

პორტუგალია 1:1 რუმინეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

VIII ჯგუფი

მალტა 0:3 ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| მაკედონია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ირლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

IX ჯგუფი

ლიტვა 0:1 ბელგია

ბოსნია 0:0 ჩეხეთი

შოტლანდია 2:0 ესტონეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ბოსნია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბელგია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლიტვა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

# ბოროდინოს ბრძოლა ფრანგებმა მოიგეს

მოსკოვი
10 ოქტომბერი
ლუჟნიკი
(50 000)

**რუსეთი 2:3 საფრანგეთი**

0:1 ანელკა (13), 0:2 პირესი (29), 1:2 იანოვსკი (45), 2:2 მოსტოვოი (57), 2:3 ბოგოსიანი (82)
რუსეთი: ოვჩინიკოვი, ვარლამოვი, ონოპკო, ხლესტოვი, იანოვსკი, ტიტოვი, კარპინი, ტიხონოვი, ალენიჩევი (სემაკი 70), მოსტოვოი, ბესჩასტნიხი (გერასიმენკო 63)
საფრანგეთი: ლამა, ტურამი, ლისარასუ, ბლანი, დესაი, პეტი (ბოგოსიანი 46), დეშამპი, ზიდანი ჯორკაეფი (ვიეირა 50), პირესი, ანელკა (ვრელი 88)
მსაჯი: პ. ჩეკარინი (იტალია)
გაფრთხილება: ჯორკაეფი, ოვჩინიკოვი, ხლესტოვი

რუსეთის ნაკრებმა არ „ისურვა“ მიღწეულით დაკმაყოფილება და სამთამაშიან სარეკორდო სერიას კიდევ ერთიც მიამატა. მან შაბათს, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მსოფლიოს ჩემპიონებს, ფრანგებს ვერ სძლია და მეოთხე მარცხი იწვნია...

მოსკოვური ოქტომბერი ფეხბურთისთვის არ არის საუკეთესო ხანა. ამ დროს გადაუღებლად წვიმს, მოედანი მეტისმეტად იჟღინთება და მაყურებლებსაც პრობლემები ექმნება. წვიმა წვიმად, მაგრამ იმას, რაც მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყო, თავსხმაც შეიძლება ვუწოდოთ. არ ვიცი, ამის ბრალი იყო, თუ ბილეთების მეტად მაღალი ფასისა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალგარემონტებული ლუჟნიკი ნახევარზე ოდნავ მეტად იყო შევსებული. თუმცა იმაშიც ეჭვი მეპარება, სარბიელი გადაჭედილიც რომ ყოფილიყო და გულშემატკივრებს ღრიალით დაეწყვიტათ ყელის იოგები, მასპინძელთათვის ამას სასურველი შედეგი მოჰყოლოდა. შეხვედრის მთელმა მსვლელობამ ცხადყო, რომ საფრანგეთის ნაკრები რუსეთისაზე მაღალი კლასის გუნდია. ტიხონოვი, ტიტოვი, კარპინი და სხვები საკმაოდ შორს არიან ზიდანის, ჯორკაეფის და მათ თანამებრძოლთა ოსტატობისგან.

ის, რაზეც აქცენტს აკეთებდა შეხვედრამდე ანატოლი ბიშოვეცი (კირიაკოვის, კოლივანოვის, კანჩელსკისის არყოფნა ტრავმების გამო), მართალია ანგარიშგასაწევია, მაგრამ გადამწყვეტი ნამდვილად არაა, რადგან ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები არ არიან იმ დონისა (მითუმეტეს, მათი ამჟამინდელი ფორმის გათვალისწინებით), რომ მათ გარეშე თამაში არ შეიძლებოდეს. ერთადერთი, ვინც უკვე წლების განმავლობაში ადასტურებს თავის მაღალ კლასს და სტაბილურად თამაშობს გუნდშიც და ნაკრებშიც, ილია ციმბალარი გახლავთ, მაგრამ ისიც ტრავმირებულია და არა თუ ფრანგებთან, ისლანდიასთანაც კი ვერ შეძლებს თამაშს.

როგორც ჟურნალისტებს გვჩვევია, სტადიონზე თამაშამდე კარგა ხნით ადრე გამოვცხადდი და ლოჟას მივაშურე, რათა შევგუებოდი საერთო ატმოსფეროს. ხალხი ნელ-ნელა მატულობდა. თვალი სამთავრობო ლოჟისკენ გამექცა და შევნიშნე, როგორ შემოაბიჯეს რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა: სერგეი პრიმაკოვმა, იური ლუჟკოვმა, ბორის ნემცოვმა და სხვებმა. ამის შემდეგ უკვე ფეხბურთელები გამოვიდნენ მოთელვაზე. ტრიბუნიდანაც კარგად ჩანდა, რომ მოედნით დიდად კმაყოფილნი არ უნდა ყოფილიყვნენ. ეს განსაკუთრებით ფრანგებს ეხებოდათ, თუმცა მოსკოვში უარესებიც მომხდარა. ბოლოს და ბოლოს თოვლში სირბილს მაინც ეს სჯობს, მით უმეტეს, რომ მატჩის წინა დღეს რუსეთის დედაქალაქში ღამით ტემპერატურა 4 გრადუსამდე დაეცა. მოკლედ, 20 საათისათვის მაყურებელთა რაოდენობამ 50 ათასს არ გადააჭარბა, შესრულდა ორივე ქვეყნის ჰიმნი და შეხვედრის მთავარი არბიტრის, ჩეკარინის სასტვენთან ერთად (სხვათა შორის, მან მთელი მატჩი პრაქტიკულად უშეცდომოდ ჩაატარა) თამაშიც დაიწყო.

მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა დებიუტშივე გამოიკვეთა. თუმცა რაიმე დიდი დაწოლის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია. უბრალოდ, ფრანგებმა შეგნებულად დათმეს მოედნის ცენტრი და ზიდანისა და ჯორკაეფის გრძელი, გამოზომილი პასების მეშვეობით ცდილობდნენ თავიანთი სწრაფი თავდამსხმელის, 19 წლის არსენალელი ნიკოლა ანელკას ხელსაყრელ პოზიციაზე გაყვანას.

პირველი სახიფათო მომენტი რუსეთის ნაკრებმა შექმნა. ტიხონოვმა გადასცა ოდნავ წინ მდგარ ტიტოვს, მანაც დაუყოვნებლივ ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც იანოვსკი იმყოფებოდა მეტად ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ლისარასუმ იქამდე ბურთი აღარ მიუშვა კუთხურზე მოიგერია.

მე-7 წუთზე იანოვსკიმ შეძლო კარში შეუჩერებლად დარტყმა, მაგრამ არაზუსტად.

საწყის წუთებში სხვა მაინცდამაინც საინტერესო არაფერი მომხდარა. ფრანგები არ აძლევდნენ მასპინძლებს დიდად გალაღების საშუალებას, მაგრამ ვერც თავად ახერხებდნენ სახიფათო შეტევის განხორციელებას. თუმცა როგორ შეიძლება კაცმა თავი მშვიდად იგრძნოს მაშინ, როდესაც მეტოქის გუნდში ზინედინ ზიდანი თამაშობს. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ სტუმართა გამარჯვებაში 50 პროცენტი (მეტი თუ არა), სწორედ მისი დამსახურებაა. მე-13 წუთზე ზიდანმა მოედნის ცენტრალურ რგოლში მიიღო ბურთი, ოდნავ წინ წაიწია, მშვიდად ასწია თავი და ისეთი გამოზომილი პასი გადააწოდა ანელკას, რომ რუსეთის ნაკრების ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი „თამაშგარეში“ მოაქცია, თანაც ისე, რომ წინ გამოვარდნილი მეკარე ოვჩინიკოვიც ბურთს ვერაფრით დაუფლებოდა. ანელკამ კი თანაგუნდელს იმედი არ გაუცრუა და მშვიდად დაარტყა, 0:1. ესეც კონტრშეტევის კლასიკური მაგალითი, ბურთის ზედმეტი თრევის გარეშე.

დასამახსოვრებელი იყო 26-ე წუთი, როდესაც ჯერ ალენიჩევის ჩინებული გარღვევის მოწმენი გავხდით, თუმცა ის რატომღაც დარტყმით კი არა, არაზუსტი, უაზრო გადაცემით დასრულდა.

სამი წუთის შემდეგ კი ანგარიში უკვე ორამდე გაიზარდა. მარცხენა ფრთაზე ძალიან კარგად ითამაშა ანელკამ, რომელიც გასცდა ვარლამოვს და საჯარიმოში ჩაჰკიდა. აქ იური ჯორკაეფი ვერ შესწვდა ბურთს, მაგრამ იგი მიუვიდა პირესს, რომელმაც ძლიერად, შეუჩერებლად გაისროლა. თავი ვერც საჯარიმოში მყოფმა მცველებმა ისახელეს, და ვერც ოვჩინიკოვმა. მას ბურთი კი შეეხლო ხელზე, მაგრამ მისი შეკავება ვეღარ შეძლო.

მეორე გაშვებული გოლის შემდეგ რუსეთის ნაკრების შემტევი სული კიდევ უფრო ჩაკვდა, უფრო სწორად, ის ფრანგებმა ჩაკლეს, თავიანთი გონივრული მოქმედებით. მაქსიმუმ, რისი გაკეთების საშუალებასაც სტუმრები მასპინძლებს აძლევდნენ, ეს საჯარიმოს მისადგომებთან ზუსტი გადაცემები იყო, მაგრამ კართან უფრო ახლოს მისვლა არაფრით ხერხდებოდა. ბლანი, დესაი, ტურამი და ლისარასუ მშვენივრად უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგეებს, საჭიროების შემთხვევაში კი არც ნახევარმცველები ან თავდამსხმელები თაკილობდნენ უკან ჩასვლას. პირადად მე განსაკუთრებით მომეწონა ფრანგთა ვეტერანი მცველი ლორან ბლანი. პირველ სართულზე რომ მშვიდად აზლვევდა მეტოქეებს, მეორეზეც ერთობ ეფექტურად მოქმედებდა და მაღალი გადაცემებისას სტუმართა უპირატესობაც სწორედ მისი და დესაის კარგი მოქმედებით იყო განპირობებული. სიმართლე გითხრათ, ბლანი თავისი თამაშის აუღელვებელი და აკადემიური სტილით წარსულში საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანს, ალექსანდრე ჩივაძეს მაგონებდა.

პირველი ტაიმის დასასრულს მასპინძლებმა, როგორც ჩანს, ბოლო ძალები მოიკრიბეს და შეტევაზე გადავიდნენ. ძალიან სახიფათო ჯარიმა შეასრულა 38-ე წუთზე ვარლამოვმა. კარიდან 25-26 მეტრის მანძილიდან მან შესანიშნავად ჩაახვია ბურთი მეკარისგან მარცხენა კუთხეში, მაგრამ აქამდე ღმერთმა იცის, ვის მიერ არ გამოლანძღულმა ლამამ ლამაზ ნახტომში ბურთი კუთხურზე მოიგერია. პრინციპში ეს ფრანგთა გოლკიპერის პირველი სერიოზული ჩართვა იყო თამაშში.

ლამას თავისი რეაქციის გამოვლენა მეორედ ტაიმის მიწურულს, 45-ე წუთზეც მოუწია, როდესაც ტიხონოვის დარტყმული კუთხურზე მოიგერია, მაგრამ იქიდან ჩაწოდებული იანოვსკის მიუვიდა და მან ხუთიოდე მეტრიდან შესრულებული თავურით ერთი ბურთი გაქვითა. ეს უკვე მსაჯის მიერ წამატებულ წამებში მოხდა და ტაიმიც დასრულდა.

მეორე 45 წუთი რუსების ტერიტორიული უპირატესობით დაიწყო. როგორც ჩანს, პირველ ტაიმში გატანილი ბურთისგან მიღებული აღმაფრენა მეორე ნახევრამდე გაჰყვათ. თუ პირველ ტაიმში რუსეთის ნაკრები ფრანგების მიერ შეთავაზებულ თამაშის საშუალო ტემპს აჰყვა, ახლა მათი ძალისხმევით ტემპმაც მოიმატა, რაც მასპინძელთა სასარგებლო ფაქტორი იყო, რადგან ჩანდა, რომ ისინი სტუმრებზე უკეთ იყვნენ მზად ფიზიკურად. თუმცა სახიფათო მომენტები როგორც ერთ, ასევე მეორე კართან ნაკლებად იქმნებოდა.

57-ე წუთზე დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. დესაიმ საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან დაკარგა ბურთი და მის შესანარჩუნებლად დავარდნილმა ფეხებით სცადა ბურთის დაჭერა, რისთვისაც ჩიკორინიმ თავისუფალი დარტყმა დანიშნა. მოსტოვოიმ კარპინს დაუგორა ბურთი, კარპინმა დაუბრუნა და რუსეთის ნაკრებში სტანდარტული სიტუაციების შესრულების ოსტატად აღიარებულმა ალექსანდრ მოსტოვოიმ ულამაზესი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ამ ეპიზოდში მეკარე ლამას გამტყუნება მართლაც არ შეიძლებოდა.

ფრანგები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონთათვის იშვიათად გაუბათილებია ვინმეს ორბურთიანი უპირატესობა, თუმცა რომ თქვას, ამ ეპიზოდში წესით მასპინძლებს კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინათ ზეწოლა მეტოქეზე. მაგრამ ეს არ მოხდა, რამიც, ცხადია ფრანგების დამსახურება არც თუ მცირე იყო. მე-80 წუთამდე მოედანზე ნაკლებად საინტერესო ორთაბრძოლა მიმდინარეობდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მატჩი ფრედ უნდა დამთავრებულიყო, რაც არც ერთი მხარისათვის წარმოადგენდა იდეალურ ვარიანტს. ეს მეტადრე ეხებოდათ რუსებს, რომელთაც პირველი შეხვედრაც წაგებული ჰქონდათ და საკუთარ მინდორზე ფრე, თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონთან, ერთობ არასასურველი იყო.

ბოლო ათი წუთი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, თამამად შეიძლება ზიდანის მონაკვეთად მივიჩნიოთ.

82-ე წუთზე მარჯვენა ფრთაზე ზიდანმა ორ მეტოქესთან ბრძოლაში მაინც მოახერხა, შემობრუნებულიყო და ბურთი რობერტ პირესისათვის მიეწოდებინა. პირესმა, რომელიც აქამდე კარგად ირჯებოდა, გვერდი აუარა რუსეთის ნაკრების კაპიტან ვიქტორ ონოპკოს და საჯარიმოს გასწვრივ ზუსტად გადასცა შეცვლაზე შესულ ბოგოსიანს, რომელიც ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო იდგა. მან მართალია ცოტა უხერხულად დაარტყა და კინაღამ ხარიხას მოარტყა ბურთი, მაგრამ კინაღამ ხომ არ ითვლება და მსოფლიოს ჩემპიონები ისევ წინ გავიდნენ.

ფრანგებს მეოთხედაც შეეძლოთ გატანა. ისევ ზიდანმა გაიბრწყინა. მატჩის მიწურულს მან რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და საჯარიმოში შეიჭრა, სადაც იგი ოვჩინიკოვმა მოცელა, რისთვისაც ყვითელი ბარათი და თერთმეტმეტრიანი დაიმსახურა. დარტყმა ბლანმა იკისრა, ძლიერადაც გაისროლა, მაგრამ მხოლოდ ხარიხა შეაზანზარა. დარჩენილ წამებში საინტერესო არაფერი მომხდარა და მსოფლიოს ჩემპიონებმა თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვეს ევრო-2000-ის საგზურისათვის ბრძოლაში. რუსეთის ნაკრებმა საკვალიფიკაციო ციკლში მეორე მარცხი იწვნია.

დამარცხებით გაწბილებული ხალხი იმედგაცრუებული ტოვებდა ლუჟნიკს. ნაკრებმა, იმ ნაკრებმა, რომლისგანაც ყველა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას ელოდა, ვერც ამჯერად გაახარა გულშემატკივრები. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას ელოდა-მეთქი შემთხვევით არ მოგახსენეთ რადგან ფრანგებთან მატჩის შემდეგ საეჭვოა, რომ ვინმეს ეს ღრმად სწამდეს, თავად ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ჩათვლით. ასე რომ, „ბოროდინოს ბრძოლა“ ამჯერად ფრანგების გამარჯვებით დასრულდა.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, როგორც წესია, ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი გამოცხადდა. თუმცა მანამდე კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა. წაგებით აღშფოთებულმა რამდენიმე ადგილობრივმა გულშემატკივარმა საპრესკონფერენციო დარბაზში სცადა შეღწევა, თუმცა მათ ამის საშუალება, ცხადია, არავინ მისცა.

საფრანგეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა აღნიშნა, რომ მატჩმა ძალიან დაძაბულ ორთაბრძოლაში ჩაიარა. მან სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ მიუხედავად სირთულეებისა, მისმა გუნდმა მაინც მოახერხა გამარჯვება, თუმცა, ლემერის თქმით, მარცხის შემთხვევაშიც არ იქნებოდა ყველაფერი საბოლოოდ გადაწყვეტილი. ლემერმა დიპლომატიურად დასძინა, რომ რუსეთის ნაკრების დასამარება ჯერ მეტად ნაადრევია. „თქვენ ძლიერი გუნდი გყავთ, რაც დღევანდელმა შეხვედრამაც დაამტკიცა და დაკარგული ჯერ არაფერია“. — დაამშვიდა მან შეკრებილნი.

ანატოლი ბიშოვეცი, თავისი კოლეგისაგან განსხვავებით, ბევრად ნაღვლიანად გამოიყურებოდა.

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თქმით, მას გუნდთან ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვს სამუშაო. მან კვლავ გაუსვა ხაზი, რომ პასუხს აგებს ეროვნული ნაკრების მდგომარეობაზე 2002 წლისათვის, ჯერჯერობით კი მოიკოჭლებს დაცვა და ვერც თავდასხმაა სათანადო სიმაღლეზე. ბიშოვეცმა იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ უკრაინის და საფრანგეთის გუნდებთან გატანილი ოთხივე ბურთი სტანდარტული სიტუაციების შედეგია რაც ასევე საგანგაშოა.

**იური ციბანიოვი მოსკოვიდან
საინფორმაციო ანალიტიკური
ბიურო „გეა“ საგანგებოდ
სარბიელისთვის**




„პარი სენ ჟერმენის“ ნახევარმცველმა იგორ იანოვსკიმ ზინედინ ზიდანს (№10) წინიდანაც მოუარა, უკნიდანაც, მაგრამ ვერაფერს გახდა

**EURO 2000**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

# I ჯგუფი

## იტალია 2:0 შვეიცარია

1:0, 2:0 დელ პიერო (19, 62)
იტალია: ბუფონი, ტორიჩელი, მალდინი, კანავარო, პანუჩი, დი ფრანჩესკო (ბაკინი 62), დ. ბაჯო, ალბერტინი, ფუზერი, დელ პიერო (ტოტი 70), ინძაგი
შვეიცარია: ჰილფიკერი, ვოლფი (შასო 65), როტენბულერი, ენჩოსი, ვეგა, ვოგელი, მიულერი, სფორცა, ვიკი (სელესტინი 89), სესა, შაპუიზა

ეს ბოლოს „ინტერთან" მატჩში მოხდა. მას შემდეგ ექვსი თვე მიილია, უგოლოდ ჩაიარა ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტმა მატჩმა, მსოფლიოს ჩემპიონატმა, იტალიის მორიგი პირველობის საწყისმა ტურებმა. ბოლოს კი ნავსი გატყდა — ალესანდრო დელ პიერომ თამაშიდან შეაგდო გოლი. ზემოხსენებული დროის განმავლობაში „სკუადრა აძურას" მეათე ნომერს ერთადერთი გოლი გაეტანა და ისიც პენალტით, შვეიცარიელებთან მატჩის პირველი ტაიმის შუაწელში განხორციელებული დიდებული თავდასხმის შედეგიანად დაგვირგვინებამ, კი უშედეგო შეხვედრათა სერია დაასრულა.

— ვიმედოვნებ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. იმედი მაქვს, მომდევნო



იტალია — შვეიცარია. სტუმრები დელ პიეროს (№10) მუდამ თან სდევდნენ. ამაოდ. ალესანდრომ ორი გოლი გაიტანა

თამაშებში თავს უფრო და უფრო გამოვიჩენ. ძალიან დიდხანს ველოდი ამ წუთებს. გოლებმა შვება მომგვარეს და გარკვეულწილად მომიხსნეს კიდეც ის ფსიქოლოგიური სტრესი, მთელი ამ ხნის განმავლობაში რომ მტანჯავდა — დელ პიერო ჟურნალისტებს შეხვედრის შემდეგ დიდხანს ესაუბრა.

მაშ ასე, იტალიის ნაკრებმა ახალი მწვრთნელის, დინო ძოფის თავკაცობით ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი შეხვედრაც მოიგო და პირველი ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ცხადია, ასეთი შედეგი კარგია, მაგრამ უკეთესი ისაა, რომ იტალიელთა ნაკრებმა გაცილებით უკეთესი ფეხბურთი აჩვენა, ვიდრე ამას ჩეზარე მალდინის დროს ახერხებდა — „სკუადრა აძურას" დაცვა კვლავ ძნელად გასავალი დარჩა, ნახევარდაცვა ისევ და ისევ ძლიერია, თავდამსხმელებმა კი თამაში გამოასწორეს. მთლიანობაში თვალშისაცემი ცვლილება ის გახლავთ, რომ გუნდმა გოლის გატანისთვის იწყო თამაში.

— მართალი გითხრათ, ძალიან ვნერვიულობდი. იტალიაში ჩემი ნაკრები პირველად თამაშობდა, მაგრამ გუნდმა იმედი არ გამიცრუა და საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო. სრულყოფილებამდე ბევრი გვაკლია, დიდი შრომა გველის, გუნდმა ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ უნდა გადაიტანოს თაობათა ცვლა — დინო ძოფმა მეტწილად გეგმებზე ისაუბრა. თუმცა კი ისიც თქვა, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარო.

პირველი გოლი ლამაზი კომბინაციის შედეგად გავიდა. იტალიელთა თავდასხმა შვეიცარიელთათვის მოულოდნელად განხორციელდა — სტუმართა უყურადღებობით ფაბიო კანავარომ ისარგებლა და ჩაჭრილი გადაცემა უმალ ეუსებიო დი ფრანჩესკოს მიაწოდა, რომელმაც თავის მხრივ არ დააყოვნა და ორ მცველს შორის მყოფ დელ პიეროს მიაწოდა ბურთი. იუვენტუსელის დარტყმას გოლი მოჰყვა — უკანასკნელი შვეიცარიელი, ანდრეას ჰილფიკერი მალიან კი ეცადა კარი მშრალად შეენახა, მაგრამ ნახტომი მოკლე გამოუვიდა, ბურთიც სწორედ იმ პატარა, თავისუფალ მონაკვეთში გავიდა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ჩვიდმეტი წუთი რომ გავიდა, მასპინძელთა უპირატესობა გაორმაგდა — რამონ ვეგამ ფილიპო ინძაგის აქტიურობა ვერ აიტანა და იტალიელი ლამის ბუჩქებში მოისროლა. მსაჯმა აშკარად დაინდო ვეგა, მცველმა კი იმის ნაცვლად რომ სინდისის ქენჯნა ეგრძნო, ხელები გაასავსავა, აქაოდა არაფერი დამიშავებიაო. თანაგუნდელის უხეშობა შვეიცარიელებს ძვირად დაუჯდათ — დელ პიეროს ჯარიმა ზუსტად იმ კუთხეში შევარდა, რომელსაც ერთი შეხედვით ჰილფიკერი ფარავდა.

ზემოხსენებული ორი გოლის გარდა იტალიელებს კიდევ ჰქონდათ ორი მომენტი, მაგრამ ორჯერვე ფილიპო ინძაგის არ გაუმართლა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა 0:0 იყო, ინძაგიმ, დინო ბაჯოს შესანიშნავი თავური პასის შემდეგ, ყველას გასაკვირად, ცარიელ კარში ვერ გაიტანა. მეორე ტაიმში კი, მორიგი კონტრშეტევისას, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა, ბურთი ჰილფიკერს მოარტყა.

„ბრწყინვალე დელ პიერო" — ასე გამოეხმაურა „კორიერო დელა სერა" თანამემამულეთა უდინეში მოპოვებულ გამარჯვებას, განსაკუთრებულად კი დელ პიეროს თამაშს. ერთ-ერთ წერილში ისიც კი ითქვა, ალესანდრო კომადან გამოერკვაო. მთლიანობაში იტალიური სპორტული პრესა დინო ძოფის ამჟამინდელი მოღვაწეობისადმი დადებითად განეწყო.

ამ მოგებით იტალიელთათვის წლევანდელი წლის გასამართი შესარჩევი მატჩები ამოიწურა. მომავალ ოფიციალურ შეხვედრას ისინი 27 მარტს, დანიაში გამართავენ. მანამდე კი, ალბათ ამხანაგური შეხვედრებით შემოიფარგლებიან, რომელთაგან უმთავრესი 10 დეკემბერს, ბრაზილიაში, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებთან ელით.

## დანია 1:2 უელსი

1:0 ფრედრიკსენი (58), 1:1 უილიამსი (59), 1:2 ბილემი (86)
დანია: კროგი, ტობიასენი, რიპერი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, ნილსენი, ფრანდსენი (გრეივსენი 76), ფრედრიკსენი, იორგენსენი, ბეკი (სანდი 66)
უელსი: ჯონსი, სევიჯი, ბერნარდი, საიმონსი, უილიამსი, კოულმენი, ჯონსონი (მემბრიჯი 64), სონდერსი (რობინსონი 80), ბლეიკი (ბილემი 70), ჰიუზი, სპიდი

მოგენს კროგი ცუდი მეკარე ნამდვილად არ არის. არც დანია გახლავთ არაფრისმაქნისი ნაკრები, მაგრამ სტუმარმა უელსმა მაინც იმარჯვა. უელსელებმა სამად სამჯერ შეუტიეს სკანდინავებს, ორი გოლი გაიტანეს, სამი ქულა ხელთ იგდეს და შინ მშვიდობით გაემგზავრნენ.

დანია? მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტებს, მარცხის მიუხედავად, ურიგოდ არ უთამაშიათ. თუმცა ხდება ხოლმე, არ გაგიმართლებს და შრომა წყალში გეყრება. ამ შემთხვევაში დანიელებს შრომაც წყალში ჩაეყარათ და მასთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებიც ერთობ შეუმცირდათ.

— ჩვენი ოცნება ასრულდა — ერთადერთი ფრაზა მოთქვა ბრიტანელთა მწვრთნელმა ბობი გოულდმა თამაშის შემდეგ. გამარჯვებას მისთვის ფრთები შეესხა. კარგა ხანია, უელსს სტუმრად ასეთი მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

— ძლიერად ვითამაშეთ, უპირატესობა ხელთ გვეპყრა, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გამოგვივიდა. ეს არის მწარე სინამდვილე. დღეს ჩვენ ფეხბურთის უარყოფითი მხარე დავინახეთ — ევროპის 1992 წლის ჩემპიონთა მწვრთნელი ბო იოჰანსონი განცვიფრებული გახლდათ.

...86-ე წუთზე, როცა ანგარიში საყაიმო გახლდათ და დანიელთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო, ინგლისური „ნორვიჩის" 19 წლის თავდამსხმელმა კრეიგ ბილემიმ თავი მარჯვედ დაჰკრა ბურთს და უელსელთა ოცნებაც რეალობად აქცია.

დანიელთა ზღაპარი სწორედ მაშინ დასრულდა. თუ ოთხშაბათამდე დანია ვერ გამორკვა და შვეიცარიაშიც დამარცხდა, მაშინ სკანდინავებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ოცნებადღა ექცევათ. სხვათა შორის, ვერც მომავალ მატჩში ითამაშებს პეტერ შმაიხელი — „მანჩესტერ იუნაიტედის" კარის ახოვანი დარაჯი მუცელს ერთობ შეუწუხებია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| დანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 14 ოქტომბერი: უელსი — ბელარუსი; შვეიცარია — დანია*

# III ჯგუფი

## თურქეთი 1:0 გერმანია

1:0 კანი (69 ს.კ.)
თურქეთი: რუსთუ, ტაიფური, ოგუნი (ჰაქან უნსალი 88), ფათიხი, ალფაი, ერქანი, ქორქმაზი, თუგაი (ოქთაი 60), ჰაქან შუქური, სერგენი (საფეტი 80), ტაიფუნი
გერმანია: კანი, ბაბელი, რემერი, ჰაინრიხი (ნოივილი 70), ნოვოტნი, რამელოვი, იერემისი, რიკენი (ბოდე 80), ბირჰოფი, ბაილიხი, კირსტენი

მატჩის შემდეგ ბერლინში არნახული ზეიმი გაიმართა. დიახ, სწორედ რომ ბერლინში, დამარცხებული გუნდის ქვეყნის დედაქალაქში. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია — გერმანიაში მცხოვრები 8 მილიონი ემიგრანტიდან ხომ 2,3 მილიონი თურქია და მათი უმეტესობა ბერლინში ცხოვრობს. მთელი ღამე ხარობდნენ ისინი უცხო მხარეში და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა ხდებოდა ამ დროს ბურსასა და თურქეთის სხვა ქალაქებში.

გუნდები 47 წლის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა დონის ტურნირებზე და შაბათს, 10 ოქტომბერს, თურქებმა პირველად გაიმარჯვეს!

მასპინძლებმა შეხვედრის დასაწყისშივე აგრძნობინეს მრისხანე მეტოქეს, რომ მათთვის სახელები და წარსული ტიტულები დღეს აღარაფერს ნიშნავს. ისინი აუღელვებლად, ზედმეტი ფაფხურის გარეშე ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას და თავიანთ უმთავრეს კოზირს ტექნიკურად უკეთეს მომზადებას მშვენივრად იყენებდნენ. გერმანელები კი ცოტა არ იყოს დაბნეულები ჩანდნენ, რაც მათ არასდროს ჩვეოდათ. მართალია, სტუმრებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ და თანაც ახალი მწვრთნელის ერიხ რიბეკის ხელმძღვანელობით პირველ მატჩს ატარებდნენ, მაგრამ სხვა თუ არაფერი ისინი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები არიან და ასეთი თამაში ნამდვილად არ ეკადრებათ.



თურქეთი — გერმანია. სტუმართა მეკარე ოლივერ კანი ახტა, დახტა, რემერსაც გადაახტა და ჰაქან შუქურსაც (№9), თუმცა საბოლოოდ მაინც ვერას გახდა

მთლიანობაში შეხვედრა არცთუ კარგი საყურებელი გამოდგა. მეტოქეები ხშირად ცდებოდნენ, როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. გერმანელთაგან მხოლოდ ბირჰოფისა და ჰაინრიხის გამოყოფა შეიძლება, რომლებიც თანაგუნდელთაგან განსხვავებით ასე თუ ისე აქტიურობდნენ, ხოლო მასპინძლები გუნდურად და ერთსულოვნად მოქმედებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, როგორმე ჰაქან შუქურისთვის ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ. მოკლედ, გუნდებმა ვერაფერი ღირებულით ვერ მოიწონეს თავი და რომ არა ოლივერ კანის უნიათობა, მატჩი უგოლოდ დასრულდებოდა.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გერმანელები კანმა დაღუპა. ასეთ შეცდომას იგი კი არა, მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერთა გოლკიპერებიც აღარ უშვებენ. მიუნხენის „ბაიერნის" მართლაც გამოცდილმა მეკარემ ელემენტარულად ბურთის ხელში დაჭერა ვერ მოახერხა, თანაც ორჯერ და იმდენი იფაფხურა, საბოლოოდ ბურთთან ერთად საკუთარი კარის ბადეში აღმოჩნდა.

ამის შემდეგ სტუმრები თითქოს გააქტიურდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ და მატჩის არბიტრის საფინალო სასტვენმა თურქებს (ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც) 1:0 გამარჯვება აუწყა.

## ჩრდ. ირლანდია 1:0 ფინეთი

1:0 როულენდი (30)
ჩრდ. ირლანდია: ფეტისი, არონ ჰიუზი, ჰორლოკი, მულრინი, პატერსონი, მოროუ, გილესპი (მაკართი 71), ლენონი, დოუი (ო ბოილი 79), მაიკლ ჰიუზი, როულენდი (ქუინი 88)
ფინეთი: ნიემი, ილონენი, რეინი, ჰიიპია, კაუტონენი, რიიჰილაჰტი (ლიტმანენი 75), ილოლა, ვალაკარი, პაატელაინენი, კოლკა, იოჰანსონი

მე-3 ჯგუფის მეორე შეხვედრა ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში გაიმართა, სადაც ერთმანეთს მასპინძლები და ფინეთის ეროვნული გუნდი დაუპირისპირდნენ. მატჩი, რაღა თქმა უნდა, უინტერესო გამოდგა. ვინაიდან თუ ჩრდილოირლანდიელები ასე თუ ისე ბურთს აგორებენ, ფინელებზე ამის თქმაც ძნელია.

ერთადერთი გოლი ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ქუინზ პარკ რეინჯერსის" მცველმა კეიტ როულენდმა მატჩის დაწყებიდან ზუსტად ნახევარ საათში გაიტანა, როდესაც მაიკლ ჰიუზის საკმაოდ კარგი გადაცემა დროულად დაამუშავა და ანტი ნიემი მშრალზე დატოვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 14 ოქტომბერი: მოლდოვა — გერმანია, თურქეთი — ფინეთი*

# IV ჯგუფი

## ანდორა 0:2 უკრაინა

0:1 კოსოვსკი (30), 0:2 რებროვი (43)
ანდორა: ალვარესი, მარტინი, რამირესი, ანტონი ლიმა, გარსია, პოლი, დელფონს ლიმა, რუისი, სონეიე, გონსალესი, სანჩესი (ხიმენესი 89)
უკრაინა: შოვკოვსკი, ვაშჩუკი, გოლოვკო, მიკიტინი (კოვალიოვი 45), ლუჟნი, პოპოვი, კოსოვსკი, მაქსიმოვი (კრივენცოვი 55), რებროვი, შევჩენკო (მიხაილენკო 68), გუსინი

— ანდორელები 50 წლის წინანდელ ფეხბურთს თამაშობენ, თანაც მეტად ცუდი ტაქტიკა აქვთ არჩეული — 10-ვე კაცით დაცვაში არიან და თამაშის საშუალებას არ გაძლევენ, უხეშობასაც არ ერიდებიან. ჩემი ფეხბურთელები ბედნიერები უნდა იყვნენ, რომ მოედანი სალ-სალამათებმა დატოვეს — აღშფოთებას ვერ მალავდა მატჩის შემდეგ უკრაინელთა მთავარი მწვრთნელი იოჟეფ საბო — ჩვენ ისეთი ფეხბურთი ვითამაშეთ, როგორიც მთელი გუნდით დაცვაში მყოფ ნაკრებთან შეიძლება ითამაშო. წარმოიდგინეთ, რებროვმა და შევჩენკომ ბურთი სულ ერთი-ორჯერ მიიღეს. ასე არ შეიძლება — დაამატა მან.

რას წარმოადგენს ანდორის ეროვნული გუნდი? ამ კითხვას მხოლოდ ეს ფაქტიც გასცემს პასუხს — მასპინძელთა სტადიონი 1200 (!) მაყურებელს იტევს. [illegible] ვილი გასაგები.

— თავის მხრივ, [illegible] წევია უკან — რა უნდა ამ კაცს ჩვენგან, რაცა ვართ, ესა ვართ, თავს ზემოთ ძალა არ არის. თანაც უხეშობაო, რომ გაიძახის, ჩვენ ყვითელი საერთოდ არ დაგვიმსახურებია, მსაჯმა ბარათი ორჯერ ამოიღო და ორჯერვე უკრაინელები დასაჯაო.

რაც შეეხება გოლებს, ისინი პირველ ტაიმში გავიდა — ჯერ ვიტალი კოსოვსკიმ იხეირა 30-ე წუთზე, როდესაც საჯარიმოდან ცუდად დაყენებულ „ცოცხალ კედელს" შემოატარა ბურთი, ხოლო 13 წუთში სერგეი რებროვმა ისარგებლა მასპინძელთა მეტად მასირებული დაცვის შეცდომით და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა.

## სომხეთი 0:0 ისლანდია

სომხეთი: ბერებოვსკი, სუკიასიანი, ხაჩატრიანი, ჰოვსეპიანი, სარგსიანი, ვარდანიანი, პეტროსიანი (ოგანესიანი 81), ადამიანი, ასადურიანი (იესაიანი 62), შაგელდიანი, მიქაელიანი
ისლანდია: ბირკირ კრისტინსონი, სიგურდსონი, ჰელგასონი, ორნიონსონი, ჰრეიდარსონი, რენარ კრისტინსონი, კილვიდსონი, ადოლფსონი, გუდიონსონი, გუნლაუგსონი, დადსონი

ამ მატჩზე მისი მონაწილენიც და შედეგიც ბევრს მეტყველებს. გუნდებს ერთი სახიფათო მომენტიც კი არ შეუქმნიათ და ერთმანეთს მეტად მეგობრულად დაშორდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| სომხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ისლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |
| ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 14 ოქტომბერი: უკრაინა — სომხეთი; საფრანგეთი — ანდორა; ისლანდია — რუსეთი*

# V ჯგუფი

## ინგლისი 0:0 ბულგარეთი

ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, ჰინჩკლიფი (ლესო 35), ლი, კემპბელი, საუთგეიტი, ანდერტონი (ბეტი 67), რედნაპი, შირერი, ოუენი, სქოულზი (შერინგემი 77)
ბულგარეთი: ზდრავკოვი, კიშიშევი, ზგორჩიჩი, ნაიდენოვი, იორდანოვი, იანკოვი, კირილოვი, სტოიჩკოვი (ბაჩევი 60), ხრისტოვი (ივანოვი 90), პეტკოვი, ილიევი (გრუევი 63)

„ის უნდა გადადგეს! თუ არა და უნდა მოიხსნას!" — წერდა „სანდი ტაიმსი" კვირა დილით, ანუ ფეხბურთის ინგლისელი გულშემატკივრებისთვის სამარცხვინო შაბათის მეორე დღეს.

მართლა ყველაფერი ჰოდლის ბრალია? ნუთუ იმაში, რომ ინგლისმა ორი შესარჩევი მატჩიდან მხოლოდ ქულა მოიპოვა, მარტო ჰოდლია დამნაშავე? ძნელი სათქმელია, თუმც ერთი რამ, ალბათ, უეჭველია — შვედებთან მარცხშიც და ბულგარელებთან ყაიმშიც ჰოდლი ისევეა დამნაშავე, როგორც ნაკრების ყველა ფეხბურთელი. ინგლისელთა წარუმატებლობაზე პასუხი ყველამ ერთად უნდა აგოს და არა ერთმა რომელიმე პიროვნებამ.

— გულახდილად გეტყვით — იმ შედეგით და თამაშით, რომელიც ჩვენ დღეს ხალხს ვუჩვენეთ, ცხადია, უკმაყოფილონი ვართ, მაგრამ გულშემატკივრებმა ისიც

უნდა გაიგონ, რომ ნაკრები ყოველთვის ვერ მოიგებს. შესარჩევი ტურნირი დღეს არ დასრულებულა. ამჯერად ფეხი დაგვიცდა, ცოტა მოვითმინოთ, წამოვდგებით და ჩვენს ძალას უკლებლივ ყველას დავანახებთ — გლენ ჰოდლმა პრესკონფერენცია ოპტიმისტური განწყობით დაასრულა, ინგლისელები კი, მწვრთნელის გეგმების მიუხედავად, მის გადადგომას ითხოვენ.

მასპინძელთა უპირატესობა საგრძნო-

ერთმა ორი ქულა დაკარგა, მეორემ კი ქულა მოიპოვა. გლენ ჰოდლმა ისიც კი განაცხადა, რაც გუნდს ვთავკაცობ, ინგლისს ასე ცუდად არ უთამაშიაო. ექსტოტენჰემელი მართალიცაა — ფეხბურთელები ვერ იყვნენ სათანადო დონეზე, დღევანდელ ფეხბურთში კი, თუ მუდამ ბრძოლისუნარიანი არ ხარ, ბევრჯერ გაწბილდები. ახლა იოლად გასავლელი გუნდები აღარ არსებობენ (თითო-ოროლას გამოკლებით), ინგლისელთა



REUTERS ფოტოქრონიკა

ინგლისი — ბულგარეთი. ალისფერ მაისურმორგებულმა სოლ კემპბელმა და სხვა ინგლისელებმა ბულგარელებს შინ კუდით ქვა ვერ ასროლინეს

ბზე მეტი გახლდათ. ბურთს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ინგლისელები ფლობდნენ, ერთი ეგ იყო, მასპინძლები ზდრავკოვის კარის მისადგომებთან გამაგრებულ ბულგარელებს ვერაფერს უხერხებდნენ — პოლონეთთან შინ 0:3 განადგურებულ ბულგარეთი თავს ზედმიწევნით ზუსტად იცავდა და მეტოქეს რაიმე საფრთხის შექმნას არ აცლიდა. სტუმართა დაცვა მართლაც ჩინებულად ირჯებოდა.

შეხვედრის შემდგომ გლენ ჰოდლმა განაცხადა, ჩემმა ბიჭებმა დავალება მეტოქეზე ცუდად შეასრულესო. ალბიონელთა თავკაცი მართალი გამოდგა — ბულგარელთა მწვრთნელს დიმიტარ დიმიტროვს უკლებლივ ყველა მოთამაშისთვის კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა დაევალებინა, ბიჭებმაც ქულის მოსაპოვებლად ყველაფერი იღონეს. თვით ხრისტო სტოიჩკოვიც უმეტესწილად საკუთარ ნახევარზე თამაშობდა.

ჰოდლმა თამაში ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით, შირერ-ოუენის წყვილით დაიწყო, მათ უკან კი მანჩესტერელი პოლ სქოულზი გაამწესა. სახიფათო შეტევებს შედეგი არ გამოუღია, თავდამსხმელთა მოქმედებამ კი კიდევ ერთხელ დაადასტურა ეჭვი მათი შეუთამაშებლობის თაობაზე. ოუენი გაცილებით უკეთ ათამაშდა შერინგემი რომ გამოჩნდა. აქვე, რახან შირერ-ოუენი ვახსენეთ, ბარემ ბულგარელებსაც ნუ დავუკარგავთ დამსახურებას — როსენ კირილოვის და ოვაილ იორდანოვის მარწუხებს თავდამსხმელებმა თავი ვერა და ვერ დააღწიეს.

ის, რომ ინგლისელებმა ვერ მოიგეს, ნახევარდაცვის ორი ბურჯის — პოლ ინსისა და დევიდ ბექემის არყოფნამაც გამოიწვია. პირველი შვედეთში მიღებული წითელი ბარათის გამო ტოვებდა მატჩს, ბექემს კი ქვეყნის ღირსება იმავე მიზეზით, ოღონდ მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინელებთან გაძევების შემდეგ არ დაუცავს. ახლა, 14 ოქტომბერს, ლუქსემბურგელებთან შეხვედრისთვის მოთამაშენი ჰოდლის განკარგულებაში იქნებიან. ინსი და ბექემი რომ ყოფილიყვნენ, მეტოქეს აუცილებლად დავამარცხებდითო — წერდნენ ინგლისელი მიმომხილველები. გადაჭრით ვერაფერს იტყვი. ისე კი მათი თამაში გუნდს ძალიან და საგრძნობლად რომ წაადგებოდა, უეჭველია.

— არ მეგონა, ასე კარგად თუ ვითამაშებდით. ნაკრები ჩამოყალიბების გზას დაადგა, წინ დიდი მიზნები გვაქვს. სამწუხაროა, პოლონეთთან რომ დავკარგეთ ქულები, მაგრამ ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი კიდევ გვაქვს. ბულგარეთი თავის ომახიან სიტყვას კიდევ იტყვის — თუ ვინმეს რაიმე ეთქმოდა, პირველი დიმიტარ დიმიტროვი გახლდათ.

მოგონილი თამაში, ყველამ მეტ-ნაკლებად კარგად ისწავლა.

### პოლონეთი 3:0 ლუქსემბურგი

1:0 ბრჟეჩეკი (18), 2:0 იუსკოვიაკი (35), 3:0 ტრჟეჩიაკი (65)

**პოლონეთი:** მატიშეკი, რატაშჩიკი (სიადარჩკა 69), ჰაიტო (მაიაკი 62), ზელინსკი, ლაპინსკი, ბრჟეჩეკი, ივანი, სვიერჩევსკი, ტრჟეჩიაკი, იუსკოვიაკი, ჩერეშევსკი (ბაკი 75)

**ლუქსემბურგი:** კოხი, ფერონი, ლ. დევილი, ფანკი, შტრასერი, ბირსენსი, ტისი (ფ. დევილი 46), კარდონი, ჰოლცი (აფრიკა 69), საიბენი, კრისტოფი (ტილი 63)

— ვგონებ, პოლონურ ფეხბურთში გამოღვიძება დაიწყო. ვგრძნობ, გუნდს შესწევს ძალა, ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს. პოლონეთი იბრძოლებს საამისოდ! — მასპინძელთა მეორე გოლის ავტორი, ბარსელონის ოლიმპიადის საუკეთესო ბომბარდირი ანჯეი იუსკოვიაკი, რომელმაც ლუქსემბურგელებთან ბრწყინვალედ ითამაშა, სიხარულს ვერ ფარავდა.

შარშან ამ დროს ქართველთაგან დიდი ანგარიშით ძლეულმა პოლონელებმა ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმეს, თანაც კვლავ 3:0 და მეხუთე ჯგუფს ერთპიროვნულად ლიდერობენ.

ის, რომ ლუქსემბურგელები სენსაციას ვერ მოახდენდნენ, მალევე გამოჩნდა — პოლონელთა პირველი გოლი გვერდითმა მსაჯმა საეჭვო თამაშგარეს დაფიქსირებით გააუქმა, თუმცა ხუთ წუთში ბრჟეჩეკის უძლიერესად დარტყმულ ბურთთან დაკავშირებით პრეტენზიები აღარ გამოუთქვამს.

ერთ გოლს ცოტა ხანში მეორეც მიჰყვა, მერე კი მეკარის გარდა კოხს ყველა პოლონელი ცდიდა, თუმცა თბილისში „გრევენმახერის“ შემადგენლობაში ნათამაშევმა ლუქსემბურგელთა კარის დარაჯმა თავისიანები ერთხელ გააწბილა — მიროსლავ ტრჟეჩიაკის დარტყმულთან ვერას გახდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პოლონეთი** | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| **შვედეთი** | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| **ინგლისი** | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| **ბულგარეთი** | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| **ლუქსემბურგი** | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 14 ოქტომბერი: ბულგარეთი — შვედეთი; ლუქსემბურგი — ინგლისი*

## VI ჯგუფი

### სან მარინო 0:5 ისრაელი

0:1 რევივო (16), 0:2 ნიმნი (19), 0:3 მიზრახი (31), 0:4 ნიმნი (59), 0:5 გრეიგი (83)

**სან მარინო:** ბენინი, მიკელე, პაულინო (გორდელი 46), ვერე, შიკოლი, ლიბერნი, ჯ. ბერელტი, პელეგრინო (მერლოტი 71), კოლონატი, მაერი, ლუკერი

**ისრაელი:** კოენი, ბენ სიმონი (ა. ხარაზი 46), შელაჰი, ნიმნი, ამსალემი, რევივო (აბუკასისი 87), მიზრახი, ბერკოვიჩი, ბანადო (რ. ხარაზი 70), ბადერი, გრეიბი

— თავისი არსებობის მანძილზე ისრაელს ალბათ, სწორედ ახლა ჰყავს საუკეთესო გუნდი — მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე წარმოთქმული ეს სიტყვები სტუმართა ნაკრების მწვრთნელ შლომო შარფს ეკუთვნის, რომელმაც ქვეცნობიერად საკუთარ თავსაც გაუწია რეკლამა.

რას ერჩი? კაცია და გუნება. რასაც უნდა, იმას იტყვის. მით უმეტეს, რომ მას თავის ქების სრული უფლება აქვს. ებრაელებს მართლაც კარგა ხანია, ასეთი კარგი ნაკრები არ ჰყოლიათ და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსიც აქვთ.

რა შეიძლება ითქვას სან მარინოზე? ბევრი არაფერი, ის ხომ სან მარინოა.

### კვიპროსი 0:3 ავსტრია

0:1, 0:2 ჩერნი (54, 62), 0:3 რაინმაიერი (74)

**კვიპროსი:** პანაიოტუ, კოსტა, პიტასი, დ. იოანუ, ხარალამბუსი (ა. იოანუ 70), მელანარკიტისი, ენგომიტისი (მალეკოსი 46), სპოლარიჩი, გოგიჩი, აგატეკლესი, ხრისტოდულუ

**ავსტრია:** ვოლფარტი, ჩერნი, შოტელი (ჰერცოგი 46), პფეფერი, ჰიდენი, მაილიხი, ჰაასი, კუხბაუერი, ვასტიჩი, რაინმაიერი, ვეტლი (ამერჰაუზერი 65)

ესპანელთა დამარცხებით კვიპროსელებმა იფიქრეს, კაცნიც ჩვენ ვყოფილვართ, ქულიც გვხურებიაო და ავსტრიელთა დამარცხების მოლოდინში ლარნაკის ცენტრალურ სტადიონზე თანამემამულეთა გასამხნევებლად 10 ათასამდე შეერთდნენ. მტერს წაადგა ქომაგობა ისე, როგორც კვიპროსის ნაკრებს მაყურებლის მხარდაჭერა — ჰერბერტ პროხაზკას გუნდმა მასპინძლებს კუდით ქვა ასროლინა.

— თამაშს ვაკონტროლებდით და სწორედ ამიტომ ვიმარჯვეთ — განაცხადა ავსტრიელთა თავკაცმა.

მართალიცაა, სამი გოლის გარდა სტუმრებმა ერთი პენალტი ვერ გაიტანეს — ივიცა ვასტიჩს ნიკოს პანაიოტუმ აუღო.

33-ე წუთიდან კვიპროსელები ათნი დარჩნენ — დიმიტრის იოანუ, რომელმაც კარის ხაზიდან ხელით გამოიტანა ბურთი, გააგდეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ისრაელი** | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| **ავსტრია** | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| **კვიპროსი** | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| **ესპანეთი** | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| **სან მარინო** | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 14 ოქტომბერი: ისრაელი — ესპანეთი; სან მარინო — ავსტრია*

## VII ჯგუფი

### აზერბაიჯანი 0:4 უნგრეთი

0:1 დარდაი (59), 0:2 ილეში (853), 0:3 ჰისონტი (88), 0:4 შ. ფეხერი (90)

**აზერბაიჯანი:** კრამარენკო (ჟიდკოვი 59), აგაევი, გაისუმოვი, ქერიმოვი, ლიჩკინი, აბუშევი, ასალოვი (მამედოვი 51), რზაევი, ყურბანოვი, ქამბაროვი (კასუმოვი 56), სურხაევი

**უნგრეთი:** კირალი, ჰრატკა, შ. ფეხერი, მატიუში, სებოკი, ჰისონტი, ლიშტეში (დომბი 75), დარდაი, ხორვატი (შ. ფეხერი 6), ილეში, ჰამარი

პირველი მატჩები მეტოქეებს წაგებული ჰქონდათ (შესაბამისად სლოვაკეთთან 0:3 და პორტუგალიასთან 1:3), რაც მათ დაპირისპირებას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდიდა.

აზერბაიჯანელები 85-ე წუთამდე იბრძოდნენ, მერე კი არ გატყდნენ, არამედ დაიფშვნენ — უნგრელებმა ბოლო ხუთ წუთში სამი (!) გოლი გაიტანეს.

63-ე წუთზე ვიაჩესლავ ლიჩკინი გააგდეს, კაცნაკლულმა აზერბაიჯანმა კი ბრძოლის უნარი საერთოდ დაკარგა.

### ლიხტენშტაინი 0:4 სლოვაკეთი

0:1 სოვიჩი (3), 0:2 დუბოვსკი (13), 0:3, 0:4 ტომაშეკი (36, 61)

**ლიხტენშტაინი:** ლენერი, ფრინგერი, ველერი (კოსტა 46), ჯორდაში, ბელინი, კორტოლი, კოსტელი, ბერლიმენი (ჰოლატონი 70), ვირნერი, რელე, სიმონორი

**სლოვაკეთი:** ვენცელი, შპილარი, ვარგა, ტომაშეკი, კინდერი, ტიტელი, იულიაკი (მაიოროში 46), დუბოვსკი, მორავჩიკი, ზვარა (ფაბუსი 70), სოვიჩი

ექსჩეხოსლოვაკიელთათვის ეს ზედიზედ მეორე გამარჯვება გახლდათ დიდი ანგარიშით და გოლის მიუღებლად. ასეთი შედეგით კი შესარჩევი ტურნირის მეორე ტურში ბევრი ვერ დაიკვეხნის.

სლოვაკთა უპირატესობა რომ აშკარა იქნებოდა, მოსალოდნელიც იყო.

ლიხტენშტაინს კი საფეხბურთო ქვეყნად ქცევა, ეტყობა, არ უწერია.

### პორტუგალია 0:1 რუმინეთი

0:1 მუნტეანუ (90)

**პორტუგალია:** ბაია, აბელ ხავიერი (დანი კარვალიო 84), დიმაში, ჟორჟე კოშტა, კოუტუ, პაულუ ბენტო (სერჟიო კონსეისაო 67), ფიგუ, ჟოაო პინტუ (ნუნო გომეში 78), სა პინტუ, რუი კოშტა, სანტუში

**რუმინეთი:** სტელეა, პეტრესკუ (კონტრა 83), ჩიობოტარიუ, ფილიპესკუ, გალკა, ჰოპესკუ, პეტრე, დ. მუნტეანუ, მოლდოვანი (მიხალჩა 89), კ. მუნტეანუ (ლუპესკუ 61), როსუ

მასპინძლები საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო დაისაჯნენ — 82-ე წუთზე პაულინიუ სანტუშს პენალტი ძლიერად რომ დაერტყა, ეგებ გოლიც გაეტანა და გუნდიც გაეხარებინა, მაგრამ ბურთს ფეხი გაუხახუნა, სტელეასაც მოგერიება არ გასჭირვებია. სულ ბოლო წამებზე კი მცველებმა იუხეშეს, მანტეანუმაც ცოცხალ კედელს ბურთი გადაავლო და შეაგდო — მცველების უკან მდგარმა ბაიამ ბურთს დროზე ვერ ჰკიდა თვალი, ამიტომაც გვიან გადახტა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რუმინეთი** | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| **სლოვაკეთი** | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| **უნგრეთი** | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| **პორტუგალია** | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| **აზერბაიჯანი** | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |
| **ლიხტენშტეინი** | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 14 ოქტომბერი: სლოვაკეთი — პორტუგალია; უნგრეთი — რუმინეთი; ლიხტენშტეინი — აზერბაიჯანი*

## VIII ჯგუფი

### მალტა 1:4 ხორვატია

1:0 სუდა (283), 1:1 სიმიჩი (54), 1:2, 1:3 ვუგრონიცი (68, 74), 1:4 შუკერი (85)

**მალტა:** მუსკატი, აგიუსი (ზამიტი 27), ჩეტკუტი, სპიტერი, დებონო, ბუტიგოგი, ბუსუტილი, კამილერი, სუდა (ტერნერი 83), ბრინკატი, ზარა

**ხორვატია:** ლადიჩი, სარიჩი, იარნი, სიმიჩი, შტიმაცი, ტუდორი, ასანოვიჩი, მარიჩი, შუკერი, ბობანი, ვიკო (ვუგრონიცი 45)

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსნებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, თანაც სტუმრად, რითაც თავიანთი განრისხებული გულშემატკივრების კეთილგანწყობა ნაწილობრივ დაიბრუნეს. ქომაგები კი 5 სექტემბრის შემდეგ იყვნენ გულნატკენნი, როდესაც მათმა ნაკრებმა სამარცხვინოდ წააგო ირლანდიის ეროვნულ გუნდთან.

ხორვატები მალტას შესუსტებული შემადგენლობით ეწვივნენ, თუმც ამას მათთვის მასპინძელთა განადგურებაში ხელი არ შეუშლია, მიუხედავად იმისა, რომ პირველად სწორედ მალტელებმა იხეირეს.

— შესვენებაზე ბიჭები დავარიგე, ტაქტიკურადაც გადავლაგდით და შედეგმაც არ დააყოვნა. მეორე ტაიმი ისეთი გამოდგა, როგორიც საერთოდ ყველა თამაში უნდა იყოს, ამიტომ მომავალში მისი ვიდეოფირი ჩვენთვის სამაგალითო იქნება — სტუმართა თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი კმაყოფილებას ვერ მალავდა.

მართლაც, ხორვატებმა მატჩის მეორე ნახევარში დიდებულად იბურთავეს, ისე, როგორც სამი თვის წინ საფრანგეთის სტადიონებზე. განსაკუთრებით ფორვარდები აქტიურობდნენ მსოფლიოს პირველობის საუკეთესო მეგოლის, ახლახან გამოჯანმრთელებული დავორ შუკერის თავკაცობით. მან გოლიც გაიტანა და მალტელი მცველებიც გვარიანად დააწიოკა. მშვენივრად ითამაშა ნაკრების ახალმა წევრმა დავორ ვუგრონიცმა, რომელიც კარგად მოერგო ბლაჟევიჩის სისტემას და ორი ბურთიც შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მაკედონია** | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| **ირლანდია** | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| **ხორვატია** | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| **მალტა** | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |
| **იუგოსლავია** | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*უახლოესი მატჩები. 14 ოქტომბერი: ირლანდია — მალტა; ხორვატია — მაკედონია*

## IX ჯგუფი

### შოტლანდია 3:2 ესტონეთი

0:1 ხოხლოვ-სიმსონი (35), 1:1 დოდსი (70), 1:2 სმირნოვი (76), 2:2 ხოხლოვ-სიმსონი (77 ს.კ.), 3:2 დოდსი (85)

**შოტლანდია:** ლეიტონი, უეირი, ბოიდი, კალდერვუდი (დონელი 56), ჰენდრი, დევიდსონი, გალაჰერი (ჯეკსონი 17), მაკკინლი, მაკოისტი (დოდსი 70), დურანტი, ჯონსტონი

**ესტონეთი:** პოომი, სმირნოვი, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, რუბა, ალონენი, ტერეხოვი, ოპერი, კრისტალი, [illegible], ზელინსკი

ფავორიტად მიჩნეული შოტლანდიელები ორჯერ აგებდნენ შეხვედრას და ორჯერვე მოახერხეს გათანაბრება. მეტიც, მათ გაიმარჯვეს და შეიძლება ითქვას, საკუთარი ქომაგების თვალწინ სირცხვილს გადაურჩნენ.

მატჩს ორი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავდა — ხოხლოვ-სიმსონი და დოდსი. პირველმაც ორი გოლი გაიტანა და მეორემაც, ოღონდ ესტონელმა ეს მეტოქისა და საკუთარ კარში მოახერხა, ხოლო დიდსი ბოლომდე გმირად დარჩა — ორჯერვე პოომი დაიბრიყვა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს — თავი ზემოხსენებულმა ხოხლოვ-სიმსონმა გამოიჩინა. 70-ე წუთზე უბერებელი ალი მაკოისტი ბილი დოდსმა შეცვალა, რომლის პირველივე შეხება ბურთთან გოლით დასრულდა და ანგარიშიც გათანაბრდა. თუმცა რამდენიმე წუთში სმირნოვმა ვეტერანი ჯიმ ლეიტონი კვლავ დაამწუხრა. ესტონელი ქომაგები ჯერ კიდევ ხარობდნენ, როდესაც ისევ და ისევ ხოხლოვ-სიმსონმა მეგობრის გარჯა წყალში გადაყარა და გაქვითა. შეხვედრას, რომელიც მართლაც ერთ-ერთი ყველაზე დრამატული გამოდგა ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის მეორე წრეში, ნაკრებში მეხუთედ მოთამაშე დოდსმა დაუსვა წერტილი — მან ალან ჯონსტონის კარგი პასი გამოიყენა.

— 1:2-ზე მეგონა,რომ აღარაფერი გვეშველებოდა და ევროპის ჩემპიონატზე ფიქრი უნდა დაგვესრულებინა, მაგრამ მართლაც საოცრება მოხდა, გუნდმა იბრძოლა და ჩვენდა საბედნიეროდ, გავიმარჯვეთ. რაღა თქმა უნდა, ბილი დოდსს გამოვყოფდი, რომელიც, ვფიქრობ, ცოტა ადრე უნდა შემეშვა მოედანზე — სქოთთა თავკაცი კრეიგ ბრაუნი მეტად ხარობდა.

### ბოსნია 1:3 ჩეხეთი

0:1 ბარანეკი (13), 0:2 შმიცერი (59), 1:2 ტოპიჩი (88), 1:3 კუკა (90)

**ბოსნია:** დედიჩი, ვარესანოვიჩი, კაპეტანოვიჩი, კონჯიჩი, კატანა, ჰიბერი, მუჯჩინი (ტოპიჩი 63), ჰალილოვიჩი, ბარბარესი, სალიჰამიჯიჩი (დემიროვიჩი 66), ბალიჩი (ბესირევიჩი 71)

**ჩეხეთი:** ჰოსტულკა, ლატალი, სუხოპარეკი, რეპკა, ვოტავა, ბარანეკი (რადა 71), ნემეცი, ბერგერი, ლოკვენცი (კუკა 80), შმიცერი (სლონჩიკი 85), ბეიბლი

ევროპის ჩემპიონატის წინა გათამაშების ფინალისტმა, ჩეხეთის ეროვნულმა გუნდმა სარაევოში მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა და ახლა მე-9 ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია. სტუმრები მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ — გოლი მიროსლავ ბარანეკმა გაიტანა. სხვა საინტერესო პირველ ტაიმში არაფერი მომხდარა.

შეხვედრის მეორე ნახევარი გაცილებით თვალსასეირო გამოდგა. გუნდები შედარებით გააქტიურდნენ, ტემპს უმატეს და სამი გოლიც გაიტანეს, თუმცა, მასპინძელთა სამწუხაროდ, სამიდან ორი მათ გაუშვეს. არადა, 88-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ტოპიჩმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა და ბოსნიელებმა შტურმიც მოაწყვეს, მაგრამ, როგორც ამგვარ სიტუაციებში ხშირად ხდება ხოლმე, კონტრშეტევა გამოეპარათ და კუკამაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

### ლიტვა 0:0 ფარერები

**ლიტვა:** სტაუჩე, სკერლა, მიკალაიუნასი (ჟვინგილასი 74), ჟუტაუტასი, ბალტუშნიკასი, ჟვერგჟდაუსკასი, მიკულანასი (ბუიტკუსი 46), ივანაუსკასი, პრეიკშაიტისი, სკარბალიუსი, იანკაუსკასი

**ფარერები:** მიკელსი, იუჰანესენი, ჰანსენი, ტორსტეინსონი, ჰენსენი, იოენსენი, იარნსკორი, იულიან იონსონი, ლეივტური (ბორგი 88), ტოდი იონსონი, პეტერსენი

აუტსაიდერთა შეხვედრა ისე წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო — ულიმღამოდ. მიუხედავად ამისა, მასპინძლებს აუცილებლად უნდა მოეგოთ. ამის შესაძლებლობა მათ ჰქონდათ, თანაც არაერთი, მაგრამ ვერ ივარგეს და წინასწარ დაგეგმილი სამი ქულიდან ორი ქარს გაატანეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩეხეთი** | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| **ესტონეთი** | 3 | 1 | 1 | 1 | 8:4 | 4 |
| **შოტლანდია** | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| **ბოსნია** | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| **ლიტვა** | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| **ფარერები** | 4 | 0 | 1 | 3 | 0:7 | 1 |

*უახლოესი მატჩები. 14 ოქტომბერი: ლიტვა — ბოსნია; შოტლანდია — ფარერები; ჩეხეთი — ესტონეთი*

## ბელგია

X ტური

**მუსკრონი 3:5 გენკი**

0:1 დე ოლივეირა (2), 0:2 სტრუპარი (12), 0:3, 0:4 ოლარე (24, 36), 1:4 პირე (44), 2:4 ბანი (52), 2:5 ოლარე (71), 3:5 ვან დურმე (88)

**ბრიუგე 1:1 სტანდარდი**

1:0 დე ბრული (4), 1:1 რემაკლე (52)
სტანდარდი: რუნიე, აფოლაბი, ბლეი, ერნსტი, რემაკლე, მედვედი, ჰაელდერმანსი (ფოლა 46), დე კონდე (ფასოტე 84), ალიაი, გოდფროიდი (ამუზუ 66), მორნარი

**ეკერენი 2:2 ოსტენდი**

1:0 ვან ანკერენი (2), 2:0 შმიდტი (35), 2:1 ვინდელსი (46), 2:2 ლუკაკუ (68)

**სენტ ტრიუდენი 3:0 ლიერსი**

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ვან მეირი, ჰოეფკენსი, დაემსი, ჰააგდორენი (ჰუისმანსი 56), ლეენი (ვანდერვეიერი 74), სერნეელსი, ჰუისტრა, კავენსი, სომერსი (ზდებელი 56)
1:0 ისაიაში (63), 2:0 მარტენსი (72), 3:0 ვან ოეკელენი (90)

**ლომელი 1:2 ლოკერენი**

1:0 ეშუნი (37), 1:1 ვონასეკი (44), 1:2 კოელერი (75)

**ანდერლეხტი 3:1 ჰარელბეკი**

1:0 სტალენსი (16), 2:0 ვან დიემენი (23), 3:0 შიფო (27), 3:1 კამარა (78 პ)

**შარლერუა 0:1 აალსტი**

0:1 ტრიებაუტი (50)

**ბევერენი 2:2 კორტრაიკი**

1:0 ზველაკოვი (1), 1:1 ჰეიმანსი (6), 1:2 კეიტა (53), 2:2 ზველაკოვი (67)

**ვესტერლო 3:3 გენტი**

0:1 ნილსენი (4), 1:1 იანსენი (24), 2:1 ბროგნო (29), 2:2 დელორგე (42), 3:2 პორტე (84 პ), 3:3 როუსელი (87 პ)

ახალ ტურს ცხრილის ზედა ოთხეულში არაფერი შეუცვლია. პირველ და მეორე ადგილზე მყოფმა გუნდებმა, „ლოკერენმა“ და „გენკმა“ სამ-სამი ქულა დაიმატეს და ისევ თანაბრად დარჩნენ. „ლოკერენის“ უპირატესობა გატანილ-გაშვებულთა უფრო დიდი სხვაობაა.

ერთნაირი შედეგი ჰქონდათ მესამე-მეოთხე ადგილებზე მყოფ „ბრიუგესა“ და „ვესტერლოსაც“. მათ ფრედ ითამაშეს თავიანთ მოწინააღმდეგეებთან, ასე რომ ბრიუგელთა ერთქულიანი უპირატესობა უცვლელად დარჩა.

ცვლილებები მერე იწყება. წინა ტურის შემდეგ მეხუთე ადგილზე დამკვიდრებული „სტანდარდი“ ერთი ადგილით ქვევით ჩაცურდა, მისი ადგილი მეშვიდე „სენტ ტრიუდენმა“ დაიკავა, მეშვიდეზე კი მეექვსე „გენტი“ ჩაქვეითდა.

ამრიგად, „ლოკერენმა“ და „გენკმა“ მდევრებთან დისტანცია გაზარდეს. „გენკს“ ამ საქმეში დიდად შეუწყო ხელი ბოლო დროს საუცხოოდ ათამაშებულმა სულეიმან ოლარემ. „მუსკრონის“ წინააღმდეგ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში ოლარემ ჰეთ-თრიკი შეასრულა და დაამტკიცა, რომ თასების თასის მეთექვსმეტედფინალში, გერმანული „დუისბურგის“ განადგურებისას მისი ორი გოლი და ორი საგოლე პასი შემთხვევითობა არ ყოფილა.

ზედიზედ სამი ფრედ ნათამაშევი შეხვედრის მერე როგორც იქნა გაიმარჯვა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანმა, მაგრამ ბოლო დროს დაჩაჩანაკებულმა „ანდერლეხტმა“. ბრიუსელის გუნდიდან „ჰარელბეკთან“ მატჩში თავი ვეტერანებმა, ლორენცო სტალენსმა და ენცო შიფომ გამოიჩინეს. მესამე პატრიკ ვან დიემენმა შეაგდო. აღსანიშნავია, რომ „ანდერლეხტი“ 27 წუთზე უკვე 3:0-ს იგებდა, გაშვებით კი მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე გაუშვა, ისიც პენალტით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკერენი | 10 | 7 | 2 | 1 | 23:9 | 23 |
| გენკი | 10 | 7 | 2 | 1 | 19:7 | 23 |
| ბრიუგე | 10 | 6 | 2 | 2 | 17:10 | 20 |
| ვესტერლო | 10 | 6 | 1 | 3 | 28:18 | 19 |
| სტ. ტრიუდენი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:10 | 17 |
| სტანდარდი | 10 | 5 | 1 | 4 | 18:10 | 16 |
| გენტი | 10 | 4 | 4 | 2 | 19:14 | 16 |
| აალსტი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:16 | 14 |
| ლიერსი | 9 | 4 | 1 | 4 | 17:13 | 13 |
| მუსკრონი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:18 | 13 |
| შარლერუა | 9 | 2 | 5 | 2 | 9:10 | 11 |
| ბევერენი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:16 | 11 |
| ეკერენი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:18 | 11 |
| ანდერლეხტი | 10 | 2 | 5 | 3 | 14:17 | 11 |
| ლომელი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |
| ოსტენდი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:27 | 7 |
| ჰარელბეკი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:17 | 6 |
| კორტრაიკი | 10 | 1 | 2 | 7 | 15:29 | 5 |

# პოლ ინსი დაისაჯა



სარბიელის არქივიდან

პოლ ინსი

უეფას დისციპლინარულმა კომისიამ შვედებთან თამაშისას გაძევებულ ინგლისის ნაკრების ნახევარმცველ პოლ ინსს დისკვალიფიკაცია კიდევ ორი მატჩით გაუგრძელა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ინსი „უემბლიზე“ ბელგიელებთან გასამართი დღევანდელი შეხვედრის გარდა ვერც ლუქსემბურგთან ითამაშებს ოთხშაბათს და ვერც პოლონელებთან 27 მარტს, ნაკრების ღირსებას კი ისევ შვედებთანლა თუ დაიცვას 1999 წლის ივნისში.

ლივერპულის ფეხბურთელი ასე მკაცრად ენის ზედმეტი ტარტალის გამო დაისაჯა — როდესაც იტალიელმა მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ მეორე ყვითელი ბარათის გამო მოედნიდან იფრინა, ინსი ფრიად განაწყენდა და პატივცემულ რეფერის უხამსობები აკადრა.

ინსთან ერთად კომისიამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც დასაჯა 27 ათასი ფუნტით — თქვენი ქომაგები ჰენრიკ ლარსენს რასობრივი სიმღერებით შეურაცხყოფდნენ და თანაც „რასუნდას“ სტადიონს ზიანიც მიაყენესო.

## ესპანეთი

მეორე დივიზიონი

VII ტური

**რაიო 2:1 სპორტინგი**

0:1 ოსკარი (41), 1:1 ვერგარა (50), 2:1 პაბლო სანსი (55)

**კომპოსტელა 2:1 ბარსელონა B**

1:0 ფაბიანო (20), 2:0 ბასტონი (89), 2:1 ლუისი (91)

**ლოგრონიესი 1:1 ეიბარი**

1:0 ინო (44), 1:1 დონოსტი (59 პ)

**სევილია 1:0 ერკულესი**

1:0 კევედო (81)

**ატლეტიკო B 2:1 ლას პალმასი**

1:0 ბარახა (27), 1:1 ხოსიკო (46), 2:1 ბარახა (88)

**რეკრიატივო 1:0 ბადახოსი**

1:0 პუნტასი (48)

**მალაგა 2:1 მალიორკა B**

1:0 კატანა (42 პ), 1:1 სარატე (57), 2:1 ლუკე (91)

**ლეიდა 3:1 ტოლედო**

0:1 კინი (31 პ), 1:1 ესკოდა (43), 2:1 მაქუედა (53), 3:1 როა (77)

**ნუმანსია 1:1 ალბასეტე**

1:0 კასტანო (21), 1:1 ლეანდრო (88 პ)

**ორენსე 1:4 ოსასუნა**

0:1 კრუჩაგა (22), 0:2, 0:3 სიგანდა (30, 47 პ), 1:3 კორტინა (73), 1:4 სიგანდა (81 პ)

**მერიდა 2:0 ლეგანესი**

1:0 ხაიმე (23), 2:0 საბასი (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 7 | 6 | 1 | 0 | 17:3 | 19 |
| მალაგა | 7 | 4 | 3 | 0 | 12:6 | 15 |
| ლეიდა | 7 | 5 | 0 | 2 | 13:9 | 15 |
| ტოლედო | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 14 |
| სევილია | 7 | 4 | 2 | 1 | 7:2 | 14 |
| ლას პალმასი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| მალიორკა B | 7 | 4 | 0 | 3 | 12:8 | 12 |
| კომპოსტელა | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 11 |
| რაიო | 7 | 2 | 5 | 0 | 9:7 | 11 |
| ატლეტიკო B | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| ლოგრონიესი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:9 | 11 |
| ოსასუნა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:6 | 10 |
| ერკულესი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | 7 |
| ორენსე | 7 | 2 | 1 | 4 | 4:11 | 7 |
| რეკრიატივო | 7 | 1 | 3 | 3 | 3:5 | 6 |
| მერიდა | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 6 |
| ალბასეტე | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 6 |
| ლეგანესი | 7 | 2 | 0 | 5 | 6:14 | 6 |
| ბადახოსი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:8 | 5 |
| ბარსელონა B | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | 5 |
| ეიბარი | 7 | 1 | 1 | 5 | 6:12 | 4 |
| სპორტინგი | 7 | 0 | 2 | 5 | 3:12 | 2 |

## იტალია

სერია B

VI ტური

**ატალანტა 1:1 რავენა**

0:1 ბილიოტი (35), 1:1 კაჩა (57 პ)

**ბრეშა 0:0 კოზენცა**

**ჩეზენა 0:0 ნაპოლი**

**ფ. ანდრია 1:0 ლუკეზე**

1:0 მანკა (53)

**ჯენოა 3:2 პესკარა**

0:1 ესპოზიტო (5), 1:1, 2:1 ფრანკიოზო (47, 54), 2:2 ლამბერტინი (71), 3:2 ფრანკიოზო (92)

**ტერნანა 2:1 მონცა**

1:0 მონეტა (15), 2:0 გრაბი (56), 2:1 ვინაროლი (84)

**ტორინო 2:0 კიევო**

1:0 ბონომი (19), 2:0 ფერანტე (51)

**ტრევიზო 3:1 კრემონეზე**

1:0 დე პოლი (25 პ), 1:1 გირარდელო (36), 2:1 დე პოლი (65), 3:1 მოსკელი (82)

**ვერონა 3:1 რეჯინა**

1:0 იტალიანო (30), 2:0 კამარატა (37), 2:1 ლორენცინი (79 პ), 3:1 ალიეტი (81 პ)

**რეჯანა 2:1 ლეჩე**

0:1 მარჯიოტა (29), 1:1, 2:1 მერი (76 პ, 86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრევიზო | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| ბრეშა | 6 | 3 | 3 | 0 | 7:1 | 12 |
| ვერონა | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| რავენა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| კოზენცა | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| ტორინო | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ტერნანა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 |
| ნაპოლი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:3 | 9 |
| პესკარა | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 |
| რეჯანა | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| ლეჩე | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 8 |
| კრემონეზე | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| ატალანტა | 6 | 2 | 2 | 2 | 3:4 | 8 |
| ჯენოა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| რეჯინა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:7 | 6 |
| მონცა | 6 | 1 | 3 | 2 | 2:4 | 6 |
| ფ. ანდრია | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| ლუკეზე | 6 | 0 | 3 | 3 | 2:5 | 3 |
| კიევო | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |
| ჩეზენა | 6 | 0 | 2 | 4 | 3:8 | 2 |

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

XIII ტური

**ბარნსლი 0:2 პორტ ვეილი**

0:1 ფოილი (47), 0:2 ბიდლი (56)

**ოქსფორდი 1:2 ტრანმერი**

1:0 ვინდასი (8), 1:1 ალენი (42), 1:2 გ. ჯონსი (69)

**ბრისტოლი 2:2 პორტსმუთი**

1:0 მურეი (11), 1:1 იგო (18), 1:2 კლარიჯი (70), 2:2 ანდერსენი (85)

**უოტფორდი 1:1 ბირმინგემი**

0:1 ადებოლა (22), 1:1 როუეტი (68 ს.კ.)

**ბრედფორდი 3:0 ბერი**

1:0 ბლეიკი (15), 2:0 მაკკოლი (55), 3:0 ბიგრი (67)

**სვინდონი 3:0 ჰადერსფილდი**

1:0 ონურა (1), 2:0 უოლტერსი (14), 3:0 ბალოკი (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 13 | 7 | 2 | 4 | 18:17 | 23 |
| სანდერლენდი | 11 | 5 | 6 | 0 | 25:7 | 21 |
| ბირმინგემი | 13 | 6 | 3 | 4 | 16:12 | 21 |
| ბოლტონი | 10 | 5 | 5 | 0 | 25:16 | 20 |
| უოტფორდი | 12 | 6 | 2 | 4 | 18:18 | 20 |
| იფსვიჩი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:7 | 19 |
| ბრედფორდი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:14 | 18 |
| შეფილდ იუნ. | 12 | 5 | 3 | 4 | 18:19 | 18 |
| ვულვზი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:9 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 11 | 5 | 2 | 4 | 23:20 | 17 |
| ნორვიჩი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:11 | 17 |
| გრიმსბი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:14 | 16 |
| ბერი | 13 | 4 | 4 | 5 | 9:11 | 16 |
| სტოკპორტი | 12 | 3 | 6 | 3 | 15:17 | 15 |
| პორტსმუთი | 13 | 3 | 5 | 5 | 20:19 | 14 |
| ბარნსლი | 12 | 3 | 5 | 4 | 16:17 | 14 |
| კრ. პალასი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:16 | 14 |
| პორტ ვეილი | 12 | 4 | 2 | 6 | 10:20 | 14 |
| ბრისტოლი | 13 | 2 | 6 | 5 | 20:25 | 12 |
| სვინდონი | 13 | 3 | 3 | 7 | 19:25 | 12 |
| ოქსფორდი | 13 | 3 | 3 | 7 | 17:26 | 12 |
| ქრიუ | 11 | 2 | 4 | 5 | 15:20 | 10 |
| ქუინზ პარკი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:18 | 9 |
| ტრანმერი | 11 | 1 | 6 | 4 | 8:17 | 9 |

## ამხანაგური მატჩი

**ჰოლანდია 2:0 პერუ**

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, კოკუ, ტალანი, რ. დე ბური (ზეედორფი 71), დავიდსი, ოვერმარსი (ვან ფოსენი 68), ბერხკამპი, კლუივერტი
პერუ: იბანესი, სოტო, სალასარი, რეინოსო, სოლანო, პალასიოსი, ფლორესი (უამანი 58), ხაიო, ბერნალესი (კომინგესი 74), პერედა, მაესტრი
1:0 სტამი (58), 2:0 ვან ფოსენი (75)

ფრანკ რაიკაარდმა გამარჯვებით დაიწყო. წარსულში ჩინებულმა, სამწვრთნელო საქმეში კი გამოუცდელმა ფეხბურთელმა ნარინჯისფერ ქვეშევრდომებს სამხრეთ ამერიკიდან როტერდამში ჩასულ სტუმრებთან, ჩილელებთან 2:0 მოაგებინა.

საგულისხმოა, რომ ევრო 2000-ის თანამასპინძლებმა (ბელგიასთან ერთად), ორივე გოლი შესვენების შემდეგ გაიტანეს. მეორე ტაიმზე კი ნათვაქმია, მწვრთნელის არისო.

რაიკაარდს საკმაოდ რთული ამოცანა აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატზე შთამბეჭდავი გამოსვლის მერე გუნდის სათავეში ჩადგომა, მოგეხსენებათ, ურთულესი საქმეა. ბუნებრივია, მისი შედარება წინამორბედთან, გუს ჰიდინკთან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გარდაუვალი იქნება.

ახალმა მწვრთნელმა ნაკრების ჰიდინკისეულ ვაირანტს ბევრი არაფერი შეუცვალა. პერუელებთან უინსტონ ბოგარდბა და არტურ ნუმანმა რომ არ ითამაშეს, მიზეზი ტრავმა იყო, ახალი მწვრთნელი კი არა.

ჰოლანდიელებმა ლაღი, შეტევითი ფეხბურთი გააჩაღეს, მაგრამ შექმნილი მომენტების გამოყენებაში მოიკოჭლებდნენ, პერუელებმა კი ისე ითამაშეს, გეგონება შეტევა რა არის, საერთოდ არ იციანო.

მეორე ტაიმის მე-13 წუთზე ანგარიში „მანჩესტერ იუნაიტედის“ უძვირფასესმა შენაძენმა, მცველმა იააპ სტამმა გახსნა. მან რონალდ დე ბურის ჩაწოდებულ კუთხურს თავურით მიუჩინა ადგილი ოსკარ იბანესის კარში.

შემდეგ, 66-ე წუთზე პატრიკ კლუივერმა გადააკვეთინა ბურთს მოწინააღმდეგის კარის ხაზი, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა შენიშნა, 75-ეზე კი მოედანზე შვიდი წუთის შესულმა პეტერ ვან ფოსენმა ნაკრებში თავისი პირველი გოლი გაიტანა. ვან ფოსენი ეროვნულ გუნდში პირველად 1994 წლის მაისში გამოჩნდა.

— პრინციპში, გვაქვს საიმისო საბაბი, რომ კმაყოფილები ვიყოთ — თქვა შეხვედრის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანმა, ფრანკ დე ბურმა — პირველ ტაიმში კარგად დავიწყეთ, ოღონდ მერე დაუდევრობა მოგვერია. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ ვითამაშეთ კარგად, თუმცა ზოგადად უკეთესად შეგვეძლო.



REUTERS ფოტოქრონიკა

პატრიკ კლუივერტი ძალიან კი ეცადა, მაგრამ გოლი ვერ შეაგდო


# სარბიელი

# სპორტული ლატარია „CROCO“

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

14 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| უელსი — ბელარუსი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| შვეიცარია — დანია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ნორვეგია — ალბანეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| საბერძნეთი — საქართველო | ანგარიში — 5,0 | | |
| სლოვენია — ლატვია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მოლდოვა — გერმანია | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 1:0 | 4,0 | 3,6 | 1,4 |
| თურქეთი — ფინეთი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| უკრაინა — სომხეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| საფრანგეთი — ანდორა | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| 0:4 | 1,6 | 5,0 | 2,6 |
| ისლანდია — რუსეთი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ლუქსემბურგი — ინგლისი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 2:0 | 2,8 | 3,6 | 1,7 |
| ბულგარეთი — შვედეთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| სან მარინო — ავსტრია | 14,0 | 8,0 | 1,05 |
| 2:0 | 2,8 | 4,7 | 1,6 |
| ისრაელი — ესპანეთი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ლიხტენშტაინი — აზერბაიჯანი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| უნგრეთი — რუმინეთი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| სლოვაკეთი — პორტუგალია | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ირლანდია — მალტა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:2 | 1,7 | 3,6 | 2,8 |
| ხორვატია — მაკედონია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,0 |
| ლიტვა — ბოსნია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შოტლანდია — ფარერები | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,7 |
| ჩეხეთი — ესტონეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანდელაკის გამარჯვება
## პირველი კრივი თბილისში

**ქართველმა მძიმეწონოსანმა გიორგი კანდელაკმა თავისი მესამე ბრძოლა გამართა პროფესიულ კრივში და მეორე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ბულგარელი ალექსანდრ ივანოვი. ამ ბრძოლას, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა იაპონური ბრძოლა-ჭიდაობის, რინგსის დამასრულებელ აკორდად, ხალხი მოუთმენლად ელოდა, რადგან საყვარელი და პოპულარული სპორტსმენი პირველად კრივობდა მშობელ მხარეში პროფესიონალად გახდომის შემდეგ.**

კანდელაკმა ბრწყინვალედ წარმართა ბრძოლა, რომელიც ძლივს გაგრძელდა ოთხწუთნახევარს.



გაპროფესიონალებული კანდელაკი პირველად ვიხილეთ თბილისში

ორივე მოკრივე წითელი ხელთათმანებით იბრძოდა, რაც დღევანდელ რინგზე მიღებული ამბავია. კანდელაკს თეთრქამრიანი ლურჯი ტრუსი ეცვა, თეთრზე კი წარწერილი ჰქონდა „ჯორჯ“ (გიორგი) და „ფაუა“ (ჯანი), ხოლო ბულგარელ თეთრ-მწვანედ აფერადებული ტრუსი ემოსა.

კანდელაკი რომ კარგი და ხიბლიანი მოკრივეა, ეს ადრეც ვიცოდით, მაგრამ როგორც პროფესიონალი, პირველად გამოჩნდა თბილისში და უნდა ითქვას, რომ ძალიან ღირსეულად. პირველ რაუნდში, როცა ბულგარელმა ფაფხური დაიწყო, კანდელაკმა მოძრაობის და თავდაცვის ორიგინალური ხერხებიც გამოამჟღავნა. სანამ ბრძოლა დაიწყებოდა, კანდელაკი იდგა და რინგის თოკებს ეხლებოდა ზურგით, თითქოს უნდა შეიგრძნოს ესენიო. ჰოდა, პირველი რაუნდი რომ დაიწყო, კანდელაკმა ივანოვი შიგნით დატოვა, თვითონ კიდე-კიდე დაიწყო სიარული, რაც ბულგარელისთვის შეტევის იმპაზე მომყვანი რამ უნდა ყოფილიყო. თუმცა, ივანოვის შეტევები დაბალი ხარისხისა იყო, კანდელაკი კი მოხდენილად ეხლებოდა თოკებს და ამით მშვენივრად გაურბოდა შეტევებს. ეგებ არც მთლად სწორი შედარება იყოს, მაგრამ დაცვის და თოკთოკ მოძრაობისა და თოკების მეშვეობით შეტევისგან გაქცევის ხერხი მუჰამედ ალიმ დანერგა და ამით არაერთი დიდი მოკრივე გააბითურა.

პირველი რაუნდის მიწურულს კანდელაკმა შეტევის ფხა გამოიჩინა და ადრე თუ კლასი მხოლოდ მის მოძრაობასა და თავდაცვაში იგრძნობოდა, ახლა შეტევაშიც გამოჩნდა. ისე კი, ცხადი იყო, რომ კანდელაკი დიდხანს არ გაუგრძელებდა საქმეს ბულგარელს. მეორე რაუნდი რომ დაიწყო, ეს შეგრძნება საქმედ იქცა და ვარიანელმა საქმეს მიხედა. გონგსა ჰკრეს თუ არა, კანდელაკმა აქტიურად შეუტია. მან ზედიზედ სამი კომბინაცია მიაყარა ივანოვს. სამივე კომბინაციაში დარტყმის გასვლის პროცენტი მაინცდამაინც მაღალი არ იყო, მაგრამ ბულგარელს ესეც ეყო. თანაც ერთ წამს, ვარიანელმა აშკარად დაინდო უცხოელი. მაგრამ პირველი ნოკდაუნისთვის, კანდელაკის აქტიურობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. მეორე ნოკდაუნი წამების ამბავი იყო — კანდელაკმა პირდაპირი მარჯვენათი ძირს დასცა ივანოვი. ეს საუცხოოდ შესრულებული დარტყმა იყო. რეფერი ევგენი გარსტოვმა, რომელსაც ბაფთა კი ეკეთა, მაგრამ თხელი რეზინის თათმანები კი სადღაც დავიწყნოდა, ჯერ თვლა დაუწყო ბოლგარს, მერე კი ახედ-დახედა, ბაგირს გადაეკიდა, რჩევა იკითხა და აშკარა უპირატესობის გამო კანდელაკს ტექნიკური ნოკაუტით მოაგებინა გამარჯვება.

ეს იყო გიორგი კანდელაკის, როგორც პროფესიონალი მძიმეწონოსნის მესამე შერკინება კრივში და სასიხარულოა, რომ მან ეფექტურად მოიგო, მაგრამ აქ აუცილებლად დგება მეორე საკითხიც, რის გამოც სამომავლოდ ფიქრი მოუწევთ საკრივო ორთაბრძოლების მომწყობთ საქართველოში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი პროფესიული კრივი მხოლოდ ჩატარებული ბრძოლა არ არის, ეს არის მთელი სისტემა სანახაობისა და პროფესია.



ივანოვს თავიდანვე შეეტყო, რომ კანდელაკთან განწირული იყო

კანდელაკ-ივანოვის ბრძოლა ჩაბმული იყო რინგსის დიდ სანახაობას და დანიშნული იყო ბოლო შერკინებად. აქედან გამომდინარე, სხვა ყველაფერი რაც ბოლო ბრძოლამდეა, იყო პუბლიკის გამახურებელი, მოკლედ რომ ვთქვათ, „ანდერ ქარდი“, ხოლო „ქარდი“ იყო კანდელაკ-ივანოვის ბრძოლა. მაგრამ, სინამდვილეში, რახან მთავარი რინგსი იყო, „ქარდი“ გამოვიდა ტარიელ ბიწაძე — ჰანს ნეიმანის რინგსული ბრძოლა ჩემპიონის ქამრისთვის, ხოლო კრივი, როგორღაც ცალკე დარჩა და ორგანულად ვერ შეერწყა მთელს სანახაობას. თავისი ხასიათით კანდელაკ-ივანოვის ჭიდილი იყო ნაღდი „ანდერქარდი“, ისეთი, როგორიც გიორგიმ ამასწინათ იჩხუბა ანკესვილის კაზინოს ტენტში, ლენოქს ლუის-ჟელკო ობრადოვიჩის „ქარდის“ წინ.

ამგვარი შეგრძნება კი იმიტომ გაჩნდა, რომ სპორტის დიადი სახეობა, კრივი, იმგვარ შოუ-სანახაობას ჩაება, როგორიც რინგსია. რინგსს, რა თქმა უნდა, თავისი ადგილი აქვს და სადაო არ არის, რომ კრივთან ისე ვერ ჩაებმევა. თუმცა, ეს ტრაგედია არ არის, დღევანდელ მოდერნულ დროში, ყველაფერი გასაგები და მისაღებია — აგე, ტაისონიც კი თეატრალურ ჭიდაობაში წიხლაობს.

და მაინც, გასარკვევი რჩება საკრივო ბრძოლის ორგანიზების დონე და წესები. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, კანდელაკი საბჭოს (ვბკ) ვერსიით კრივობს და ენაუნსერმაც (გამომცხადებელმა) თქვა, ეს სარეიტინგო ბრძოლააო. თუმცა, ენაუნსერს არ უთქვამს, რამდენრაუნდიანია შერკინება (ასეთ დონეზე ოთხ რაუნდს მორიგდებიან ხოლმე), მან თქვა, რომ კანდელაკს ოთხმოცდაათი ბრძოლა აქვს ჩატარებული, რითაც არჩი მურს ამოუყენა გვერდში (პროფესიულ რინგზე არ აცხადებენ სამოყვარულო შედეგებს). ბულგარელის გამო კი საერთოდ არ იყო ინფორმაცია. თანაც, არ გამოცხადებულა, რომელი ვერსიით არის 'კრივი. პროფესიულ რინგზე „ენაუნსს“ თავისი წესი აქვს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ენაუნსერის — ამირან ამირანაშვილის ბრალი არ არის. რა ინფორმაციაც მიეცა, ის წაიკითხა და თანაც, რინგსზე იყო მომართული და არა კრივზე.

და კიდევ — რინგსის პროგრამაში წერია, რომ კანდელაკი წარმოადგენს „რინგს საქართველოს“. და რომ შეერკინება ამერიკელ მოკრივეს საკვალიფიკაციო ბრძოლაში. ჩვენ ვიცით, რომ გიორგის რინგსიც უჩხუბია, მაგრამ ამგვარი აღრევა მაინც მიუღებელია. თანაც, კანდელაკის მოწინააღმდეგე არა ამერიკელი, არამედ ბულგარელი გამოდგა. თანაც, ე.წ. მესამე ბულგარელი, რადგან არც ტრენაფილოვი გამოდგა, არც სპასოვი, არამედ ივანოვი, პროფესიულ კრივში თოთხმეტიდან, თოთხმეტი ბრძოლის მომგები. იმ თოთხმეტი კაცის მოკრივეობა მათსავე სინდისზე იყოს, კანდელაკს ამით ჩრდილი არ ადგება, მაგრამ ამ ბულგარელს თავისი „კორნერიც“ კი არ ჰყავდა და რინგსის რუსი მასაჟისტი და ამირან ბიწაძისა და ერთი მაყურებლის მიერ ნაგვემი ბულგარელი მორინგსე სეფირ დოჩევი წარმოადგენდნენ მის „კორნერს“.



პირველები ვინ აიტაცებდნენ ხელში გიორგის?
რა თქმა უნდა, ვარიანელები!

აგრეთვე, კარგი იქნებოდა, რომ გვეხილა სამი დამთვლელი მსაჯი და არა ორი „გვერდითი“ მსაჯი, როგორც გამოცხადდა (ამათგან ერთ-ერთი რინგსის დიდმოხელე იაპონელი გახლდათ).

კარგი იქნებოდა, წინა დღით შოუაწონვა ჩატარებულიყო და ა.შ. და ა.შ.

თუმცა, ჩვენს კეთილ სურვილებს უფრო სამომავლოდ თუ გაითვალისწინებენ ორგანიზატორები. სარეიტინგო ბრძოლა ხომ, თუ სარეიტინგო ბრძოლაა, უბრალოდ, მაგრამ ყოველგვარი დაცვით და ღირსეულად უნდა ჩატარდეს.

კარგი იქნებოდა, ბრძოლის გასრულების მერე, მოკრივეებს პრესკონფერენცია გაემართათ, მაგრამ ეს საქმეც არ მოხერხდა.

ამიტომაც გასახდელებს მივაშურეთ და ჯერ ნათესავ-მეგობართა და გულშემატკივართაგან ალყაშემორტყმულ გიორგის ორიოდ სიტყვა ძლივს დავტყუეთ: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვე. მით უფრო, ეს გამარჯვება აქ, ქართველი გულშემატკივრებით გადაჭედილ სპორტის სასახლის რინგზე მოვიპოვე. თავიდან ვღელავდი, მაგრამ ბრძოლის დაწყების წინ დავმშვიდდი და ბულგარელს ჩემი მუშტის ძალაც ვაგემე. უფრო სასიხარულო ისაა, რომ ნოკაუტით დავამარცხე ივანოვი, რაც რეიტინგში მეტ ჩასათვლელ ქულებს მომიტანს. ხვალ ვარიანში ჩავალ, ცოტას დავისვენებ და მერე 15 ნოემბრის ლონდონური ჩხუბისათვის დავიწყებ მზადებას.“

კანდელაკისგან ნაცემ-ნაბეგვი ბულგარელი მოკრივისკენ სასაუბროდ რომ გავეშურე, ერთი კი გავიფიქრე, ივანოვი ინტერვიუს ხასიათზე ნაღდად არ იქნება და ემანდ გიორგის ჯავრი ჩემზე არ იყაროს-მეთქი, მაგრამ თვალდალურჯებული და გასავათებული ალექსანდრი ჩემდა გასაკვირად თავაზიანად დამთანხმდა ინტერვიუზე და კითხვებზეც ამომწურავად მიპასუხა.

**— ერთი ეს მითხარი, კანდელაკთან კრივობის ამბავი როდის გაიგე და რამდენად მოულოდნელი იყო შენთვის?**

— ჩვენთან ბულგარეთში ჯერ სპასოვი შეარჩიეს თბილისში გამოსაშვებად, მერე ტრენაფილოვი, საბოლოოდ კი, როგორც ხედავთ, აქ ჩამოვედი. ორიოდ დღის წინ შემატყობინეს და, რა თქმა უნდა, მოულოდნელიც იყო.

**— კი მაგრამ, ორ დღეში მოემზადე? ნუთუ ასე მორჩილად დათანხმდი საქართველოში წამოსვლას?**

— ეს საქმე მენეჯერებმა გადაწყვიტეს და მეც სხვა გზა არ მქონდა, მომზადებას რაც შეეხება, ასე მოკლე ხანში სასურველ ფორმაში შესვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ მე მანამდეც ვვარჯიშობდი, კანდელაკს თუ არა, სხვა მეტოქესთან ხომ მომიწევდა შეხვედრა.

**— დღევანდელ კრივზე რას იტყვი?**

— აბა, რა გითხრათ. თქვენც კარგად ნახეთ ყველაფერი. კანდელაკმა აშკარად მაჯობა. მისი პირდაპირი მარჯვენა სახეში რომ მომხვდა, კონცენტრაცია დავკარგე და მერე წინააღმდეგობა ველარ გავუწიე.

**— გიორგი კანდელაკზე თუ გსმენოდა რამე?**

— როგორ არა, ვიცოდი მოყვარულებში მსოფლიოს ჩემპიონია, პროფესიონალებში კი ორი ბრძოლა ჩაატარა და ორივე ნოკაუტით მოუგო ინგლისელ და ამერიკელ მოკრივეებს.

**— თავად რამდენჯერ გამოსულხარ პროფესიულ რინგზე?**

— თოთხმეტჯერ მიკრივია და ყოველთვის გამიმარჯვია, დღეს კი ხელი მომეცარა. წაგება წაგებად და რეიტინგში ქულებიც დამაკლდება.

**— ყველა პროფესიონალი მოკრივე მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობს, არც შენ იქნები გამონაკლისი.**

— ჩემპიონობა კი მწადია, მაგრამ ყველაფერს რეალურად ვუყურებ და კარგადაც ვიცი, საამისოდ ჯერჯერობით მზად არა ვარ. ისე კი, თქვენი კანდელაკი თუ საქმეს სერიოზულად მიუდგება, მისი მონაცემებისა და ნიჭის პატრონს დიდი გამარჯვებების მოპოვებაც შეუძლია.

დასასრულ კი, კარგი იყო, რომ ამ სანახაობის ტელერეპორტაჟიც შედგა. ეს სწორი პოლიტიკაა საწყის ეტაპზე. ჩვენ კი დაველოდებით გიორგი კანდელაკის მორიგ გამოჩენას თბილისის რინგზე. გიორგი კვლავ მოიგებს, საკრივო შოუ კი ნაღდად საკრივო იქნება.

**გიო ახვლედიანი**

**ბადრი ძეთილაძე (ფოტო)**

11 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
**3 ტური**

**სდასუ 81:93 ვითა (დ.დ.)**

I ტაიმი: 39:41; II ტაიმი 75:75

სდასუ: ორჯონიკიძე (3), ჩხეიძე (28), აბულაძე (11), გიგაშვილი (4), ქევხიშვილი (8); გიგაური (16), ახობაძე, მაჭარაძე (11)

ვითა: გაგნიძე (17), აბრამიძე (19), დავითულიანი (5), ორმოცაძე (24), ახალკაცი (6); კორძაძე, ჩუბინიძე (18), მუშკუდიანი (4)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: მურმან ქურიძე

# ...რჩებოდა 30 წამი...



[illegible] ფოტო

ვითელი ჩუბინიძე ჩხეიძისა (15) და მაჭარაძის ხაფანგში

„შევარდენთან“ გამოუცხადებლობისთვის ფედერაციის სასჯელი ექვსგზის ჩემპიონთათვის იმდენად დამთრგუნველი აღმოჩნდა, რომ უძნელეს მატჩში სდასუელებთან გამარჯვება, ჩვენი მოლოდინის მიუხედავად, მათ უდიდესი ნერვიულობის ფასად დაუჯდათ. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ „ვითას“ ტრავმების გამო სამი წამყვანი კალათბურთელი (ტურაშვილი, დადიანი, კოკოლიშვილი) აკლდა, მაგრამ თუ მისი მეტოქის კარგ თამაშსაც გავიხსენებთ, ეს მიზეზი ნაკლებად გამოგვადგება — ესოდენ მობილური და გააზრებულად მოთამაშე სდასუ წლეულს პირველად ვიხილეთ და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, ორ სასტარტო მარცხს ბრწყინვალე გამარჯვებითაც გააქარწყლებდა. მერედა, სტუდენტთა მსხვერპლი თვით მრისხანე „ვითა“ შეიქნებოდა. „ვითა“, რომელიც კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, ხოლო წინა სეზონში გაწეული ჯაფა ფედერაციამ ახლალა დაუფასა — ზედ მატჩის წინ დააჯილდოვა ჩემპიონის მედლებით (სდასუ-მ ბრინჯაო ირგუნა).

...რჩება 30 წამი. ანგარიში 75:75-ია. ბურთს სდასუ ფლობს და ხანგრძლივად ათამაშებს, „ვითა“ კი ხისტად იცავს თავს. ვინ ითავებს გადამწყვეტ სროლას? — ყველაფერს შოთა მაჭარაძემ მოჰფინა ნათელი, როდესაც ძირითადი დროის დამთავრებამდე 8 წამით ადრე თავადვე შეუტია. უშედეგოდ. დარჩენილ წამებში „ვითამ“ ველარ იყოჩაღა და პირველად მერვე ეროვნულში დამატებითი ხუთწუთეულიც ვიხილეთ.

მიხვდებოდით, თუ რა დრამატული მატჩის მომსწრე შეიქნებოდა ვერის ბაღში შეკრებილი მაყურებელი. მატჩისა, რომელიც მიმდინარე პირველობაზე საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ. იყო უშელავათო ბრძოლა, მოთამაშეთა თავგანწირვა და რაც მთავარია, თვალსაჩინო სანახაობა.

საწყისი წუთები სდასუ-მ მეტად აქტიურად ჩაატარა. ზედიზედ ორჯერ ჩხეიძემ ივარგა, რასაც აბრამიძემ ასევე ზუსტად უპასუხა და თამაშიც გახურდა. შემდეგ დროის მცირე მონაკვეთში სდასუელებმა რამდენჯერმე განახორციელეს კარგად დამუშავებული კომბინაცია — ქევხიშვილი წინა ცენტრზე ამოდიოდა და მეტოქის ფარის სიახლოვეს ორმხრივი ბლოკის შედეგად უმეთვალყუროდ დარჩენილი კალათბურთელი სწორედ ლევანის გადამწყვეტი პასის შემდეგ მშვიდად ათავსებდა ბურთს კალათში. ამად იყო, ერთხანს სდასუ წინაც რომ გაიჭრა და დაბნეულად მობურთალი „ვითას“ მწვრთნელმა ტომარაძემ მოედანზე ჩუბინიძე და მუშკუდიანი გამოუშვა. ეს უკანასკნელნი ჩინებულად ჩაერთვნენ თამაშში და ჯერ თანაფარდობა აღადგინეს, შემდეგ კი აბრამიძის ორი 3-იანის წყალობით დაწინაურდნენ კიდეც — 21:12. აქ, ჩემპიონები შედარებით მოდუნდნენ, რითაც სდასუელებმა უმალ ისარგებლეს და მათი სნაიპერის, ლადო აბულაძის დროული 3-იანებით ანგარიში ისევ თანაბარია — 34:34. ტაიმის ბოლომდეც ასე გაგრძელდა, მეტოქეები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ და 3 წამით ადრე ქევხიშვილის ზუსტი სროლის შედეგად „ვითამ“ ტაიმი ორი ქულითღა მოიგო.

მეორე ნახევარიც დაძაბულად დაიწყო. ორმოცაძის გარღვევას ჩხეიძემ 3-იანით უპასუხა. ისევ ჯიჯომ გამოიდო თავი — ბურთებიც ჩაჭრა, შეტევებიც დაასრულა და სდასუ-ს მორიგი ცხრა ქულიდან ცხრავე თავად მიითვალა. ეგ არის, ქულებთან ერთად სდასუელები ტრადიციულად ჯარიმებსაც აგროვებდნენ და მეორე ნახევარი ხუთი წუთის დაწყებული იყო, ქევხიშვილი რომ მოისაკლისეს.

ამავდროულად ჩხეიძესაც 4 პერსონალური ჰქონდა და დაცვაში მთელი ძალით, ბუნებრივია, ველარ ირჯებოდა. ამას ვითელების გააზრებული თამაშიც დაერთო და ორმოცაძისა და გაგნიძის შემწეობით მათ უპირატესობაც მოიპოვეს, თუმცა ყველაზე მეტი, რაც შეძლეს, 7-ქულიანი „გაქცევა“ იყო. ამის მიზეზი უდავოდ მაჭარაძე და გიგაური იყვნენ. ამ ბიჭებმა, ბოლოს და ბოლოს, თავიანთი ნამდვილი ძალა წარმოაჩინეს — სწორედ გიგაურის აქტიურობით დაწინაურდნენ სტუდენტები მინიმალურად 66:65. ამის შემდეგ მოვლენები მეტად დრამატულად წარიმართა. მეტოქეები ბოლომდე ათამაშებდნენ თითოეულ ბურთს და გულმოდგინედ ცდილობდნენ დაცვით ხაზებში ბზარების მონახვას, მაგრამ ამას ძნელად თუ ახერხებდნენ. დაძაბულობამ კულმინაციას ძირითადი დროის დამთავრებამდე 40 წამით ადრე მიაღწია, როცა ჩხეიძემ ორი პერსონალურიდან ერთი გამოიყენა და თავისიანები 2 ქულით დააწინაურა. ჩუბინიძემ უსწრაფესი გარღვევით უმალ გაათანაბრა — 75:75.

...რჩება 30 წამი...

...მაჭარაძემ აშკარად იჩქარა და გამარჯვებულის ბედის გარკვევა ოვერტაიმისთვის გადადო.

იქ კი „ვითამ“ თავიდანვე იძალა და ძალაგამოცლილ სტუდენტებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება გამოსტაცა.

**გიორგი ბიძაშვილი**

## დღეს ვითას საქმეს გაარჩევენ

დღეს 19 საათზე გაიმართება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, სადაც ჩვენთვის საინტერესო მრავალ დეტალს მოეფინება ნათელი. დღეს საბოლოოდ უნდა გაირკვეს „ვითა“-ს საქმე. გეხსომებათ, ეს უკანასკნელი „შევარდენთან“ გამოუცხადებლობისთვის დებულების თანახმად მკაცრად დასაჯეს და მათაც, თურქეთიდან დაგვიანებით ჩამოსულებმა, ფედერაციას თხოვნის წერილი გაუგზავნეს — ესა და ეს შეგვემთხვა და გაითვალისწინეთო. მოკლედ, დასხდებიან, კიდევ ერთხელ გადახედავენ ამ საქმეს და გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

ასევე გასარკვევია ეროვნული ჩემპიონატის ბედიც. ნაკრების სანოემბრო თამაშებისთვის მოსამზადებლად ლევან მოსეშვილს ისრაელური შეკრება დაუგეგმავს. ამ შემთხვევაში ჩემპიონატის I წრე შესაძლოა ოქტომბრის ბოლოს შეწყდეს და სავარაუდოდ, დეკემბრის შუა რიცხვებიდან განახლდეს.

შევიტყობთ თავდაცვის სამინისტროს მიერ ფედერაციის სახელზე მიწერილი მოთხოვნის სრულ შინაარსსაც. როგორც გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ გვითხრა, ჩვენი არმიის მამებს ასკ-ის აღდგენა განუზრახავთ და ამბობენ, ჩვენი ბიჭები დაგვიბრუნდებიან და მერვე ეროვნულში ჩაგვაბითო.

კიდევ აღმასკომის წევრები პირველ ლიგაზეც იმსჯელებენ. ამ საკითხით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სერიოზულად დაინტერესებულან და გადამწყვეტ სიტყვას აღმასკომისგან ელიან.

11 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
**3 ტური**

**მაკაბი 64:68 შევარდენი**

მაკაბი: ბოჭორიშვილი, ანდღულაძე (6), ტალაბაძე (9), პაპასკირი (12), ფერიაშვილი (16); ნაცვლიშვილი (9), რიჟინაშვილი (2), ფიცხელაური, დავარაშვილი, ჩხაიძე (10)

შევარდენი: კაზანჯიანი (5), მაჭავარიანი (7), არსიაშვილი, გაგნიძე (21), ნუცუბიძე (14); ხობელია (5), ცაგარეიშვილი, აკოლაშვილი (16)

მსაჯები: ლაშა თოიძე, დავით ანდრიაძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

## ნასალდათრებმა შევარდენი ააფრინეს

მატჩის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ „მაკაბის“ ნავსის გატეხვა ერთობ გაუჭირდებოდა. წინა ორმა დამარცხებამ, როგორც ჩანს, მაკაბელებს დიდი დაღი დაასვა და გუნდი მორალურად გატყდა. არადა, „შევარდენთან“ საპაექროდ ამ კლუბს საკმაო ძალა გააჩნდა — მოთამაშეთა სიმაღლე და კლასი ხომ არცთუ მცირე უპირატესობაა, მაგრამ... „მაკაბი“ ძალიან ქვევით დაეშვა. წლევანდელ პირველობაზე ჯერ თამაში არ მოუგია. გუნდში თავი და თავი პრობლემა კარგი გამთამაშებლის არყოლაა. ჩხაიძე მოვალეობას თავს კარგად ვერ ართმევს და გამთამაშებლის ჭაპანის ზიდვა ხშირად ანდღულაძეს უწევს. რის გამოც შეტევებში ნაკლებეფექტურია. ამ პრობლემას ისიც ემატება, რომ ბოლო ხანებში ნაცადი ტალაბაძე ხასიათის მოთამაშის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუ წაუვიდა თამაში, იცოცხლეთ, სამქულიანებითაც ბომბავს მეტოქ-ის კალათს, თუ არადა... სტაბილურად მხოლოდ ფერიაშვილი ირჯება, მაგრამ კალათბურთი გუნდური თამაშია და ერთი კაცს, აბა, რა შეუძლია...

ამ მატჩში „შევარდენი“ მობილიზებული და გააზრებული თამაშის იმედად უნდა ყოფილიყო. გუნდმა ეს შეძლო და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. თუმცა, ჯობს, მატჩის მიმდინარეობას მივყვეთ.

პირველი ტაიმის დასაწყისშივე ორივე გუნდის სასტარტო ხუთეულში ახალწვეულები გამოჩდნენ. ბოჭორიშვილიც და გაგნიძეც შარშანდელ პირველობაზე სკა-ს ღირსებას იცავდნენ, წლეულს კი ერთმანეთსი პირისპირ წარდგნენ. ბოჭორიშვილს მაკაბელთა დირიჟორობა ევალებოდა. მაგრამ მისი დებიუტი უიღბლო გამოდგა: პირველსავე წუთებში მუხლი დაიზიანა და გუნდს გამოაკლდა. რაც შეეხება გაგნიძეს, მისი თამაშით „შევარდენი“ უკმაყოფილო ნაღდად არ უნდა იყოს: ორივე ტაიმში შესრულებული 5 ზუსტი სამქულიანი სროლა გუნდს ერთობ წაადგა.

შევარდენელები თავიდანვე გააფთრებით ეკვეთნენ მეტოქეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ სიმაღლეში ჩამორჩებოდნენ, ფარზე ბრძოლაში ტოლი არ დაუდეს და დასაწყისშივე დაწინაურდნენ. მაკაბელებმა „შევარდენის“ ჩინებულ ბურთაობას ვერაფერი დაუპირისპირეს. ისინი ერთობ დაბნეულები ჩანდნენ და ხშირადაც სცოდავდნენ, როგორც საკუთარ, ასევე მეტოქის ფარზე.

„შევარდენი“ მოწინააღმდეგეზე ძლიერი სულაც არაა. უბრალოდ, თამაში უკეთ წარმართა, აქცენტი გაგნიძის სამქულიანებზე და ფარქვეშ მოქმედ ნუცუბიძეზე გააკეთა. ერთმა, და მეორემაც გაამართლა. გამოუცდელმა ნუცუბიძემ მართალია მხოლოდ 14 ქულა მიითვალა, მაგრამ მეტოქე ფერიაშვილი აშკარად დაჯაბნა და ჯარიმებიც ბლომად მიაღებინა. ანდღულაძემ ორი ტაიმი თითქმის შეუცვლელად ითამაშა, მაგრამ ეტყობა, თსუ-სთან მიღებული ტრავმა ისევ აწუხებს. ალბათ ამის გამოცაა, რომ პირველ ნახევარში მხოლოდ ორ ქულას დასჯერდა. მაკაბელები უიღბლო და უშედეგოდ გარჯამ წყობიდან გამოიყვანა, რაც მათ თამაშსაც აშკარად დაეტყო. ერთ-ერთი კონტრშეტევისას ჩხაიძე, პაპასკირი და ანდღულაძე ერთი მეტოქის წინაშე დარჩნენ. სამივე სცადა ფარის დალაშქვრა, მაგრამ ამაოდ. ამან ისედაც არეული „მაკაბის“ რიგები უფრო მეტად არია და „შევარდენმა“ ტაიმი საკმაოდ სოლიდური სხვაობით, 12 ქულით მოიგო.

მეორე ნახევარში ერთი პირობა შევარდენელების სათამაშო უპირატესობა აშკარა გახდა. დასაწყისშივე მათ შორის ახალწვეული აკოლაშვილი გამოჩნდა, რომელიც თამაშში კარგად ჩაერთო და ზუსტი სამქულიანებითაც დაგვამახსოვრა თავი.

მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე „შევარდენს“ ანგარიში 86:47 მიჰყავდა. დიდი სხვაობის დაწინაურებამ გუნდზე ცუდად იმოქმედა. შევარდენელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და მოეშვნენ. „მაკაბი“ ვა-ბანკზე წავიდა, გახსნილი თამაშით სხვაობის შემცირებას ცდილობდა. აკი გამოუვიდა კიდეც. დარჩენილ დროში პაპასკირის, ფერიაშვილის და ნაცვლიშვილის გარჯამ ნაყოფი გამოიღო და „შევარდენი“ მხოლოდ 4 ქულასღა იგებდა. ისინი ბურთს ბურთზე აფუჭებდნენ. ამაში მეტოქემაც მხარი აუბა და მოედანზე ორმხრივი უმიზნო გადაცემები და არაზუსტი სროლები გაჩაღდა. ამით კი „მაკაბი“ უფრო დაზარალდა. ანდღულაძემ ზედიზედ ორი სამქულიანი გააცუდა, ნაცვლიშვილმაც ოთხი საჯარიმოდან მხოლოდ ორჯერ იხეირა და „მაკაბიმ“ დაკარგა მატჩის გადარჩენის შანსი. ბოლოს მაკაბელები შეგნებულად ჯარიმდებოდნენ. „შევარდენმა“, მართალია დიდად ვერ იხეირა საჯარიმოებით, მაგრამ მატჩი მაინც მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე.

**მამუკა ტულუზი**



[illegible] ფოტო

ფერიაშვილმა ამჯერად დაუფარა გაგნიძეს, მაგრამ შევარდენელი მაინც საუკეთესო იყო



სტუდენტური ჯახი: მარკოიშვილი (ბურთით) ნაცვლიშვილის წინააღმდეგ

# დადგინდა: ლიდერი ერთია!

12 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
3 ტური

**თსუ 85:93 სტუ**

I ტაიმი: 39:45

თსუ: ვეფხვაძე (2), ნონელია (12), მარკოიშვილი (10), ცქიტიშვილი (20), ხელაშვილი (18); არსიაშვილი (10), მშვილდაძე (7), გელაშვილი, დიმიტრიადი (6)

სტუ: მიქაძე (5), ტულუში (10), ნაცვლიშვილი (17), ნოზაძე, ოთიურიძე (26); მოისწრაფიშვილი (7), სუხიშვილი, ჩერქეზიშვილი (5), ლოსაბერიძე (14), მინაშვილი (7), ცხვედიანი (2)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, გია მოლოდინაშვილი

დელეგატი: მურმან ქურიძე

სტუდენტური დერბი საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების მონაწილეობით დაძაბული, მაგრამ არცთუ მიმზიდველი გამოდგა. ამ მატჩს ჰქონდა თავისებური ხიბლი, მაგრამ გულშემატკივარი გაცილებით მეტს ელოდა, რამეთუ ამ დუელს წმინდა სპორტული პრინციპების გარდა დამატებითი დატვირთვაც გააჩნდა: აქამდე უდანაკარგოდ მოსული ამ გუნდებიდან გამარჯვებული პოზიციებს ერთი ორად გაიმყარებდა და „აზოტის" იძულებითი შესვენებისას (ყოველ ტურში ერთი გუნდი ისვენებს) სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცეოდა.

ამიტომაცაა, რომ ვამბობთ, მეტს ველოდითო, თორემ საკუთრივ თამაში და განსაკუთრებით პირველინახევარი არცთუ უინტერესო გახლდათ. მოთამაშეები ერთმანეთს არ ინდობდნენ და თუ მეორე ტაიმი შინაარსობრივად გაცილებით უფერულად წარიმართა, ამაში წვლილი მსაჯებმაც დაიდეს. მათ ერთი-ორჯერ მატჩის სადავეები ხელიდან გაუშვეს, რამაც ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად დამარცხებულების უკმაყოფილება გამოიწვია. დავა-კამათი თამაშის შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ, საბედნიეროდ, შეხლა-შემოხლაში არ გადაზრდილა და მოდავეებიც მიმოიფანტნენ.

ამჯერად ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ მომავალში ამის განმეორების საშიშროება ნამდვილად არსებობს. აბა, რა იქნება, როცა მთელი პირველობის სიმძიმე სამ-ოთხ მსაჯზე გადადის და ეს გამოუცდელი ბიჭებიც ასე, თამაშ-თამაშ თუ ისწავლიან რამეს.

მსაჯობა მსაჯობად, ამ თემას, გვინდა არ გვინდა, სხვა დროსაც დავუბრუნდებით. ახლა კი თავად მატჩზე ვთქვათ, რომელშიც სხვაც ბევრი იყო მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი.

აშკარაა, ოქრუაშვილი — ცირეკიძის ტანდემი მეტად ნაყოფიერად მუშაობს. ეს მწვრთნელები სადაც მივიდნენ, ყველა გუნდს თავიანთი ხელი დაატყვეს. განსაკუთრებით სელექციური სამუშაოები უნდა შევუქოთ და ის, რომ სტუ-ს ყველა რგოლი თანაბრად და ძლიერად დაკომპლექტებულია, მათმა თამაშებმაც ცხადყო.

თსუ-ს ყველაზე დიდი სატკივარი, ალბათ, ძლიერი გამთამაშებლის არყოლაა. დავინახეთ, თუ რა ძალას წარმოადგენდა ამ გუნდისთვის ახლა უკვე „აზოტში" მობურთალი ჟლენტი. ვეფხვაძეს და მშვილდაძეს მონდომებას ნამდვილად ვერ დავუკარგავთ, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელები არიან და თუ შარშან „დინამო 2"-ში ჩერქეზიშვილის ხელქვეშ იწვრთნებოდნენ, ახლა უკვე „ნიკო მასწავლებელს" მოედანზე დაუპირისპირდნენ და რა გასაკვირია, რომ ამ ბარიერის გადალახვა მათთვის მეტად ძნელი გამოდგა. თანაც თსუ-ს მგალობლიშვილიც აკლდა, რომელიც, მართალია, ნომინალური პირველი ნომერი არ გახლავთ, მაგრამ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ამასაც ითავსებს ხოლმე.

ყველაზე საინტერესოდ, ალბათ, მაინც მატჩის დებიუტი წარიმართა. თსუ-მ ზონური დაცვა ირჩია, რასაც კოლეგებმა პერსონალური მეურვეობა დაუპირისპირეს. ანგარიში წოწელიამ გახსნა, თუმცა ტულუშმა უმალ გაათანაბრა, ოთიურიძის ჩაგდებულს ხელაშვილმა უპასუხა, ისევ წოწელიამ ივარგა და არც ოთიურიძემ დააყოვნა. მეათე წუთამდე სულ ასე გრძელდებოდა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება და ამ ხნის განმავლობაში მეტოქეები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ. ხოლო როცა მიქაძემ გარღვევა ზუსტად დააგვირგვინა, სტუ, პირველად ამ შეხვედრაში, ოთხი ქულით დაწინაურდა 19:15. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა ქორქიას შეგირდები წუთშესვენებაზე ეხმო და დაერიგებინა, თუმცა ამით მეტოქემ უფრო იხეირა და მოისწრაფიშვილის 3-იანს მინაშვილმა 2 ქულაც რომ წაამატა, სხვაობამ უკვე თერთმეტ ქულას მიაღწია. ასე არ უნდაო და ქორქიამ უმალ მეორე ტაიმაუტიც მოითხოვა — შეატყო, რომ ბიჭები ზედმეტად ნერვიულობდნენ და დაამშვიდა, თანაც ცქიტიშვილს მეტი აქტიურობა მოსთხოვა და ტაქტიკურადაც დამოძღვრა. ალბათ ამიტომაც იყო, ნიკამ რომ გაილაღა, შედარებით მაღლა ამოიწია და აქედან მეტი სარგებელი მოუტანა გუნდს. იქამდე ჩრდილში მდგარი ქულას ქულაზე აგროვებდა და სტუ-მ ტაიმი მხოლოდ ექვსი ქულით 45:39 რომ მოიგო, მთლიანად ცქიტიშვილის დამსახურებაა.

განახლდა თამაში და მოსახდენიც მოხდა. ფიზიკურად ძლიერი სტუ მთელი ძალით ამოქმედდა და სამწუთეული 8:0 მოიგო. შემდეგ წოწელიამ ორი ბურთი კი ჩააგდო, მაგრამ ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მეხუთედ დაჯარიმდა. მოლოდინაშვილმა მას ეს არ აკმარა და გოჩამ პროტესტი რომ გამოთქვა, ტექნიკურიც მიადევნა. ამან თსუ ფსიქოლოგიურად დათრგუნა და გონს ვერაფრით მოეგო, ამასობაში კი მოწინააღმდეგე 17 ქულით „გაექცა".

ამის შემდეგ საინტერესო არაფერი მომხდარა. გუნდებმა დაცვაზე სულ აიღეს ხელი და მატჩიც, ასე ვთქვათ, გადარბენას დაემსგავსა. ეს კი სტუ-ს უფრო აძლევდა ხელს, რომელიც ნაცვლიშვილისა და ლოსაბერიძის გარღვევებით მშვიდად აგროვებდა ქულებს.

თუმცა თსუ-ს ერთი შანსიც მიეცა, როცა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ხელაშვილმა სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა, მაგრამ ოქრუაშვილის მიერ დარიგებულმა, გამოცდილმა ჩერქეზიშვილმა ბურთის ბოლომდე გათამაშებას მიჰყო ხელი და გუნდს აუღელვებლად დაუბევა შემდეგ ტურამდე ლიდერობა.

გიორგი ბიძაშვილი

# ნიკოლაძე რომ არა...

12 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
3 ტური

**დინამო 79:77 კოლხა**

I ტაიმი: 27:39

დინამო: ნიკოლაძე (33), ნიკლაური (12), ყველაშვილი (2), შანიძე (10), მეჭურჭლიშვილი (8); ხეცურიანი (1), მანჯგალიშვილი (2), მაისურაძე (11)

კოლხა: არველაძე, ბერია (11), კვაჭაძე (12), ქვილითაია (10), უგრეხელიძე (24); აბულაძე (5), თოდუა (2), ქარუმიძე, კეიდია (2), ბერიშვილი (11)

მსაჯები: ლაშა თოიძე, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

„კოლხას" პირტიტველა ბიჭებისა და „დინამოს" ახლანდელი ახალგაზრდული შემადგენლობის პაექრობა ჯერ კიდევ ბავშვთა ლიგაში დაიწყო და აგერ უმაღლეს ლიგაში გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ კლუბებს განსხვავებული მიზნები აქვთ, იმთავითვე ნათელი იყო — „კოლხა" „დინამოსთვის" ადვილი დასაძლევი არ იქნებოდა. სოხუმელები ჩემპიონატში ფეხის მოკიდებას ცდილობენ, დინამოელები კი, როგორც ყოველთვის, მინიმუმ ოთხეულს უმიზნებენ. და მაინც, „კოლხა" კერკეტი კაკალი გამოდგა, ის კი არა, გამარჯვებასთან მეტად ახლოს იყო. თუ წინა ორ შეხვედრაში კოლხებს მედგარ ბრძოლას ვუქებდით და დამარცხებას მათ გამოუცდელობას ვაბრალებდით, ამ მატჩში მარცხის მიზეზი უიღბლობა გახლდათ. ეს რომ არა, დინამოელები წლეულს პირველად წააგებდნენ და მოედანსაც თავჩაქინდრულნი დატოვებდნენ, მაგრამ...

კოლხები, როგორც ჩვევიათ, თავიდანვე გამეტებით ეკვეთნენ მეტოქეს და პირველი ორი ქულაც მიითვალეს. თავის მხრივ, „დინამომაც" ნაცად პრესინგს მიმართა და გაუმართლა კიდეც. თბილისელები საკუთარ ფარზეც და შეტევაშიც კარგად ირჯებოდნენ, პრესინგით შებოჭილ სოხუმელებს კი ქულების მოპოვება უჭირდათ. პირველი 5 წუთი, რომელიც „დინამოს" ორქულიანი უპირატესობით დამთავრდა, იმის მაუწყებელი იყო, რომ მატჩი მეტად დაძაბული და უშელავათო იქნებოდა და ასეც მოხდა.

„კოლხას" გამოცოცხლებას და დაწინაურებას სათავე უგრეხელიძემ დაუდო. 17 წლის „ბაჯბაჯა" ცენტრი დინამოელთა დაცვას დაუძვრა და კალათში ჩატენა. თითქოს „კოლხა" ამას ელოდაო, 7 ქულით წინ გაიჭრა. მალე მოედანზე აბულაძე გამოჩნდა — მისი და უგრეხელიძის ტანდემი შეუჩერებელი იყო და დინამოელებს პირწმინდად მოუგო ფარზე ბრძოლა. მოსეშვილმა მდგომარეობის გამოსასწორებლად ტრავმამოშუშებალი მაისურაძე გამოიყვანა. „დინამომ" კვლავ პრესინგს მიმართა. ამას კოლხი აბულაძის ტრავმაც დაერთო (მას კოჭი ამოუბრუნდა) და სოხუმელებს დაბნეულობა დაეტყოთ, რაც 7 გუნდურ ჯარიმაშიც აისახა. ტაიმის დასასრულამდე 5 წუთით ადრე დინამოელებმა მინიმუმამდე შეამცირეს ანგარიშში სხვაობა 21:24, მაგრამ „კოლხა" მატჩის სადავეების ხელიდან გაშვებას არ აპირებდა და თამაშიც გააზრებით წარმართა. ეულად დარჩენილმა უგრეხელიძემ საკუთარ ფარსაც მიხედა და მეტოქეც აიკლო. მას არც ბერია და ქვილითაია ჩამორჩნენ და ანგარიში 14 ქულით (35:21) გაიზარდა. „დინამომ" გაიბრძოლა, მაგრამ დიდად ვერ იხეირა, მით უმეტეს, ხელდაკრეფით არც „კოლხა" იყო, რომელმაც ტაიმი 39:27 მოიგო.

პირველი ნახევრის დარად, უგრეხელიძის წყალობით „კოლხამ" შესვენების შემდეგაც იხეირა. „დინამომ" კვლავ პრესინგს მიმართა და ფარზე სოხუმელთა ბატონობის წინააღმდეგაც გაილაშქრა. თბილისელთა შეტევებს ნიკოლაძე დირიჟორობდა და არც თუ უშედეგოდ. მან ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო (სულ მატჩში — 5), „დინამოს" თავგამოდებამ ნაყოფი გამოიღო, გუნდმა დაცვაშიც გამოასწორა საქმე და შეუძლებელიც შეძლო, სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა — 46:48. „კოლხამ" საფრთხე იყნოსა და 6 ქულით დაწინაურდა. თუმცა ეს დროებითი აღმოჩნდა — მაისურაძის სამიანს შანიძემაც სამიანი მიაყოლა. კოლხებს დაბნეულობა დაეტყოთ, ბერიამაც ორივე საჯარიმო გააცუდა, უგრეხელიძეც დაიღალა და დინამოელები ნიკოლაძის სამიანის წყალობით პირველად დაწინაურდნენ 58:61. სოხუმელებმა მდგომარეობის გამოსწორება შორი სროლებით სცადეს, მაგრამ არ გაუმართლათ. და ისევ უგრეხელიძე — მან თამაშის შემობრუნება ითავა, მაისურაძეს დააფარა კიდეც და შეტევეშიც ივარგა. „კოლხა" რომ გამოცოცხლდა, ტრავმირებულ კვაჭაძის დამსახურებაც გახლდათ — მისი სამიანით ანგარიში გათანაბრდა. ამან დინამოელები ქააბნია, რითაც ბერიშვილმა ისარგებლა, მთელი მოედანი ხელშეუხებლად გადაჭრა და ორი ქულაც მიითვალა. ამის მერე ცოტა ხნით ორმხრივი უხეირო ბურთაობა გაჩაღდა. ორივე გუნდმა რამდენიმე შეტევა ჩააგდო. პირველად გონს მაინც „დინამო" მოვიდა — მაისურაძის გამოცდილებამ თავისი გააკეთა. და მაინც, დაწინაურებას ვერც ერთი გუნდი ახერხებდა.

ბოლო წუთის დასაწყისში ანგარიში თანაბარი იყო — 72:72. თავიდან „დინამომ" გააცუდა შეტევა და ამით „კოლხამ" ისარგებლა. ამას საკადრისი პასუხიც მოჰყვა — ნიკოლაძის ორი სამქულიანი.

მეტოქის 2 სამიანიდან ერთი ბერიშვილმა გაქვითა და 15 წამით ადრე „დინამო" ქულასღა იგებდა 78:77. კოლხებმა შეგნებული ჯარიმა „აკიდეს" ნიკოლაძეს, რომელმაც 2 სროლიდან 1 გამოიყენა. სოხუმელებს შეტევისათვის დრო კი დარჩათ, მაგრამ კვაჭაძემ სამქულიანი ვერ ჩააგდო და „დინამომ" დაძაბულ შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწია.

მამუკა ტულუში



წამიც და მაისურაძე კვაჭაძეს გასცდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაფერი წესრიგშია:
## სენსაციებიც, ჩხუბებიც, გოლებიც

გასულ უქმეებზე ნჰლ-ში გაიმართა პირველი 17 მატჩი, გაიმართა, რომლებიც ლაღი და საინტერესო თამაშით გამოირჩა. მოხდა რამდენიმე სენსაციაც. მოულოდნელი იყო თასის მფლობელ დეტროიტის მარცხი აუტსაიდერ ტორონტოსთან, ასევე უხეიროდ დაიწყეს სეზონი ნიუ ჯერსიმ და კოლორადომ, რეინჯერსი კი მონრეალში სასტიკად განადგურდა.

**მონრეალი — რეინჯერსი 7:1 1:1, 1:0, 5:0**

შაიბები: 1:0 კოივუ 9'50 (1); 1:1, გრეივზი 11'13 (1); 2:1 დამფუსი 33'32 (1); 3:1 რივე 42'35 (1); 4:1 ბრიუნე 46'27 (1); 5:1 ტორნტონი 31'02 (1); 6:1 ულანოვი 55'21 (1); 7:1 კლარკი 55'55 (1);

მონრეალი, 10 ოქტომბერი

სეზონი დაიწყო, რეინჯერსის ქომაგებმა კი უკვე ჩამოყარეს ყურები. ფილადელფიასთან უფერული თამაშის შემდეგ მონრეალში ნიუიორკელები მთლად უსუსურად გამოიყურებოდნენ და ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ მეორე პერიოდში არ განადგურდნენ, რადგან მასპინძლებმა 13-ჯერ (!) მეტი დარტყმა განახორციელეს. როდესაც ბენუა ბრიუნემ უმცირესობაში მეოთხე გოლი გაიტანა, სტუმრებმა ყოველგვარი წინააღმდეგობა შეწყვიტეს. მონრეალელებმა კი, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის წინ უამრავი საკადრო პრობლემა აწუხებდათ (მაგალითად, წამყვანი მცველი მალახოვი მატჩამდე ერთი დღით ადრე შეუერთდა გუნდს), ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მათმა ყველაზე ძვირადღირებულმა ფორვარდმა მარკ რეკიმაც გამოიჩინა თავი 5 პასით.

9 ოქტომბერი

**რეინჯერსი — ფილადელფია 0:1 0:0, 0:1, 0:0**

0:1 დეიგლი 25 წთ 45 წმ (1 შაიბა)

ფილადელფიის ახალმა მეკარემ ჯონ ვანბისბრუკმა „მფრინავთა" შორის დებიუტი შათაუტით (20 მოგერიება) აღნიშნა.

**ფლორიდა — ტამპა 4:1 0:1, 1:0, 3:0**

0:1 კოლიმორი 17'29 (1); 1:1 კოზლოვი 25'43 (1); 2:1 პერიში 42'34 (1); 3:1, პერიში 48'24 (2); 4:1, კოზლოვი 56'45 (2).

ახალი არენის გახსნას ფლორიდელთა დებიუტანტებმა მარკ პერიშმა და ოლეგ კვაშამ (ორი პასი) ვიქტორ კოზლოვის (2+2) შემწეობით შესაბამისად 2 გოლი და 2 პასი მიუძღვნეს. ტამპელთა ამომავალმა ვარსკვლავმა ვენსან ლეკავალიემ კი თავისი ერთადერთი საგოლე შანსი ვერ გამოიყენა.

**კალგარი — სან ხოსე 3:3 1:1, 1:0, 1:2**

0:1 მერფი 16'16 (1); 1:1, უიმერი 16'42 (1); 2:1, ბურე 27'03 (1); 2:2 რატიე 46'14 (1); 3:2 კესელზი 49'44 (1); 3:3, რიჩი 57'42 (1).

ტოკიოს „იოიოგი არენაზე" უმცროსმა ვალერი ბურემ (1+1) ღირსეულად წარმოაჩინა თავისი ოჯახი.

10 ოქტომბერი

**აილენდერსი — პიტსბურგი 3:4 1:4, 2:0, 0:0**

0:1 იაგრი 4'50 (1); 0:2 ლანგი 5'42 (1); 0:3 მოროზოვი 6'02 (1); 0:4 ვერენკა 18'04 (1); 1:4 იონსონი 19'51 (1); 2:4 ლინდენი 25'03 (1); 3:4 ლინდენი 36'58 (2);.

მასპინძლებს სამიოდ დღის წინ კონტრაქტზე ხელმოწერილი ტრევორ ლინდენის ორმა გოლმაც ვერ უშველა.

**კაროლინა — ტამპა 4:4 1:1, 3:0, 0:3**

1:0 კრონი 4'37 (1); 1:1 კლარკი 5'51 (1); 2:1 ნესონი 24'07 (1); 3:1 ფრენსისი 29'18 (1); 4:1 ემერსონი 35'29 (1); 4:2 კლარკი 40'27 (2); 4:3 კალიმორი 41'24 (1); 4:4 ჯენი 48'33 (1);.

**ტორონტო — დეტროიტი 2:1 1:1, 1:0, 0:0**

0:1 მერფი 7'10 (1); 1:1 ბერეზინი 19'33 (1); 2:1 მაკოული 35'30 (1);.

აი, ჩემპიონატის პირველი სიურპრიზიც. მეკარე კერტის ჯოზეფის ყოჩაღობამ ტორონტოელებს ფრთები შეასხა და ახალგაზრდა ალან მაკოულის ლამაზი შაიბის შემდეგ მასპინძლებმა ღირსეულად დაიცვეს საკუთარი კარი თასის მფლობელთა მრავალრიცხოვანი შეტევებისგან.

**ბოსტონი — სენტ ლუისი 3:3 1:2, 1:1, 1:0**

0:1 ტვისტი 8'59 (1); 0:2 დემიტრა 16'07 (1); 1:2 შაინცე 18'19 (1); 1:3 დემიტრა 33'31 (2); 2:3 სამსონოვი 37'08 (1); 3:3 ბაუმგარტნერი 43'17 (1);.

ლიგის ცნობილი პროფკავშირული ლიდერი კენ ბაუმგარტნერი უხეირო წინა სეზონის შემდეგ (88 მატჩში ვერც ერთი გოლი), ახალი ჩემპიონატის პირველივე შეხვედრაში გამოირჩა, რასაც სტუმართა მეკარის გრანტ ფიურის შეცდომას უნდა უმადლოდეს. თუმცა სენტლუისელთა კარის დარაჯმა ოვერტაიმში არაერთხელ იხსნა თავისიანები აშკარა გოლისგან.

**ვაშინგტონი — ანაჰაიმი 1:0 1:0, 0:0, 0:0**

1:0 ზედნიკი 4'35 (1).

ვაშინგტონელთა საუცხოო მეკარე ოლაფ კოლციგმა კარია — სელიანეს დუეტი მშრალზე დატოვა.

**ნეშვილი — ფლორიდა 0:1 0:0, 0:0, 0:1**

0:1 უიტნი 42'27 (1).

ნეშვილელებმა ლიგაში სადებიუტო მატჩი ერთობ უფერულად ჩაატარეს და სტუმარ მცველებსა და მეკარე კირკ მაკლინის (21-ე შათაუტი) არანაირი პრობლემა არ შეუქმნეს.

**ჩიკაგო — ნიუ ჯერსი 2:1 0:1, 1:0, 1:0**

0:1 ელიაში 12'33 (1); 1:1 დაზე 38'46 (1); 2:1 ამონტე 50'59(1).

პირველ პერიოდში მეტად საინტერესო ფაქტი მოხდა. დარტყმების რაოდენობის შეფარდება 0:18 (!) გახლდათ ნიუჯერსელთა სასარგებლოდ, თუმცა აქედან „ეშმაკებმა" ხეირი ერთადერთხელ ნახეს, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. სტუმართა ახალმა პოლიციელმა საშა ლაკოვიჩმა სამი



კოლორადოელი ჯეფ ოჯერსი და ოტაველი კრის მიურეი ავად შეყრილან

შეტაკება მოაწყო, თანაც ერთხელ თვით ბობ პრობერი გამოიწვია საპაექროდ.

**დალასი — ბუფალო 4:1 2:0, 1:1, 1:0**

1:0 საიდორი 10'40 (1); 2:0 მოდანო 19'09 (1); 3:0 ვერბიკი 31'00 (1); 3:1 სანდერსონი 35'22 (1); 4:1 ლეჰტინენი 59'16 (1).

დალასის ახალ წამყვან სამეულს, ლეჰტინენ — მოდანო (1+2)— ჰალს თვით დომინიკ ჰაშეკმაც ვერ მოუხერხა ვერაფერი, მასპინძელთა სახელოვანმა შენაძენმა ბრეტ ჰალმა ერთი პასიც მიითვალა.

**ედმონტონი — ლოს ანჯელესი 1:2 1:1, 0:0, 0:1**

1:0 ბრაუნი 2'31 (1); 1:1 პერო 11'07 (1); 1:2 რობიტაილი 45'25 (1).

**კოლორადო — ოტავა 3:4 2:1, 0:2, 1:1**

1:0 საკიკი 6'28 (1); 1:1 ფილიპსი 12'11 (1); 2:1 საკიკი 15'37 (2); 2:2 ფილიპსი 29'54 (2); 2:3 დაკელი 30'50 (1); 3:3 ჰეიდუკი 43'05 (1); 3:4 რედენი 58'38 (1).

კოლორადოელთა ახალი მწვრთნელის ბობ ჰარტლის დებიუტი უეიდ რედენის რიკოშეტის შემდეგ გატანილმა გოლმა გააფუჭა „ევულანშის" თავკაცს ახალბედა მილან ჰეიდუკის (1+1) კარგი თამაში თუ ანუგეშებს.

**სან ხოსე — კალგარი 3:5 1:1, 2:3, 0:1**

1:0 მოულდერი 7'01 (1); 1:1 ფლერი 12'19 (1); 1:2 ფლერი 20'20 (2); 1:3 მორისი 26'37 (1); 2:3 გრენატო 27'42 (1); 2:4 როში 31'41 (1); 3:4 მარლო 32'43 (1); 3:5 ფლერი 57'27 (3).

ჩემპიონატის პირველი ჰეთ-თრიქის ავტორი ლიგის ყველაზე ტანმორჩილი მოთამაშე ტეო ფლერი (3+2) გახდა, რომელიც 6 (3+3) ქულით ბომბარდირთა სიას გაუძღვა.

11 ოქტომბერი

**ფილადელფია — ანაჰაიმი 4:1 2:1, 1:0, 1:0**

1:0 ლინდროსი 5'18 (1); 1:1 კარია 9'07 (1); 2:1 ლეკლერი 13'24 (1); 3:1 ბრინდამორი 34'11 (1); 4:1 ლინდროსი 40'50 (1).

ფილადელფიელთა ლიდერების ლინდროსის და ლეკლერის (1+3) ამბიციებმა „მფრინავთა" პირველ საშინაო მატჩში ანაჰაიმი იმსხვერპლა.

**ფინიქსი — ოტავა 1:4 0:1, 0:2, 1:1**

0:1 დაკელი 9'06 (2); 0:2 ბონკი 23'47 (1); 0:3 გარდინერი 2'53 (1); 0:4 არვედსონი 40'12 (1); 1:4 რენიკი 49'14 (1);.

საკმაოდ მოულოდნელი ორ-ორი გამარჯვების შემდეგ ფლორიდა და ოტავა ოტავა ფილადელფიასთან ერთად ინაწილებენ ლიდერობას.



სკოტი ბოუმენმა დეტროიტი შესაძლოა ვეღარ გაწვრთნას

# პროფესიონალებიც მკითხაობენ

ნჰლ-ის ჩემპიონატის დაწყებისთანავე ათასგვარი პროგნოზი გამოითქვა ახალი სეზონის შესაძლო ტენდენციებზე. ცნობილმა ჟურნალისტმა, „SPORT ILLUSTRATED"-ის მიმომხილველმა მაიკლ ფარბერმა თავისი მოსაზრებები ათი კითხვა-ვარაუდის სახით ჩამოაყალიბა, ჩვენ კი ვეცდებით, ისინი გავაანალიზოთ.

**1. შეიცვალა რამდენიმე წესი (მანძილი კარიდან ბორტამდე ორი ფუტით გაიზარდა, შემცირდა მეკარის მოედანი, იქმნება ორი მთავარი არბიტრის სისტემა და სხვა). საინტერესოა, გაზრდის თუ არა შედეგიანობას ეს ცვლილებები?**

ერთი შეხედვით, ამ სიახლეებმა ჰოკეის მატჩები მეტად უნდა გამოაცოცხლოს. მაგალითად, კარს უკან სათამაშოთ სივრცის 13 ფუტამდე გაზრდა გრეცკისნაირი ჰოკეისტებისთვის სწორედაც რომ ზედგამოჭრილია, გარდა ამისა, 4 ფუტით შემცირდება შუა ზონა, რაც ეგრეთ წოდებულ „ხაფანგებთან" ბრძოლის ეფექტური საშუალებაა. თუმცა საგამოფენო მატჩებში, სადაც ეს წესები გამოსცადეს, მაღალი შედეგიანობა არ აღნუსხულა ვნახოთ, რა იქნება ჩემპიონატში. რაც შეეხება ორი არბიტრის სისტემასა და მეკარეთა აღკაზმულობის ზოგიერთ დეტალის ზომის შემცირებას (საარები ხელებსა და ფეხებზე, სამხრეები), ეს ფაქტი სასიკეთოდ უნდა მივიჩნიოთ. თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთი გოლკიპერი თავისი ეკიპირებით ლამის მთელ კარს ფარავდა. უნდა ითქვას, რომ ლიგის მესვეურებმა ძირეული ცვლილებებისგან (კერძოდ, წითელი ხაზის გაუქმება) ჯერჯერობით თავი შეიკავეს, რადგან იიჰფ-სგან განსხვავებით მათ ჩათვალეს, რომ ეს თამაშს ერთობ უაზროს გახდის.

**2. სკოტი ბოუმენის შესაძლო არყოფნა (64 წლის მწვრთნელი მუხლზე ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის) უთუოდ იმოქმედებს თასის ორგზის მფლობელ დეტროიტზე.**

ჯერჯერობით სკოტი ბოუმენი შინიდან, ბუფალოდან ტელეფონით მოძღვრავს გუნდს, რაც, ცხადია, არაერთ პრობლემას ქმნის. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს უკვე სრულიად ჩამოყალიბებული და სრულყოფილი გუნდია, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში მთავარი მწვრთნელის ავადმყოფობა სტენლის თასისთვის ბრძოლას არ გაურთულებს. მანამდე კი, იმედია, ბოუმენი გამოჯანმრთელდება.

**3. ლიგის ყველაზე მოძრავი და მოქნილი მოთამაშის პოლ კარიას დაბრუნება უთუოდ წაადგება ანაჰაიმსაც და ნჰლ-საც.**

ის, რომ კარიაშემატებული ანაჰაიმი სხვაგვარად ათამაშდება, ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება მთელი ლიგის გამოცოცხლებას, ვფიქრობთ, კარიას ძალუძს ბომბარდირთა დავის გამწვავება — მას ხომ თავისუფლად შეუძლია ერთ შეხვედრაში საშუალოდ 1,5-2 ქულის დაგროვება. ხოლო თუ ამ მაჩვენებელს 82-ზე ანუ თამაშების რაოდენობაზე გავამრავლებთ, მივიღებთ ისეთ შედეგს, რომელიც ლემიესა და გრეცკის გარდა სხვა სნაიპერთათვის მიუწვდომელია.

**4. რა ურთიერთობა ექნებათ რთული ხასიათით ცნობილ სნაიპერ ბრეტ ჰალსა და მის ახალ მწვრთნელს, კირეიტა და მომთხოვნ კენ ჰიჩკოკს?**

ეს მეტად რთული საკითხია. ბრეტ ჰალი თავისებური კაცია, მას ვერაფრით მოარგებ გუნდურ სტრატეგიას. ამას სენტ ლუისში ყოფნისას სნაიპერისა და გუნდის მაშინდელი თავკაცის მაიკ კინენის გაუთავებელი კონფლიქტიც ადასტურებს. ჰიჩკოკის დალასი კი სწორედ გამოზომილი გუნდური თამაშით გამოირჩევა, სადაც ყველა ჰოკეისტს გარკვეულწილად ეზღუდება თავისუფლება. იქნებ უმაღლესმა მიზანმა, თასმა, მაინც გააერთიანოს მწვრთნელიცა და მოთამაშეც, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჰალის მეგობარ და დალასის კაპიტან დერიან ჰეჩერზეც.

**5. შეძლებს თუ არა ნიუ ჯერსის ახალი მწვრთნელი რობი ფტორეკი, სახელოვანი ჟაკ ლემერის შემცვლელი, სკეპტიკოსების გაწბილებას?**

ფაქტი ის გახლავთ, რომ ლემერისეულ ჰოკეის, რომელიც მრავალრიცხოვან „ხაფანგებსა" და მთლიანად დაცვას ემყარებოდა, ფტორეკის ხელში გუნდი ვეღარ ითამაშებს. ამიტომ ნიუ ჯერსის გვარიანი გარდაქმნა მოუწევს.

**6. კანონზომიერი იყო თუ არა შარშანდელი სეზონის სენსაციად ქცეული ბოსტონისა და ლოს ანჯელესის უდიდესი პროგრესი?**

უეჭველია, ერთობ პერსპექტიული ჰოკეისტებით დაკომპლექტებული „დათვები" და „მეფეები" გამოცდილი სპეციალისტების, პეტ ბერნსისა და ლერი რობინსონის თავკაცობით შეეცდებიან, ლიგის ელიტაში შეიჭრან, თუმცა დიდი წარმატების მისაღწევად მათ ყველაზე მთავარი, სათასო გამოცდილება აკლიათ. ისე, ნუ დაგვავიწყდება 1996 წლის ფლორიდის მაგალითი — მაშინ ლიგაში სამსეზონნათამაშევი „პანტერები" ფინალში გავიდნენ.

**7. როგორ იგუებენ ერთმანეთს მაიკ კინენი და ბრაიან ბურკი — ორივე ხომ ზედმეტად თავდაჯერებულია...**

მათ სხვა გზა არა აქვთ. თუ ვანკუვერი წლეულსაც ვერ დააღწევს თავს კრიზისს, გუნდის მთავარი მწვრთნელის მაიკ კინენის (მის აქტივში 1994 წელს რეინჯერსთან მოგებული თასი და ორი ფინალი: 1992-ში ჩიკაგოსთან და 1987 წელს ფილადელფიასთან) და გენერალური მენეჯერის ბრაიან ბურკის (ლიგის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი) ავტორიტეტი საგრძნობლად შეილახება. პირველი გამოცდა კი მათთვის პაველ ბურეს პრობლემის მოგვარება იქნება.

**8. ერიკ ლინდროსი თასს უმიზნებს. ველით სასწაულებრივ სეზონს.**

ლინდროსი ის პიროვნებაა, რომელსაც რეპუტაციის აღდგენა მართებს. თუ საგამოფენო მატჩებით ვიმსჯელებთ, ერიკი საუცხოო ფორმაშია (15 (6+9) ქულა 9 მატჩში — ლიგაში საუკეთესო შედეგი). ამიტომ რა გასაკვირია, თუ მას დიდი ამბიციები აქვს და წლეულს ლიგის უპირველეს მოთამაშეობას ეცდება.

**9. კაროლინა თავის ახალ ლიდერ რონ ფრენსისთან ერთად ჩემპიონატის დასაწყისში გამორჩეული იქნება.**

ჩვენ კი ვფიქრობთ: არა მარტო ჩემპიონატის დასაწყისში, არამედ მთელი სეზონის განმავლობაში. მით უმეტეს, რომ კლუბს გავლენიანი სპონსორები გამოუჩნდნენ.

**10. ნიუ ჯერსის ცენტრფორვარდი ბრენდან მორისონი საუკეთესო ახალბედის ტიტულის ყველაზე რეალური პრეტენდენტია.**

მორისონი უეჭველად ნიჭიერი მოთამაშეა, რაც მან ბოლო სეზონის მიწურულსაც დაამტკიცა (11 მატჩში 9 (5+4) ქულა). ბრენდანი არც პლეი ოფში გამოიყურებოდა ურიგოდ, მაგრამ ისეთ კონსერვატულ კლუბში, როგორიც ნიუ ჯერსია, თავის გამოჩენა გაუჭირდება. თანაც, მას სერიოზული კონკურენტები ჰყავს: საგამოფენო მატჩებში გამორჩეული ალექს ტანგეი, მილან ჰეიდუკი, კრის დრური (ყველა — კოლორადო), დანიელ ბრირი (ფინიქსი), მარკუს ნილსონი (ფლორიდა), მაიკ მანელიუკი (ფილადელფია), დანიელ კლირი (ჩიკაგო), პეტერ ნორდსტრიომი



ერიკ ლინდროსისგან წელსაც სასწაულებს ელიან

(ბოსტონი). მორისონს აგრეთვე შეეცილებიან ლიგაში თამაშის მცირე გამოცდილების მქონე დალასელი სერგეი გუსევი, ოტაველი მირიან ჰოსა და ვაშინგტონელი იაროსლავ შვეიკოვსკი, ახალგაზრდების ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონატის გმირები ბოიდ დევერო (ედმონტონი) და ოლი იოკინენი (ლოს ანჯელესი). ჩვენი აზრით კი, ყველაზე დიდი შანსი 18 წლის ამომავალ ვარსკვლავ ვენსან ლეკავალიეს (ტამპა) აქვს.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლინდსი თავში, ტესტიუ პორშეში

ფილდერშტადტი. გერმანია.
პორშეს გრანპრი.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო 450 ათასი $.

**მეოთხედფინალი: დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:3, 6:7 (5:7), 6:4; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 7:6 (7:1), 7:5; არანჩა სანჩეს ვიკარიო (4, ესპანეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 1:6, 7:5, 6:2; სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — სერენა უილიამსი (აშშ) 6:3, 1:6, 6:1.**

„პატარაობიდანვე ვოცნებობდი, რომ საუკეთესო ვყოფილიყავი" — ეს სიტყვები ოცნებაამხდარ ლინდსი დევენპორტს ეკუთვნის, რომელიც ორშაბათიდან კლასიფიკაციის შემოღებიდან (1975 წლის ნოემბერი) მოყოლებული ოდენ მერვე მსოფლიოს პირველი ჩოგანი შეიქნა.

როდესაც 16 წლის მარტინა ჰინგისმა 1997-ს აპრილში ლეგენდარულ შტეფი გრაფს პირველობა ჩამოართვა და სეზონში სამი დიდი სლემის ტურნირიც მოიგო, უახლოეს დეკადაში ქალთა საჩოგბურთო ტახტის მფლობელი ყველას გარკვეული ეგონა. გასულმა წელმა მისისრული ბატონობით ჩაიარა — შარშან ამ დროს უახლოეს მდევარს, იანა ნოვოტნას შვეიცარიელი მთელი 3095 ქულით უსწრებდა. მაგრამ ამ უპირატესობამ გაზაფხულის მერე თვალსა და ხელს შუა დნობა დაიწყო და აშშ-ის ღია პირველობის მოგებით დევენპორტმა იგი სულაც მინიმუმამდე დაიყვანა.

მეოთხედფინალების წინ ჰინგისის მდგომარეობა თითქმის განწირული იყო — შვეიცარიელს თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად ტურნირის მოგება სჭირდებოდა, ლინდსის კი პირველ ადგილზე ასაზევებლად ნატალი ტოზიას დამარცხებაც ჰყოფნიდა.



ლინდსი დევენპორტი

კორტზე პირველად პირველი ჩოგანი გამოვიდა. მარტინას კვირის დასაწყისში მუხლისას დაშავებული კოჭი კიდევ უფრო აწუხებდა, მისი მეტოქე — დომინიკ ვან რუსტი კი მერვედფინალში ვინუს უილიამსის განადგურებით პირიქით, ფრთაშესხმული იყო. ბელგიელმა ამჯერადაც არ დაზოგა თავი და შვეიცარიელი აგრესიულობითა და საწინაამდეგო მოძრაობაზე ხშირი გამოჭერით ფრიად დატანჯა. ბოლომდე იბრძოლა ჰინგისმაც, დამარცხებას მეორე სეტში სასწაულად დაუძვრა, მესამეში 1:4-დან ანგარიში გაათანაბრა, ორი მატჩ-პოინტიც გადაარჩინა, მაგრამ ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა — ვან რუსტმა 2 საათი და 18 წუთიან მატჩს და ქალთა ჩოგბურთში ჰინგისის 80 კვირიან ბატონობას ხაზს გაყოლებული ფორჰენდით დაუსვა წერტილი.

„მგონი, ცხოვრებაში საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე, მაგრამ როდესაც შენ არაფერს კარგავ, მეტოქე კი — ძალიან ბევრს, ეს გაცილებით იოლია" — განაცხადა მატჩის შემდეგ ვან რუსტმა.

ჰინგისმა დამარცხებისას თავში ხელი კი შემოიკრა, მაგრამ იმედგაცრუება არც მაყურებლებს აგრძნობინა და არც პრესკონფერენციაზე შეყრილ ჟურნალისტებს. ის კი არა, ჩვეული ყოყოჩობით შემდეგი განაცხადა: „სულაც ვერ ვხედავ ტრაგედიას იმაში, რომ ცოტა ხანი მეორე ჩოგანი ვიქნები, ეს სტიმულად გამომადგება. მაგრამ ამ მომენტისთვის ლინდსი მართლაც უკეთესად თამაშობს და პირველობასაც იმსახურებს."

მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი კორტზე ჰინგისი — ვან რუსტის მატჩის დასრულებისთანავე გამოვიდა და ახალ რანგში თავისი პირველი, თანაც საკმაოდ მძიმე შეხვედრა, რომელიც უკვე არაფერს წყვეტდა, გამარჯვებით დაასრულა.

„მთელი ცხოვრება ცდილობ საუკეთესო იყო და ეს მხოლოდ რამდენიმე დღეც რომ გაგრძელდეს, ამ გრძნობას არაფერი შეედრება. გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ. ყოველთვის მინდოდა, დიდი სლემის ტურნირი მომეგო, მაგრამ ნომერი პირველი — ეს რაღაც განსაკუთრებულია. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მსგავს რამეს მოვახერხებდი" — დევენპორტი პრესკონფერენციაზე გაბადრული იყო.



სანდრინ ტესტიუ ახალ პორშეს იზომებს

**ნახევარფინალი: დევენპორტი — სანჩეს ვიკარიო 7:6 (7:4), 6:4; ტესტიუ — ვან რუსტი 6:2, 6:0.**

თავისი ახალი სტატუსის სიმძიმეს დევენპორტმა მეორე დღესვე გაუგო გემო, როდესაც მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, არანჩა სანჩეს ვიკარიოს გაafთრებული წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა: „დღეს ძალიან გამიჭირდა, თავში სულ კლასიფიკაციაზე ფიქრი მიტრიალებდა და ძალიან ვნერვიულობდი."

დომინიკ ვან რუსტი კი უბრალოდ გადაიწვა — უილიამსისა და ჰინგისის დამმარცხებელმა ფრანგ ტესტიუსთან ორი გეიმის მოგებაღა მოახერხა.

**ფინალი: ტესტიუ — დევენპორტი 7:5, 6:3**

დევენპორტს სამახსოვრო კვირის დაგვირგვინება სეზონის მეექვსე ტიტულით ძალიანაც სურდა, მაგრამ 26 წლის ფრანგმა ფინალში მეტოქეს ხუთჯერ აართვა მოწოდება და გამარჯვებას საათზე ოდნავ მეტი დაახარჯა.

ტესტიუმ კარიერაში მეორე ტურნირის მოგებისთვის 79 ათასი დოლარი ფულად მიითვალა, გარდა ამისა, ახალთახალი „პორშე 911"-იც ერგო, რომელსაც გასაღები იქვე, ცენტრალურ კორტზე მოარგო. „შესანიშნავი კვირა გამოდგა" — დაასკვნა ტესტიუმ მატჩის შემდეგ. კვერის დაკვრის გარდა რაღა დაგვრჩენია.

ბაზელი. შვეიცარია.
დავიდოვის ღია პირველობა.
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.
საპრიზო 1 მილიონი $.

**მეოთხედფინალი: ანდრე აგასი (4, აშშ) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 6:3; ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3, 6:4; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 6:3; მარკ როსე (შვეიცარია) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:3, 7:6 (7:2).**

**ნახევარფინალი: აგასი — როსე 6:4, 6:2; ჰენმანი — იოჰანსონი 6:2, 2:6, 7:6 (7:5).**

„აქაურები ნაღდად შემიძულებენ, თუ მესამე შვეიცარიელსაც მოვუგებ — იხუმრა მატჩის წინ ანდრე აგასიმ, მაგრამ პირველ-მეორე წრეში გაგდებულ როჯერ ფედერერსა და ივო ჰოიბერგერს ნახევარფინალში 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, ორი თვის მანძილზე გაუპარსავ-თმაშეუჭრელი მარკ როსეც მიაყოლა (ტურნირზე სულ ეს სამი შვეიცარიელი ასპარეზობდა) „კმაყოფილი ვარ, როსე ძალიან რთული მეტოქეა, ძლიერი მოწოდება აქვს, ტემპს გამუდმებით ცვლის და თანაც არასოდეს იცი, რას უნდა ელოდე მისგან."

მეორე ნახევარფინალში შვედმა იოჰანსონმა ბევრი იბრძოლა, 3:5-დან გადამწყვეტ ხელში ტაი-ბრეიკამდეც მიატანა, მაგრამ აქ რამდენიმე სულელური შეცდომა დაუშვა და მთელი შრომა წყალში გადაყარა, ფინალის საგზური კი ტიმ ჰენმანს გადაულოცა.

**ფინალი: ჰენმანი — აგასი 6:4, 6:3, 3:6, 6:4.**

მეტად თვალსასეირო, დაძაბული ფინალი ინგლისის პირველი ჩოგნის დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა, რომელსაც თავისი თავად აგასიმაც მიაგო: „საჭირო მომენტში მან მნიშვნელოვნად მოუმატა, მე კი — ვერა. ტიმზე ძალიან დიდი შეხედულება აქამდე არ მქონია, მაგრამ ამ შეხვედრამ საკუთარ სიმცდარეში დამარწმუნა, მან ხომ უბრალოდ გადამიარა." აი, საკუთარ თამაშზე ანდრეს განსხვავებული აზრი ჰქონდა: „მეოთხე სეტში ბრეიკით დავწინაურდი და ეს უპირატესობა არ უნდა გამეფლანგა. საკუთარ თავზე ისე გავბრაზდი, იარაღი რომ მქონოდა, ვესროდი კიდეც."

ჰენმანმა ამ გამარჯვებით 137 ათასი დოლარი მიითვალა და ფრიად ოპტიმისტურადაც განეწყო. იმედია, ეს მხოლოდ დასაწყისია, მწამს, რომ შემიძლია მოვუმატო და უფრო დიდი ტურნირებიც მოვიგოო.

შანხაის ღია პირველობა.
ჩინეთი. ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 345 ათასი $.

**ნახევარფინალი: გორან ივანიშევიჩი (1, ხორვატია) — რამონ დელგადო (6, პარაგვაი) 5:7, 6:3, 7:5; მაიკლ ჩანგი (2, აშშ) — პოლ ჰაარჰიუსი (5, ჰოლანდია) 7:5, 6:3.**

**ფინალი: ჩანგი — ივანიშევიჩი 4:6, 6:1, 6:2.**

გორან ივანიშევიჩის დამარცხებამ მაიკლ ჩანგს, სეზონის დასაწყისიდან კლასიფიკაციაში მესამედან 33-ე ადგილზე რომ დაეშვა, კარიერის 33-ე ტიტული მოუტანა, რომელთაგან 12 აზიაშია მოპოვებული: „აზიაში გამარჯვება განსაკუთრებული რამ არის, აქ თავი შინ მგონია. ხალხისგან განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ."

ფინალი გადაუღებელი წვიმების გამო კვირის ნაცვლად ორშაბათს გაიმართა და აზიის ყველაზე პოპულარულმა სპორტსმენმა მაჩში ბოლო 15-დან 12 გეიმი მოიგო. „იმის გამო, თუ დღეს როგორ ვითამაშე, წესით ციხეში უნდა სვამდნენ" — იხუმრა ივანიშევიჩმა, რომელმაც მატჩში 8 ორმაგი და აურაცხელი უნებლიე შეცდომა დაუშვა.

პალერმო. იტალია.
სიცილიის საერთაშორისო
ჩემპიონატი. ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 345 ათასი $.

**ნახევარფინალი: მარიანო პუერტა (არგენტინა) — ალექს კორეტხა (1, ესპანეთი) 7:5, 6:2; ფრანკო სკილარი (არგენტინა) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:1, 2:6, 7:6 (7:2).**

**ფინალი: პუერტა — სკილარი 6:3, 6:2.**



ტიმ ჰენმანი

1982 წლის აქეთ პირველ არგენტინულ ფინალში 20 წლის მარიანო პუერტამ თანაბუენოსაირესელი და ქვეყნის პირველი ჩოგანი, წინა დღიდან გადმოტანილი ნახევარფინალის თამაშით გასავათებული ფრანკო სკილარი დაამარცხა და კარიერის პირველი ტიტული მოიპოვა.

ავთანდილ სვანიძე

ბათუმში შაბათ-კვირას გასრულდა ქალთა ღია ტურნირი ჩოგბურთში. შაბათს ნახევარფინალები ჩატარდა როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა შორისაც. კვირას კი გადამწყვეტი შეხვედრები გაიმართა.

# ეს ტილბურგი რა გაგვიხდა!

**ნახევარფინალები: მისკინა (რუსეთი) — სინელი (8, ავსტრია) 1:6, 6:2, 7:5; ჰოფმანსი (2, ჰოლანდია) — პოუჩეკი (7, ბელარუსი)**

ნახევარფინალებში ერთადერთმა განუთესელმა, ანასტასია მისკინამ გაალწია. მას შემდეგ, რაც პირველ ნომრად განთესილი კულიკოვსკაია და ჩვენებური ლუარსაბიშვილი დაამარცხა, ბრგე ავსტრიელთან მის გამარჯვებას ცოტა თუ დაიჯერებდა. პირველი სეტიც ამის დადასტურება იყო. თავიდან რუსი დაწინაურდა საკუთარი მოწოდების მოგების შემდეგ, თუმცა სინელმა მეორე გეიმიდანვე ხელთ იგდო მატჩის სადავეები და მისმა ბადესთან ეფექტურმა თამაშმა და უკანა ხაზზე შეუვალობამ სასურველი შედეგი გამოიღო. მან ექვსი გეიმი მოიგო ზედიზედ. თან ბოლოს მისკინას ჩაწოდებაზე მეტოქეს ერთი ბურთიც კი არ ჩააგდებინა.

მეორე სეტში მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. ახლა უკვე ავსტრიელი ვეღარ ასწრებდა ბურთს და რუსი უფრო კარგად თამაშობდა ბადესთან. თავის პირველ ორ მოწოდებაზე სინელმა ოდენ ერთი ბურთის ჩაგდება მოახერხა და სეტიც თითქმის უბრძოლველად დათმო.

მესამე სეტში კი მეტად უშელავათო ბრძოლა გაჩაღდა. ამას ისიც მოწმობს, რომ მეტოქეებმა თორმეტ გათამაშებულ გეიმში ცხრაჯერ გაახერხეს ბრეიკი. ისინი ხშირად უშვებდნენ ორმაგ შეცდომებსაც, ერთხელ კი ავსტრიელმა ზედიზედ ხუთი ჩაწოდება გააფუჭა. 4:4-ზე მისკინამ მორიგი ბრეიკი გააკეთა და მაშინვე მისცა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება, თუმცა შემდეგი გეიმის მერე კვლავ დაწინაურდა — 6:5. თავისი ბოლო მოწოდება კი აღარ გააფუჭა და მართალია პირველ მატჩ-პოინტზე ვერა, მაგრამ მეორეზე გამარჯვება მოახერხა.

მატჩის შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ფინალისტს:

**— აქამდე მეტად იოლად იგებდით, არც კულიკოვსკაიასთან გაგჭირვებიათ...**

— კულიკოვსკაიასთან, შეიძლება თქვას, ბედმა გამიღიმა, წინა დღის წვიმის შემდეგ (მატჩი პარასკევს გაიმართა გ.თ.) კორტი ჯერ ისევ სველი იყო, ასეთ პირობებში კი მას თამაში კარგად არ გამოსდის. თან მე აქ შარშანაც ვითამაშე და ამ კორტებს მასზე უკეთესად ვიცნობ.

**— დღეს ასე რატომ გაგიჭირდათ?**

— ჩემი დღევანდელი მეტოქე საკმაოდ გამოცდილი ჩოგბურთელია, თან ფიზიკურად ჩემზე გაცილებით ძლიერია. თუმცა ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მოგების უფრო დიდი სურვილი ალბათ მე მქონდა, ამასთან სინელი ხშირად ცდებოდა.

**— ფინალში რა შანსი გაქვთ შარშან აქ მოგებული ტიტულის შესანარჩუნებლად?**

— უპირატესობა ალბათ მეტოქის მხარესაა, მე კი მაინც ჩემსას ვეცდები, მოკლედ, ვნახოთ.

მეორე ნახევარფინალი პირველის პარალელურად გაიმართა და სანახაობრივად და დაძაბულობით მას არ ჩამორჩებოდა. აქაც პირველი სამი გეიმი ჩამწოდებელმა დათმო, ოთხი გეიმის შემდეგ ჰოლანდიელი დაწინაურდა 3:1 ბელარუსმა ამის მერე ერთი გეიმის მოგებაღა შესძლო. ჰოფმანსი უკანა ხაზზე ჩინებულ თამაშს ბადესთან დროულად გასვლას ახმარდა და ქულებსაც უხვად იგებდა, თან პოუჩეკმა ნერვიულობაც დაიწყო და პირველი სეტიც დათმო.

მეორის პირველი გეიმი მეტად გაიწელა. ერთ მომენტში ჰოლანდიელს ფეხი გადაუბრუნდა და დაეცა, თუმცა იმ გათამაშების მოგება მაინც შესძლო. მეორე გეიმში გამოჩნდა, რომ მას მეტ-ნაკლებად სერიოზული ტრავმა მიელო — ჰოფმანსი კორტზე წამოწვა და საქმეში ექიმის ჩარევა გახდა საჭირო. სეტი კი ბელარუსმა ჩოგბურთელმა იოლად მოიგო.

დაიწყო მესამე სეტი და სიტუაციაც ისევ შეიცვალა. კორტზე კვლავ ჰოფმანსი დომინირებდა, პოუჩეკი კი კვლავ ნერვიულობდა და გეიმს გეიმზე აგებდა. 1:1-ის შემდეგ 6:1 სულ რაღაც ოციოდე წუთში გახდა და მეორე ნომრად განთესილიც ფინალში გავიდა.

**ფინალი: ჰოფმანსი (2, ჰოლანდია) — მისკინა (რუსეთი) 6:2, 7:5.**

ფინალური ორთაბრძოლა ნახევარფინალურების დარი ვერ გამოდგა. უფრო გამოცდილმა და ტექნიკურმა ჰოლანდიელმა შედარებით იოლად გატეხა რუსი ჩოგბურთელის წინააღმდეგობა. პირველ სეტში ერთ რამედ ღირდა მისი ლამაზი, მოჭრილი დარტყმების ნახვა, რომელთაგან უმეტესობაც მიზანს აღწევდა და სეტიც მისი გამარჯვებით დასრულდა.

მეორე ხელში კი უფრო თანაბარი ბრძოლა იხილა ბათუმის კორტებზე უხვად მოსულმა მაყურებელმა. თავიდან კვლავ ჰოფმანსი



ამანდა ჰოფმანსი

დაწინაურდა — 3:1, თუმცა მისკინამ შეძლო და ზედიზედ სამი გეიმი მოიგო. ისე ფორტუნაც საკმაოდ მიეხმარა, როცა ანგარიში 3:3 იყო, მისი ორი დარტყმა ბადეს მოხვდა და იქვე დაეცა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მის წინ გასასვლელად. აქ კი ჰოლანდიელმა კვლავ გამოიღო ხელი და 5:4 დაწინაურდა. თუმცა მალე ანგარიში კვლავ გათანაბრდა. მეთერთმეტე გეიმში რუსი აწვდიდა და კვლავ მეტოქე გაუშვა წინ. თავის მოწოდებაზე ჰოფმანსმა პირველი სამი ბურთი ჩააგდო და 40:0 დაწინაურდა. მისკინა არ მოეშვა და მოწინააღმდეგეს ორი მატჩ-პოინტიც აუღო, თუმცა მესამე კი ვეღარ მოიგო და მატჩთან ერთად ტიტულიც დათმო.

ფინალის შემდეგ გამარჯვებულთა დაჯილდოება და ტურნირის საზეიმო დახურვა მოეწყო, რომელიც რატომღაც რუსულ ენაზე წარიმართა და რატომღაც ჩოგბურთელების გარდა სხვაც ბევრი დაჯილდოვდა. ჩვენ კი გამარჯვებულს სახელდახელო ინტერვიუ ჩამოვართვით.

**— ყველაზე მეტად რომელი თამაშის მოგება გაგიჭირდათ?**

— ალბათ ნახევარფინალის, რადგან მარჯვენა ფეხი გადამიბრუნდა და კოჭის საშინელი ტკივილი ვიგრძენი, რაც მეორე სეტის წაგებადაც დამიჯდა, თუმცა, საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და მესამე სეტში მდგომარეობის გამოსწორება და შეხვედრის ჩემს სასარგებლოდ დასრულება მოვახერხე.

**— რა შეფასებას მისცემთ ტურნირს მთლიანობაში?**

— შეჯიბრი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და ბათუმშიც მეტად სასიამოვნო დრო გავატარე. გამარჯვებაც ძალიან გამიხარდა.

**— გაისადაც თუ აპირებთ აქ ჩამოსვლას და ტიტულის დაცვას?**

— თუ დრო და საშუალება მექნება, აუცილებლად გეწვევით.

**— ორიოდე სიტყვა თქვენს შესახებაც გვითხარით.**

— ჰოლანდიაში, ქალაქ ტილბურგში ვცხოვრობ. მამაჩემიც სპორტსმენი იყო. იგი ადრე ტილბურგის „ვილემ II"-ის ღირსებას იცავდა, ამიტომ ფეხბურთი მეც მიტაცებს, „ვილემ II"-ს და „აიაქსს" ვგულშემატკივრობ. რაც შეეხება ჩემს საჩოგბურთო კარიერას, ორჯერ — 1996 და 1997 წლებში — მოვიგე ჰოლანდიის ჩემპიონატი, ხოლო სხვა რამე დიდი წარმატებისთვის არ მიმიღწევია (ჰოფმანსმა ამას წინათ ფედერაციის თასზე ხორვატი ივა მაიოლის დამარცხებაც კი შეძლო. გ.თ.).

ამ ფინალური მატჩიდან დაახლოებით ერთ საათში მეორე ფინალი გაიმართა. ერთმანეთს პირისპირ რუსების კულიკოვსკაია-სისოევას დუეტი და ჰოფმანსი-სინელის წყვილი დაუდგნენ. პირველი ორი სეტის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო, მესამეში კი ჰოფმანსს დაღლა დაეტყო და ინტერნაციონალურმა დუბლმაც თითქმის უბრძოლველად დათმო გადამწყვეტი სეტი.

**წყვილები. მეოთხედფინალი: კულიკოვსკაია, სისოევა (რუსეთი) — კორჩინსკო (რუსეთი), კრუტკო (ლატვია) 7:5, 7:6; ლი, იინგი (ჩინეთი) — ოსტროვსკაია, სტეტსი (ბელარუსი) 6:4, 6:2; გლუშენკო, პოუჩეკი (ბელარუსი) — ბონდარენკო (უკრაინა), ზნუკოვეცი (ბელარუსი) 7:5, 7:5; ჰოფმანსი (ჰოლანდია), სინელი (ავსტრია) — გოლოვიზნინა, მისკინა (რუსეთი) 3:6, 6:4, 7:6.**

**ნახევარფინალი: კულიკოვსკაია, სისოევა — ლი, იინგი 6:4, 6:2; მეორე ნახევარფინალი არ შედგა ბელარუსების გამოუცხადებლობის გამო.**

**ფინალი: კულიკოვსკაია, სისოევა — ჰოფმანსი, სინელი 6:4, 3:6, 6:0.**

გაიოზ თალაკვაძე

კვირას ჰოლანდიურ ქალაქ ვალკენბურგში საგზატკეცილო ველორბოლის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა.



REUTERS ვოლკენბურგიდან

# კამენზინდს ველარავინ დაეწია

**კაცები. სიჩაუქის გამოცდა 43,5 კილომეტრი.**

მსოფლიოს პირველობის ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში გამარჯვება ახლახან დამთავრებული „ვუელტას“ ჩემპიონმა აბრაჰამ ოლანომ იზეიმა. ესპანელის გამარჯვებას ერთი მხრივ, სიჩაუქის გამოცდაში უძლიერესთა — იან ულრიხის,ალექს ცულესა და ლორან ჟალაბერის არყოფნამ დაუკარგა პეწი, მაგრამ ამავე დროს ერთმა უმნიშვნელოვანესმა გარემოებამ ფასიც შემატა — ოლანო ტრამვირებული ასპარეზობდა.

„მუხლი ისე მტკიოდა, ვიფიქრე დისტანციის ნახევარსაც ვერ დავასრულებ და შეჩერება მომიხდება-მეთქი, მაგრამ საკუთარ თავს მოვთხოვე ტკივილი დამევიწყებინა, რბოლაში ბოლომდე დავხარჯულიყავი — განაცხადა მოგვიანებით ესპანელმა, რომელმაც ცივ და წვიმიან ამინდში, ტრამვის მიუხედავად უახლოეს მეტოქეს 37 წამით აჯობა.

ეს ოქრო ოლანოსთვის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული პირველი მედალი არ გახლავთ — 1995 წელს კოლუმბიაში მან საგზატკეცილო რბოლაში იმარჯვა, სიჩაუქის გამოცდაში კი პირველობა „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებულს, ლეგენდარული თანამემამულე მიგელ ინდურაინს დაუთმო. მასვე ჩამორჩა ესპანელი ატლანტის ოლიმპიადაზეც, თუმცა შარშან, ბევრისთვის მოულოდნელად, მთელი სეზონი ჩააგდო.

„დღეს გამარჯვება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ კვირას საგზატკეცილო რბოლაშიც მოვახერხებ ასპარეზობას“ — დაიჩივლა პრესკონფერენციაზე ოლანომ, რომელსაც ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ მართლაც ნაადრევად მოუხდა ჩემპიონატის დატოვება.

ამერიკელი ლანს არმსტრონგი, ჯერ კიდევ შარშან კიბოს რომ ებრძოდა, წლეულს კი „ვუელტაზე“ დაკავებული მეოთხე ადგილით კოლეგათა გაოცება და აღფრთოვანება მოახერხა, ამჯერადაც მცირედით აცდა პოდიუმს — მესამეადგილოსანს 9 წამით ჩამორჩა: „ჩემთვის ყოველი რბოლა გამარჯვების ტოლფასია,არც კი მჯეროდა, რომ ავადმყოფობის შემდეგ მაღალ დონეზე ასპარეზობას მოვახერხებდი, ამიტომ მაინც კმაყოფილი ვარ.“

1. ოლანო — 54,32; 2. მელხორ მაური (ესპანეთი) +37; 3. სერგეი გონჩარი (უკრაინა) +47; 4. არმსტრონგი +56; 5. უვე პეშელი (გერმანია) +1,07; 6. ბიტ ცბერგი (შვეიცარია) +1,11... 11. კრის ბორდმანი (ინგლისი) +1,50

**კაცები. საგზატკეცილო რბოლა. 258 კილომეტრი**

საგზატკეცილო რბოლა ხშირად საკმაოდ მოსაწყენად მიმდინარეობს და გამარჯვებულის ბედიც საფინიშო სპურტზე თუ წყდება ხოლმე, მაგრამ წლევანდელი ასპარეზობა სხვაგვარად წარიმართა — ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე ჯგროდან გაქცეულ შვეიცარიელ ოსკარ კამენზინდს ველარავინ დაეწია.

კამენზინდს გარკვეულწილად გაუმართლა კიდეც: ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს, მასპინძელ მიქაელ ბუგერდს ველოსიპედი გაუტყდა და სანამ თანაგუნდელები მის დასახმარებლად შეჩერდნენ, შვეიცარიელი წინ ტყვიასავით გავარდა: „შეტევა უნდა გამერისკა, რადგან სპურტზე არანაირი შანსი არ მექნებოდა. როდესაც უკან არავინ მომყვა, მივხვდი, რომ ყველაფერი ჩემს ხელში იყო.“

კამენზინდმა ამავე დროს ჩემპიონატების 13 წლის წინანდელი საშუალო სიჩქარის რეკორდიც გააუმჯობესა 42,8 კმ/სთ-ით და ბოლო 47 წლის განმავლობაში ამ დისციპლინის გამარჯვებული პირველი შვეიცარიელიც შეიქნა: „არ ვიყავი მართალი, როცა ჩემს ფედერაციაზე გავნაწყენდი, ვუელტაზე ასპარეზობა რომ მაიძულეს, უკეთესად მომზადებაში ვერაფერი დამეხმარებოდა.“

რბოლის წინ ფავორიტად მიქელე ბარტოლი ითვლებოდა, მაგრამ იტალიელს საშინელი უიღბლობა დაებედა: მუხრუჭების მოშლის გამო ველოსიპედის გამოცვლა მოუხდა, მერე ისიც გაუტყდა და ბოლოს ერთ-ერთ დაღმართზე წაქცევაც მოახერხა, ამიტომ ბრინჯაოს მედლითაც სავსებით კმაყოფილი დარჩა.

ლანს არმსტრონგს კი, ხუთი წლის ამ დისციპლინის მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, ამჯერადაც მეოთხე ადგილი ერგო: „იმედგაცრუებული ვიქნებოდი, ავადმყოფობა რომ არ გადამეტანა და სრულიად ჯანმრთელი ვიყო, მაგრამ „4“ შეიძლება, უბრალოდ, ჩემი იღბლიანი ციფრია.“

წვიმის, სიცივისა და არაჩვეულებრივად მაღალი ტემპის გამო 152 მრბოლიდან ფინიშის ხაზი მხოლოდ 66-მა გადაკვეთა, ჯგრო კი გამარჯვებულს ლამის 15 წუთით ჩამორჩა.

1. კამენზინდი — 6:01,30; 2. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია) +23; 3. ბარტოლი +24; 4. არმსტრონგი +1,08; 5. ნიკი ებერსოლდი (შვეიცარია) +1,09; 6. მიქაელ ბუგერდი (ჰოლანდია) +1,10; 7. მარკ ვოუტერსი (ბელგია) +4,31... 16. ჟაკი დიურანი (საფრანგეთი) +14,46.

**ქალები. საგზატკეცილო რბოლა. 103,2 კმ**

კაცებისგან განსხვავებით, ქალებში გამარჯვებულის ბედი საფინიშო სპურტმა გადაწყვიტა, რომელშიც ჩია ლიტველმა დიანა ზილუტემ აჯობა ყველას.

„დაუჯერებელი სეზონი მქონდა — მთელი წლის განმავლობაში ფორმაში ვიყავი, რაც მსოფლიოს თასის ეტაპებისა და ამ ტიტულის მოგებაში დამეხმარა — განაცხადა ექსსაბჭოელმა, რომელმაც 4 წლის წინ იუნიორებშიც იმარჯვა — გული მეუბნებოდა, ბოლომდე იბრძოლე, ეს შენი დღე იქნებაო.“

1991 და 93 წლების გამარჯვებული, ჰოლანდიელი ლეონტიენ ვან მორსელი, რომელმაც წლეულს ოქრო სიჩაუქის გამოცდაში მოიპოვა, ამჯერად ვერცხლს დასჯერდა, ლეგენდარული ფრანგი ჟანი ლონგო კი, ოქტომბრის ბოლოს 40 წელი რომ შეუსრულდება, მხოლოდ მეცხრე იყო.

1. ზილუტე — 2:35,35; 2. ვან მორსელი; 3. ჰანკა კუპფერნაგელი (გერმანია); 4. რასა პოლიკევიჩუტე (ლიტვა); 5. ალესანდრო კაპელოტო (იტალია) — ყველას იგივე დრო... 9. ლონგო +1.

**ბახა არჯევანიძე**



# გერმანიას — დოლონაძე ხოფერიას — ბატუტი

**ემზარ ზენაიშვილი**
**სიდნეიდან**

სიდნეის ოლიმპიური პარკის სპორტულმა ცენტრმა ბატუტისტთა მსოფლიოს მე-20 ჩემპიონატს უმასპინძლა. სპორტის ამ სახეობის ოლიმპიურ პროგრამაში შეტანის შემდეგ ეს ამ რანგის პირველი შეჯიბრება იყო.

ბატუტისტთა ოლიმპიური დებიუტი კი სწორედ სიდნეის ოლიმპიადაზე შედგება. სპორტის ამ სახეობის მესვეურთ ეს დიდ გამარჯვებად ეთვლებათ, თუმცა რამდენიმე დისციპლინიდან საოლიმპიადო პროგრამაში მხოლოდ ერთი სახეობა — ქალთა და მამაკაცთა ინდივიდუალური ხტომებია შეტანილი და ისიც ძალზე შეზღუდული წარმომადგენლობით — სულ 12-12 მონაწილე.

ბატუტისტებმა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლების სანაცვლოდ კიდევ ერთი „მსხვერპლი“ გაიღეს — სიდნეიში მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გამართულმა კონგრესმა, რომლის მუშაობაში საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი ომარ ლონდაძეც მონაწილეობდა, იურიდიულად გააფორმა ფედერაციის დამოუკიდებლად საქმიანობის შეწყვეტა და ის ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციას შეუერთდა. სწორედ მათი კვოტის ფარგლებში გამოვლენ ოლიმპიურ თამაშებზე ბატუტისტები.

ბატუტისტთა მსოფლიოს ჩემპიონატებს საფუძველი 1964 წელს ჩაეყარა და აშშ-ის სპორტსმენთა უპირატესობაც იმთავითვე გამოიკვეთა. დღემდე სხვადასხვა დისციპლინაში 82 მსოფლიოს ჩემპიონიდან 35 ამერიკელია. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მათი წარმატებათა სერია 70-80-იანი წლების მიჯნაზე ფაქტობრივად წყდება. საქმე ის გახლდათ, რომ ბატუტმა აშშ-ში საყოველთაო პოპულარობა მოიხვეჭა, მისით დაინტერესდნენ სკოლებში, კოლეჯებში, ინსტიტუტებში. მასობრივ გატაცებას, სამწუხაროდ, რამდენიმე ტრაგიკული შემთხვევა მოჰყვა და ამერიკელებმა ბატუტი მოიძულეს. მხოლოდ ბოლო წლებში იგრძნობა ამ მხრივ ერთგვარი გამოცოცხლება. ბატუტის ოლიმპიურ სახეობად გადაქცევა, ცხადია, მის განვითარებას ახალ მძლავრ ბიძგს მისცემს არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა პოზიციები დათმეს, წინა პლანზე წამოიწიეს საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცარიის, კანადის სპორტსმენებმა. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ბატუტის განვითარებას დიდი ყურადღება ექცეოდა რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში. სპორტის ამ სახეობაში ქართული სკოლის ტრადიციები კი საყოველთაოდაა ცნობილი — მარტო ორი გვარის დასახელებაც კმარა — რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები.

საქართველოს ერთ-ერთი ოლიმპიური იმედი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რუსუდან ხოფერია ჯერ კიდევ 1988 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და დღემდე იგი ერთადერთი სპორტსმენი ქალია, ჩემპიონის ტიტულს რომ ფლობს: რუსიკოს ეკუთვნის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი ვარჯიშის სირთულის კოეფიციენტში — 12,4, რომელიც მან მისთვის წარუმატებელ წლევანდელ ევროპის პირველობაზე დაამყარა გერმანიის ქალაქ დესაუში. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხოფერიამ ჯერ კიდევ 1987 წელს ოდესაში 12,5 სირთულის კოეფიციენტით იასპარეზა.

არაერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო რუსუდანმა მსოფლიოს პირველობაზე მხოლოდ ათი წლის შემდეგ იასპარეზა. პროფესიონალი სპორტსმენისთვის ამხელა იძულებითი განაცდური როგორი დამღუპველია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ახლა ისიც ვთქვათ, როგორი სავარჯიშო პირობებია ჩვენთან და როგორ ბატუტზე უწევდა მზადება ხოფერიას. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე იგი აუცილებელი შეჯიბრებებიდან ყოველ მე-4-მე-5-ში თუ მონაწილეობდა. განსაკუთრებით უნდა ითქვას ბატუტის თაობაზე. როგორც ცა და მიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან ის ბატუტი, რომელზეც რუსუდანი ვარჯიშობს თბილისში, იმისგან, რომელზეც ტარდება მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები. „ეს ხომ დაახლოებით ისეა, შურდულით სროლაში რომ ივარჯიშო, შემდეგ კი შეჯიბრებაზე თოფით ისროლო“ — ერთმანეთს შესჩიოდნენ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ომარ ლონდაძე და რუსიკოს მწვრთნელი ზაურ სულაშვილი.

რუსუდან ხოფერიას სამსოფლიოსჩემპიონატო მზადყოფნისა და თვით სპორტსმენის ფსიქოლოგიური განწყობის გათვალისწინებით დაიგეგმა რუსიკოს ფინალში გასვლა. საამისოდ კი აუცილებელი იყო 25 ქვეყნის 64 სპორტსმენს შორის არანაკლებ მე-10 ადგილის დაკავება. სხვათა შორის, მსგავსადვე გათამაშდება საგაისო მსოფლიოს პირველობაზე, სამხრეთ აფრიკაში, სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიები. იქაც ათი ფინალისტი მიიღებს სიდნეის საგზურს, ერთი ადგილი გადაეცემა თამაშების მასპინძელ ავსტრალიას, მეორეს კი დაიტოვებს საერთაშორისო ფედერაცია და მას, როგორც ვარაუდობენ, გადასცემენ იმ კონტინენტს, რომელსაც მონაწილე არ ეყოლება სიდნეის თამაშებზე.

რუსუდანმა პროგრამა-მინიმუმს წარმატებით გაართვა თავი — ორ-ორ რუს, უკრაინელ და ბელარუს, აგრეთვე გერმანელ, ინგლისელ და კანადელ ბატუტისთან ერთად ფინალში მე-5-მე-6 შედეგით გავიდა. დაგროვებული ქულების მიხედვით ცხადი გახდა, რომ ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლის პრაქტიკული შანსი მას არ ჰქონდა. პირველ ადგილზე მყოფ, რუს ირინა კარავაევასთან ხოფერია 1,8, ხოლო მესამე ადგილზე მყოფ ასევე რუს ნატალია ჩერნოვასთან 0,9 ქულით აგებდა. რუსიკოზე წინ აღმოჩნდა გერმანიის სახელით მოასპარეზე ანა დოლონაძე-ლილკენდაიც.

კვირას, ფინალური შეხვედრის დღეს, საპრიზო ადგილის ერთ-ერთი კანდიდატი ნატალია ჩერნოვა ბატუტის ბადეს ასცდა და, ფაქტობრივად, შეჯიბრებას გამოეთიშა.

მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ირინა კარავაევამ მოიპოვა საკმაოდ მაღალი შედეგით — 104,5. იგი ერთხელ, 1994 წელს უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ამასთან ფლობს მსოფლიოს რეკორდსაც თავისუფალ ვარჯიშში: 1994 წელს პორტუგალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 39,8 ქულა დააგროვა; ირინა სავალდებულო ხტომებში მსოფლიო რეკორდის (28,9) თანამფლობელიცაა უკრაინელ ლარისა კრეშჩიკთან ერთად.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, შესაბამისად, დაისაკუთრეს უკრაინელმა ოქსანა ჩულიოვამ და ანა დოლონაძე-ლილკენდამ. ანა თავის გერმანელ პარტნიორთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა სინქრონულ ხტომებში. სექტემბერ-ოქტომბერი უხვმოსავლიანი გამოდგა ანასთვის — ევროპის ჩემპიონატის ორ ოქროს სიდნეიში ოქრო და ბრინჯაო დაუმატა.

100,9 ქულით რუსუდან ხოფერიამ მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც ამ ეტაპზე უდავოდ დამაკმაყოფილებელი შედეგია. სპორტსმენსაც და მწვრთნელსაც მიაჩნიათ, რომ სამომავლოდ დიდი გარჯა მართებთ — რუსუდანმა ხომ თავისი შესაძლებლობების 70 პროცენტი თუ აჩვენა სიდნეიში. აშკარად ჩანდა, რომ ბატუტზე „მძიმედ“ მუშაობდა, კომბინაციის მეორე ნახევარში ხტომების სიმაღლეს კარგავდა, აუცილებელზე მეტი „ძარა“ ბატუტზე შეჩვეულ ბატუტზე ხტომისას ცვლიდა სირთულის კოეფიციენტს. მაგალითად, წინასწარ შეჯიბრებაში დაგეგმილი 12,1-ის ნაცვლად შეასრულა 11,9, ხოლო ფინალში მხოლოდ 11,3. „ფეხებს ვერ ვიმორჩილებდი, ბადეს ველარ ვგრძნობდი“ — იტყვის შემდეგ რუსუდანი.

ანა დოლონაძისთვის გერმანიის სახელით გამოსვლის უფლების სანაცვლოდ დეკემბერში თბილისში „ევროტრამის“ ორ ახალ ბატუტს ველით, შესაბამისად, რუსუდანის საოლიმპიადო მზადების ერთ-ერთი მთავარი საკითხიც ფაქტობრივად გადაწყდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ ბატუტზე ინტენსიური ვარჯიშით ის ოპტიმალურ დონემდე გააუმჯობესებს სავალდებულო პროგრამას — დაახლოებით 28,2-28,5-ის ფარგლებში. მან ხომ შეჯიბრების ეს ნაწილი პრაქტიკულად ჩააგდო ევროპის პირველობაზე, ხოლო სიდნეიში ფინალში გასულთა შორის მხოლოდ ბოლოდან მეორე იყო. თავისუფალი პროგრამის (ოღონდ სირთულის კოეფიციენტის გათვალისწინებით) სრულ კონდიციამდე მიყვანის შემთხვევაში მიუღწეველი არც ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მედალი იქნება, აღარაფერს ვამბობთ სიდნეის თამაშების საგზურის მოპოვებაზე რუსუდანისთვის ეს პრობლემა არ უნდა იყოს. თავად განსაჯეთ: დღევანდელი მომზადების დონითაც კი მოხვდებოდა საოლიმპიადოდ კვალიფიცირებულთა შორის. სხვათა შორის, საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე გაისად მოქმედებს ფორმულა „ერთი ქვეყანა — ერთი მონაწილე“. წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი ამ სისტემით სალიცენზიო რომ ყოფილიყო, ოლიმპიური თამაშების საგზურს მიიღებდა სპორტსმენი, რომელმაც წინასწარ შეჯიბრებებში მე-17 ადგილი დაიკავა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსუდან ხოფერიას ნიჭი და გამოცდილება, მისი და მისი მწვრთნელის შრომისმოყვარეობა, მზადებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და, რაც მთავარია, საერთაშორისო შეჯიბრებებში ინტენსიური მონაწილეობა — წელიწადში არანაკლებ 8-10-ჯერ მაინც, ოლიმპიური მედლის მოპოვების გარანტია იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჭიდაობის ფედერაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფალავანი, მსოფლიო თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, საკავშირო თასის გათამაშებისა და სპარტაკიადის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

**პაატა (ზაალ) ჟუჟუნიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორაშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**[illegible]:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29